

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

2013 2 (16)



იოსებ კეჭაყმაძე.

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

2 (16) • 2013

ფესტივალი

გულბათ ტორაძე. **აპრილის მუსიკალური ხვავი და გარაჟა** 2

ეპოქალური სახეები

იოსებ კეჭაყმაძე 9

რუსუდან ქუთათელაძე. **საგუნდო მუსიკის რაინდი** 10

იოსებ პარდანაშვილი. **დიდი ქართველი კომპოზიტორი** 13

რუსუდან ხორავა. საგუნდო მუსიკის გიგანტი 14

ზაირა ვადაჭკორია. გელა ვადაჭკორია. **ჯეშმარიტი მაესტრო** 14

ვაჟა ძიგუა. **„ვაჰ, დრონი, დრონი“...** 15

მზია ჯაფარიძე. **ესკიზები პორტრეტისათვის** 16

რევაზ ტაკიძე. **საგუნდო მუსიკის დიდი ოსტატი** 21

განათლება

თეა ყიფიანი **„კამერტონის“ გერმანული წარმატება** 23

საკონცერტო ცხოვრება

გულბათ ტორაძე. **ახალი შთაბეჭდილებები** 26

გახსენება

ნესტან მესხი. **არჩილ კერესელიძე** 27

საკონცერტო ცხოვრება

არჩილ ნიქაცაძე. **საქ- Art- ველო** 31

ფესტივალი

თათია პაჭკორია. **ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“- ნამდვილი ვარსკვლავთცვენა** 34

ფოლკლორი

თამაზ გაბისონია. **ქართული სიმღერა: მხოლოდ გადარჩენა?** 45

პორტრეტი

როდამ ჯანდიერი. **მოგონებები ჯარჯი ბალანჩივაძეზე** 51

მუსიკა და მხატვრობა

ირინა ჯორჯაძე. **მიმოწერიდან შერჩეული ადგილები** 57

წლების გადასახედიდან

ინგა ბარამიძე. **„ჩემი აღსარება ჩემი ეპოქის აღსარებაა!“** 63

ახალი გამოცემები

ლალი კაკულია. **ქართული წიგნი ბეთჰოვენზე** 69

დოდო გოგუა. **ნანა ქავთარაძის „ო, უძლეველო დიდო ნამო შემოქმედების“** 74

Jazz Break

მანანა ხვედელიძე. **უინტონ მარსალისი** 75

www 80

summary 82

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

რედაქტორი: მიხეილ ოძელი თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე

დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხოძე

ინგლისური თარგმანი: შ.პ.ს. „ლოგოსი“

მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05
ფაქსი.: (+995 32) 96 86 78

აპრილის მუსიკალური ხვავი და ბარაქა

აპრილის თვეები ტრადიციულად მუსიკალურ შთაბეჭდილებათა სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელმა აპრილმა, ამ მხრივ, მოხსნა ყველა არსებული ,,რეკორდი".

თავად განსაჯეთ: ორი აპრილიდან დაწყებული, ვიდრე მაისის დადგომამდე, ჩვენი ქალაქის საკონცერტო დარბაზებში ყოველდღიურად (ხანდახან – დღეში ორჯერ-სამჯერ!) იმართებოდა სხვადასხვა სახის მუსიკალური ღონისძიებები: კონცერტები, შეხვედრები, ხსოვნის საღამოები, პრეზენტაციები და ა.შ., რომლებშიც მონაწილეობდნენ სიმფონიური ორკესტრები, საოპერო მომღერლები, ცალკეული შემსრულებლები, უცხოეთიდან ჩამოსული მუსიკალური კოლექტივები და მუსიკოსები.

ამ ,,მუსიკალურ კალეიდოსკოპში" მთავარი ადგილი უდავოდ ეკავა სამ შთამბეჭდავ მარათონულ ციკლს: თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალს, ,,თბილისის კონცერტინოს" საიუბილეო ფესტივალს და ე. მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ტრადიციულ (მე-5) სერიალს – ,,კონტრაპუნქტს".

საგუნდო ფესტივალის (მენეჯერი – მაია ჩაჩავა) კონცერტებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა (მთავარი დირიჟორი – არჩილ უშვერიძე), კონსერვატორიის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის გუნდები (ხელმძღვანელები – შალვა მოსიძე, ლია ჭონიშვილი, მიხეილ ედიშერაშვილი), აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა (ხელმძღვანელი გურამ ყურაშვილი), ბათუმის მუსიკალური ცენტრის სახელმწიფო კაპელა (ქეთევან მანელიშვილი, ლელა დოლიძე) და ქალთა კამერული გუნდი (ზაირა და გელა ვადაჭკორიები), თბილისის ყოვლადწმიდა სამების კათედრალის საპატრიარქო გუნდი (სვიმონ ჯანგულაშვილი, გიორგი დონაძე, ზვიად ბოლქვაძე), ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი (ირინა ლომინაძე) და ოპერის გუნდი (ე.ფილიპაშვილი და ლუიზა ნოზაძე), გორის ქალთა კამერული გუნდი (შალვა მოსიძე) და გორის სამუსიკო კოლეჯის ბავშვთა გუნდი (ნინო წიკლაური), თელავის ქალთა გუნდი „კახეთის ჰანგები" (პავლე დემურიშვილი), თბილისის მე-6 ხელოვნების სკოლის ბავშვთა გუნდი (ლალი ჭიკაიძე) და, ბოლოს, ფესტივალის სტუმარი – სტოკჰოლმის წმინდა კატარინას ტაძრის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, რომელმაც სამართლიანად მოიპოვა ჩვენი მსმენელების სიმპათიები.

საერთო ჯამში, საგუნდო მუსიკის ფესტივალი მასში მონაწილე კოლექტივების შემოქმედებით გამარჯვებად იქცა. ყველა მათგანის გამოსვლა მაღალ მხატვრულ დონეზე ჩატარდა, მიუხედავად იმისა, თუ რა სირთულის ამოცანები იდგა შემსრულებელთა წინაშე. ეს გახლავთ შესანიშნავი ფესტივალის პირველი ფრიად საგულისხმო და მისასალმებელი თავისებურება.

მეორე და განსაკუთრებით სასიამოვნო გარემოება კი ის არის, რომ მასში ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართველი კომპოზიტორებისა და, კერძოდ, ჩვენი საგუნდო მუსიკის კლასიკოსის, უნიჭიერესი და დაუვიწყარი იოსებ (სოსო) კეჭაყმაძის შემოქმედება, ასევე იოსებ ბარდანაშვილის (ისრაელი), ქართველი კომპოზიტო-

ბათუმის მუსიკალური ცენტრის სახელმწიფო კაპელა

რების გოგი ჩლაიძის, რამაზ ქარუხნიშვილის, რამაზ კემულარიას, ჯემალ ბეგლარიშვილის, ნუნუ გაბუნიას, ზვიად ბოლქვაძის, რუსუდან ხორავას, თამარ ვაშაკიძის, პავლე დემურიშვილის ნაწარმოებები.

განსაკუთრებით უხვად იყო წარმოდგენილი (და ეს ბუნებრივია) სოსო კეჭაყმაძის საგუნდო შემოქმედება სხვადასხვა კოლექტივების ჩინებული შესრულებით. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ჩვენი კლასიკოსის უბადლო ოსტატობასა და მუსიკის გულისშემძვრელ გამომსახველობაში. დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში კეჭაყმაძის თვითმყოფი შემოქმედება საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს. დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მისი ნაწარმოებების დაბეჭდვას და გავრცელებას (შესაძლოა, ზოგმა არც იცის, რომ კომპოზიტორის ნებით, მისი ნაწარმოებები არ იბეჭდებოდა!).

ქართველ კომპოზიტორთა პირველად მოსმენილი ნაწარმოებებიდან გამოვყოფდი გოგი ჩლაიძის ოსტატურად დაწერილ გუნდებს. შესრულდა მისი ოთხი გუნდი: ,,საგალობელი", ,,ავე მარია", ,,სალაღობო" (სამივე – აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის შესრულებით. დირიჟორი – გურამ ყურაშვილი) და ,,ქიტესა" – მუხრან მაჭავარიანის ლექსზე (თბილისის კონსერვატორიის ბაკალავრიატის გუნდი. დირიჟორი გივი ქასრაშვილი).

„საგალობლებმა" და „ავე მარიამ" ყურადღება მიიქციეს ამაღლებული განწყობილებით, ხოლო შორისდებულებზე აგებულმა „სალაღობომ" – მჩქეფარე ენერგიით და მუსიკის შინაგანი ინტენსიურობით.

რაც შეეხება, ადრე არაერთგზის მოსმენილ, შესანიშნავ „ქიტესას" (ციკლიდან „ხუთი მწუხარე სიმღერა" მუხრან მაჭავარიანის ლექსებზე), მან კიდევ ერთხელ მოგვნუსხა თავისი მძაფრი დრამატიზმითა და ექსპრესიით. ეს უდავოდ იყო ფესტივალზე მიღებული ერთ-ერთი ძლიერი შთაბეჭდილება.

პირველად შესრულებულ სხვა ნაწარმოებთა შორის გამოვყოფ ასევე ჯემალ ბეგლარიშვილის („მიძღვნა", „ლხინი სოფლად"), ზვიად ბოლქვაძის („გულო ჩემო, მღელვარე", „სამი დღეა", „რა ამაო ყოფილა"), იოსებ ბარდანაშვილის („ფსალმუნები"), რუსუდან ხორავას („ხმა კატამონთან") ჩინებულ საგუნდო ნაწარმოებებს. ყველა მათგანს წარმატება ხვდათ და მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს.

დაბოლოს, ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) ერთი

ფესტივალის გაერთიანებული გუნდი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი რ. ჯავახიშვილი).

ძალზე მნიშვნელოვანი და სასიამოვნო მოვლენის შესახებ. ეს გახლდათ არჩილ ჩიმაკაძის კანტატის „ქართლის გულის" შესრულება, რამაც ღირსეულად დააგვირგვინა ფესტივალი.

ვალდებულად ვთვლი თავს, ვთქვა რამდენიმე სიტყვა ქართული მუსიკის ამ შესანიშნავი ნიმუშის შესახებ.

პირველად იგი უდიდესი წარმატებით (რისი მოწმეც ვარ) შესრულდა 1952 წლის ოქტომბერში (დირიჟორობდა ზაქარია ხუროძე, სოლისტის პარტიას ასრულებდა თამარ ბახტაძე).

კონცერტზე დამსწრე დიდმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა საგაზეთო წერილში ასეთი სიტყვებით გამოხატა თავისი აღტაცება: „ნიჭიერება პირდაპირ ჩქეფს ამ კანტატაში. მას შეუნელებელი ინტერესით ისმენ. გამომსახველი და კოლორიტული მელოდიები, მშვენიერი ჰარმონია, გუნდისა და ორკესტრის ორიგინალური და უნარიანი გამოყენება — ყოველივე ეს, ისევე როგორც შინაარსისა და ფორმის ჰარმონიული ერთიანობა, ხიბლავს მსმენელს".

ამის შემდეგ „ქართლის გული" არაერთგზის აჟღერდა თბილისსა და მოსკოვშიც. ხოლო ერთხელ მოხდა, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე დღის მანძილზე იგი ორჯერ(!!) დიდი წარმატებით შესრულდა პრაღაში! (ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ წიგნში დ.ვარდოსანიძე-წერეთლისა „არჩილ ჩიმაკაძე". თბ. 1997 გვ.72).

ჰოდა, ეს შესანიშნავი ნაწარმოები 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე აღარ შესრულებულა ჩვენთან. სწორედ ამიტომ — ორმაგი მადლობა მისი ხელახალი აჟღერების ინიციატორებსა და ჩინებულ შემსრულებლებს — ფესტივალის გაერთიანებულ გუნდს, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილს და მომღერალ (სოპრანო) ხათუნა ჭოხონელიძეს.

იმედია, ახლო მომავალში კვლავ მოვისმენთ ამ უსამართლოდ მივიწყებულ ნაწარმოებს.

როგორც ზემოთ ითქვა, საგუნდო ფესტივალის პარალელურად მიმდინარეობდა კიდევ ორი მუსიკალურ-საკონცერტო ციკლი: „თბილისის კონცერტინოს" საიუბილეო (დაარსების 25 წლისადმი მიძღვნილი) ფესტივალი და ე.მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ტრადიციული — „კონტრაპუნქტი" (№5).

კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინო" დაარსებულია 1988 წელს კომპოზიტორ და დირიჟორ შავლეგ შილაკაძის მიერ. თავისი არსებობის მანძილზე ორკესტრს ჩატარებული აქვს 400-ზე მეტი აკადემიური და საგანმანათლებლო კონცერტი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. მის რეპერტუარშია მსოფლიო კლასიკური მუსიკისა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ასე იყო ამჯერადაც, ორკესტრის მიერ ჩატარებულ ოთხ კონცერტზე.

შავლეგ შილაკაძეს, როგორც დირიჟორს, კარგად აუბა მხარი მისმა ვაჟმა გიორგი შილაკაძემ, რომელიც წაუძღვა სამ საღამოს (ყველა გაიმართა კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში).

მოვისმინეთ რამდენიმე, თბილისში პირველად შესრულებული, ჩვენთვის მანამდე უცნობი ნაწარმოებიც, რაც, უდავოდ, ზრდის ამ კონცერტების შემეცნებით მნიშვნელობას.

პირველ კონცერტზე (2 აპრილი) შესრულდა ვიტოლდ ლიუტოსლავსკის „სამგლოვიარო მუსიკა" (მიძღვნილი ბარტოკის ხსოვნისადმი. 1958), ბრამსის სიმებიანი კვინტეტი F dur (საორკესტრო ვერსია) და

„თბილისის კონცერტინო“, დირიჟორი გ. შილაკაძე

შავლეგ შილაკაძის ცნობილი სავიოლინო კონცერტი ლელა მჭედლიძის შესანიშნავი შესრულებით. დირიჟორობდა ავტორი.

შემდეგ კონცერტზე (10 აპრილი), შესრულდა უკრაინელი კომპოზიტორის ევგენი სტანკოვიჩის (დ.1942) კამერული სიმფონია №3, მალერის გენიალური Adagietto მე-5 სიმფონიიდან და ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტი f moll (საორკესტრო ვერსია). წარმატებულ სოლისტებად მოგვევლინენ ახალგაზრდა მუსიკოსები – ქეთევან შანიძე (ფლეიტა) და ნინო გურევიჩი (ფორტეპიანო).

დიდი ინტერესი გამოიწვია მესამე კონცერტმა, სადაც მოვისმინეთ „ვენის ახალი სკოლის“ გამოჩენილი წარმომადგენლების – ანტონ ვებერნის, არნოლდ შონბერგისა და ალბან ბერგის ქმნილებები.

ვებერნის კვინტეტი ფორტეპიანოსა და სიმებიანებისათვის (1907) – მისი ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია, რომელშიც ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი კომპოზიტორის უაღრესად ორიგინალური სტილი და ხელწერა. ფორტეპიანოს რთულ პარტიას ასრულებდა ნიჭიერი პიანისტი ნუცა კასრაძე.

შონბერგის „ოდა ნაპოლეონს“ (სიმებიანი ორკესტრის, დეკლამატორისა და ფორტეპიანოსათვის, 1942), როგორც ცნობილია, დაწერილია ჯორჯ ბაირონის სატირიკული ნაწარმოების მიხედვით, რომელიც მიმართული იყო პოეტისათვის საძულველი იმპერატორ ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ (1814).

ფაშისტური გერმანიიდან დევნილი შონბერგისათვის, რომელმაც ომის წლებში თავი შეაფარა აშშ-ს, ბაირონის „ოდის“ ტექსტი ზედმიწევნით შესაფერისი იყო ფაშიზმისა და, საზოგადოდ, ძალადობის მხილებისათვის. ამით აიხსნება შონბერგის ნაწარმოების მუსიკალური ენისა და, საკუთრივ, მუსიკალური ტექსტის თავისებურება, მისი ხაზგასმულად უხეში ჟღერადობა, რომელიც, თვით კომპოზიტორის სიტყვებით, მოწოდებულია გადმოსცეს „ირონიის, ზიზღის, სარკაზმის, და-

გ. ცაგარელი, ნ.რაჯველი, ვ. აგარაშვილი

ცინვის, სიძულვილისა და აღშფოთების მრავალფეროვანი სპექტრი", რაც გამოხატულებას იღებს ფაქტურისა და ტემპის ხშირ, უეცარ ცვლაში.

ორკესტრთან და დირიჟორთან ერთად, ,,ოდის" შესრულებაში მონაწილეობდნენ პიანისტი ნინო ჟვანია და დეკლამატორი დავით ველიჯანაშვილი (ინგლისურ ენაზე).

ხალასი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭა ალბან ბერგის სამმა ადრეულმა სიმღერამ (1905), რომლებიც მშვენივრად, სტილის გრძნობით შეასრულა ნიჭიერმა ახალგაზრდა მომღერალმა სალომე ჯიქიამ.

საღამო დააგვირგვინა 15 სიმებიანი საკრავისთვის დამუშავებულმა Adagio-მ გუსტავ მალერის დაუმთავრებელი მე-10 სიმფონიიდან (1910წ.).

ერთობ „დამაინტრიგებელი" აღმოჩნდა ,,კონცერტინოს" ბოლო საღამოც (29 აპრილი), სადაც მე-20 საუკუნის მუსიკის კლასიკოსების — რიჰარდ შტრაუსისა და ბელა ბარტოკის ნაწარმოებებთან ერთად, პირველად შესრულდა ცნობილი ქართველი თანამედროვე კომპოზიტორის ზურაბ ნადარეიშვილის ფრიად საინტერესო ახალი ოპუსი — ,,ლიტანია" (კამერული ორკესტრისათვის).

ნაწარმოების სათაური მის სასულიერო ხასიათზე მიუთითებს (ლიტანია — ბერძნ. ლოცვა, რომელიც იკითხება რელიგიური დღესასწაულების დროს), თუმცა მუსიკის მხატვრული შინაარსიდან გამომდინარე, მას არა აქვს წმინდა რიტუალური, გამოყენებითი დანიშნულება. ფაქტობრივად, ეს არის საკუთარ რელიგიურ ფიქრებსა და გრძნობებში ჩაღრმავებული თანამედროვე მუსიკოსის სულიერი ინტროსპექცია.

,,ლიტანია" ორი ნაწილისაგან შედგება (უცეზუროდ). პირველ (ნელ) ნაწილში ჟღერს ე.წ. გრიგოლისეული ქორალის ამაღლებული მოტივი, მეორე (სწრაფი) ნაწილი ინტონაციურად მახვილი ფუგატოა, დასარტყამი საკრავების ხშირი გამოყენებით, რაც მკვეთრ კონტრასტს ქმნის წინა ნაწილის მიმართ. ბოლოს კი, კვლავ ჩაერთვება ქორალის (ლოცვის) მუსიკა, ამჯერად, აუდიოჩანაწერის სახით.

,,ლიტანიის" თითქმის მთელი სანოტო ტექსტი თანამედროვე მუსიკისათვის დამახასიათებელ მძაფრ, მჭახე ხმოვანებებზეა აგებული და ემყარება მოდალურ (კილოური) ვარირების პრინციპს.

პირადად მე (და, ალბათ, არა მარტო მე) პირველად მოვისმინე რ.შტრაუსის ,,მეტამორფოზები" 23 ხემიანი საკრავისათვის (ეს მისი ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოებია. 1945წ.). თავისი ფორმით იგი წარმოადგენს რამდენიმე თემის გადაბმულ გარდასახვებს (ერთ-ერთი მათგანია სამგლოვიარო მარში ბეთჰოვენის ,,გმირული სიმფონიიდან").

ვფიქრობ, ეს საკმაოდ რთული ნაწარმოები კარგად იყო შესრულებული განვითარების დინამიკური ხაზის ლოგიკურობის დაცვით. ივივე შეიძლება ითქვას ბ.ბარტოკის ცნობილი და კიდევ უფრო რთული ნაწარმოების — „მუსიკა სიმებიანი საკრავების, დასარტყამებისა და ჩელესტისათვის" — შესრულების შესახებაც (ორკესტრს აქ შეუერთდნენ პიანისტები ნინო და თამარ ჟვანიები).

მოკლედ, „კონცერტინოს" საღამოებმა საინტერესო და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით დაგვამახსოვრა თავი.

უფრო მოკლე, მაგრამ ასევე შინაარსიანი და მაღალი პროფესიული დონით იყო გამორჩეული ,,კონტრაპუნქტ" №5-ის კონცერტები, რომლებიც დაეთმო ვაჟა აზარაშვილისა და გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორის ტიგრან მანსურიანის შემოქმედებას (გაიმართა ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტ-

რის დარბაზში).

ვიდრე მათ შესახებ დავიწყებდი საუბარს, მოგაგონებთ, რომ ნ.რაჭველის მიერ დაარსებული ფესტივალის – „კონტრაპუნქტის" შემოქმედებითი არსი (და აქედან – სახელწოდებაც) გულისხმობს ორი კომპოზიტორის (ქართველისა და უცხოელის) ნაწარმოებების პარალელურ შესრულებას.

ამჯერად გაიმართა ორი კონცერტი. 20 აპრილს მოვისმინეთ ვაჟა აზარაშვილის ფლეიტისა და ალტის კონცერტები (ორკესტრის თანხლებით). პირველი მათგანი დიდი ხანია აღარ მოგვისმენია და ხელახლა გავაცნობიერეთ მისი მიმზიდველი მუსიკალური თვისებები შესანიშნავი ფლეიტისტის, არაერთი კონკურსის ლაურეატის ირაკლი ევსტაფიშვილის ინტერპრეტაციით.

ალტის კონცერტი, რომელმაც პირველი შესრულებისთანავე (1973 წ.) მოიპოვა აღიარება, ამჯერადაც წარმოჩნდა, როგორც თანამედროვე ქართული მუსიკის ნათელი ნიმუში, თავისი მუსიკალური ენით, სტილითა და ტექნოლოგიით. იგი მშვენივრად შეასრულა ცნობილმა ახალგაზრდა ნიჭიერმა მუსიკოსმა გიორგი ცაგარელმა, რომელიც, სხვათა შორის, გახლავთ ფესტივალ „კონტრაპუნქტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2008 წ.).

კომპოზიტორი ტიგრან მანსურიანი (დ. 1939 წ.) ფართო საერთაშორისო მასშტაბით არის აღიარებული. მის შემოქმედებაში ორგანულად არის შერწყმული სომხური ხალხური მუსიკის სტილისტიკა და თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნოლოგიები – დოდეკაფონია, პუანტილიზმი და, აგრეთვე – უფრო ადრინდელი – იმპრესიონიზმი.

ამჯერად, კონცერტზე შესრულდა კომპოზიტორის საორკესტრო პარტიტა (1965) და სამი არია ალტისა და ორკესტრისათვის. ამ უკანასკნელთა შესანიშნავ შემსრულებლად მოგვევლინა ცნობილი სომეხი ალტისტი – ქალბატონი კიმ კაშკაშიანი. მისი ხელოვნება, ისევე როგორც, მანსურიანის ნაწარმოებები, ღირსეულად დააფასეს ჩვენმა მსმენელებმა.

ორივე ავტორის ნაწარმოებების შესრულებას წაუძღვა ე.მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ნიკოლოზ

ტ. მანსურიანი, კ.კაშკაშიანი, ნ. რაჭველი

რაჭველი, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს თვით კომპოზიტორებმა – ვაჟა აზარაშვილმა და ტიგრან მანსურიანმა.

ერთი კვირის შემდეგ (26 აპრილს) გაიმართა ტ.მანსურიანის პერსონალური შემოქმედებითი საღამო, რომელიც მთლიანად სომეხმა მუსიკოსებმა: რუბენ ასატრიანმა (დირიჟორი), ანუშ ნიკოგოსიანმა (ვიოლინო), ლევონ არაქელიანმა (ჩელო) და არტურ ავანესოვმა (ფორტეპიანო) წარმართეს ჩვენ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ამჯერად, სომეხმა მუსიკოსებმა შეასრულეს მანსურიანის „5 ბაგატელი" საფორტეპიანო ტრიოსათვის (1985), ფანტაზია ფორტეპიანოსა და სიმებიანი საკრავებისათვის (2003), სავიოლინო (2006) და სავიოლონჩელო (1978) კონცერტები. მათი შესრულება აკმაყოფილებდა მაღალ მხატვრულ და პროფესიულ კრიტერიუმებს და სათანადოდაც იქნა დაფასებული მსმენელთა მიერ.

„კონტრაპუნქტის" კიდევ ერთი დაგეგმილი პერსონალური კონცერტი – ვაჟა აზარაშვილის ახალი საორკესტრო ნაწარმოებების შესრულებით – ტექნიკური მიზეზების გამო, შემოდგომისთვის გადაიდო. ინტერესით დაველოდებით მას ახალი ჩინებული მუსიკალური ფესტივალების მოლოდინით.

გულგათ ტორაძე

იოსებ კეჭაყმაძე

2013 წელი ქათული მუსიკალური სამყაროსათვის განსაკუთრებით მტკივნეულად დაიწყო: ზედიზედ გამოგვეცალნენ უდიდესი პიროვნებები, შეუცვლელი პიროვნებები. წინა ნომერში მოვათავსეთ კიდეც გამოსათხოვარი წერილები რუბრიკით — ,,ეპოქალური სახეები". დიახ, ეპოქალური სახეები გახლდნენ ნოდარ ანდღულაძე, თენგიზ ამირეჯიბი... მათი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისათვის... და კიდევ ერთი ძალიან მოულოდნელი, ძალიან ძლიერი და დაუნდობელი დარტყმა... გარდაიცვალა იოსებ კეჭაყმაძე...

გარდაიცვალა იოსებ კეჭაყმაძე — კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებები დიდი მოვლენაა ქართული (და არა მხოლოდ ქართული) მუსიკალური კულტურის და ამაში მერე და მერე უფრო დარწმუნდება მსმენელი, მისი ნაწარმოებების მადლს უფრო და უფრო მეტად ეზიარებიან თაობები... ჩვენ კი ამავე დროს მივსტირით განუმეორებელ პიროვნებას. ასეთი პიროვნებები ალბათ ყველა დროში ერთეულები არიან, რომლებიც იძლევიან მაგალითს, თუ როგორ შეიძლება განვლო ცხოვრების გზა ღირსებითა და კეთილშობილებით აღსავსემ. ჩვენ ამავე დროს მივსტირით ჩვენს დიდ მფარველს, ქომაგს, მზრუნველს ჟურნალ „მუსიკისა", მანამდე კი გაზეთ „მუსიკისა" იოსებ კეჭაყმაძე ფარად რომ ედგა გვერდით, შეიძლება ითქვას იბრძოდა და იღვწოდა მისი არსებობისათვის სრულიად უანგაროდ და უჩინრად. თან ამის შესახებ გაცხადების უფლებასაც არ გვაძლევდა. გვახსენდება ქვეყნის უახლოესი წარსულის ყველაზე ძნელბედობის ჟამს, როცა ინტელიგენციას განსაკუთრებით უჭირდა, შესაბამისად არც ხელფასი, არც არანაირი შემოსავალი არ არსებობდა, ამ დროს იოსებ კეჭაყმაძეს ერთგან ჰონორარი ჩაურიცხეს. ამ დროს ეს თანხა მისთვისაც რაღაც შვების მომგვრელი უნდა ყოფილყო. ბატონმა სოსომ კი ეს თანხა გაზეთ ,,მუსიკას" გადასცა, თავის ფეხით მობრძანდა რედაქციაში და გვაახლა, თან გვთხოვა არავისთვის გვეთქვა. ამ დროს ეს ჩვენთვის არამხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური თანადგომაც იყო. მარტო იმ ფაქტის შეგრძნება რად ღირდა, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ...

იოსებ კეჭაყმაძე ის ადამიანი გახლდათ, რომლის არსებობაც ჟურნალის მომზადებისას მუდამ გვახსოვდა, როგორც იტყვიან, მასზე სწორება გვქონდა. მისი გულის მოგება, ცხადია, მხოლოდ ღირსეული პოლიტიკით, ღირსეული ქცევით შეიძლებოდა. სამართლიანობითაც სამაგალითო იყო, უსამართლობისას შეუწყნარებელი. ამ დროს ისე გაფიცხდებოდა, მასში გურული წარმოშობა მთელი სიძლიერით იფეთქებდა. ხშირად, მისთვის არმოსაწონი ფაქტის შემთხვევაში, კვიმატი ნათქვამით გამოიტანდა განაჩენს. ენამოსწრებულობითაც განუმეორებელი იყო. მისი გამონათქვანები ხშირად ფართოდ გავრცელებულა... თუმცა რამდენი და რომელი ერთი უნდა გავრცელებულიყო, ბატონ სოსოს ხომ მუდამ ყველაფერზე მზად ჰქონდა პასუხი.

სულ სიკეთის ქმნაზე ფიქრობდა. ამის ერთ-ერთი თვალნათელი ნაყოფია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ცხოვრების ამ ბოლოდროინდელი გამოცოცხლება. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით შეუდგა საქართველოს კულტურის სამინისტრო ქართველი კომპოზიტორებისა და მუსიკისმცოდნეებისათვის გარკვეული პირობების შექმნას. ასე მოეწყო და ახლაც ეწყობა კონკურსები სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებისათვის, დაარსდა პრემიები — წლის საუკეთესო საკომპოზიტორო და სამუსიკისმცოდნეო ნამუშევრებისათვის, ჟურნალი ,,მუსიკაც" ხომ კულტურის სამინისტროს მატერიალური მხარდაჭერით გამოდის. ყოველივე ამისთვის კულტურის სამინისტროს სახელზე მადლობის წერილიც გავამზადეთ გამოსაქვეყნებლად, ბატონი სოსოსაგან კი წინასწარ ვიცოდით, რომ მისი სახელის ხსენების უფლება არ გვქონდა.

თავმდაბლობითაც გამორჩეული, ურთიერთობაში არასდროს გვავრძნობინებდა თავის უპირატესობას. პირიქით, ყოველი მოკითხვისა და შეხმიანებისას ისეთ მადლობას გვიხდიდა, თითქოს მისთვის იყო ეს პატივი.

იოსებ კეჭაყმაძე არა მხოლოდ განუმეორებელი შემოქმედი, არამედ განუმეორებელი პიროვნებაც გახლდათ, ასეთ ადამიანთან ურთიერთობა კი უფლის დიდი წყალობაა. უფალმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი სული.

საგუნდო მუსიკის რაინდი

ეს მცირე ნაწერი ჩვენი უკანასკნელი საუბრით მინდა დავიწყო, რამეთუ მეტად დამახასიათებელი იყო მისი ადამიანური ბუნებისთვისაც და ჩვენი, სტუდენტობის დროით დაწყებული, ურთიერთობისთვისაც. ,,გამარჯობა, ვლადიმიროვნა!" (ეს მისალმება განსაკუთრებული ქართული აქცენტით ითქმოდა ხოლმე). ,,გაგიმარჯოს Иосиф Ильич!", ამ ირონიანარევი ხუმრობით ხაზი ესმებოდა ჩვენს თავგამოდებულ მოქართულეობასაც და ასეთსავე თავგადაკლულ ანტიკომუნისტობასაც, რამეთუ ორივეს სახელ-მამისსახელები ლენინ-სტალინის ასოციაციებს უკავშირდებოდა. ამჯერად სოსოს ზარის საბაბი იყო პოეტის, მაია წიკლაური-ძიძიგურის ის-ის იყო წაკითხული პუბლიკაცია, რომელიც შეაქო, მერე კი მთხოვა რამდენიმე რჩევა გადამეცა, ,,თუკი მიიღებს, რა თქმა უნდა"-ო, დააყოლა სოსომ, მისთვის ჩვეული მოკრძალებით. მაიამ, რაღა თქმა უნდა, მადლიერებით, მეტიც, სიხარულით მიიღო რჩევა და სამომავლოდ უეჭველად გათვალისწინება აღმითქვა. ეს რჩევაც, იმდენად ტიპიურია სოსოსათვის, რომ არ შემიძლია აქ არ აღვბეჭდო. ,,მაიას უწერია, „ფიქრის გორაო". ეს კი უწინ „ფეიქრის გორა" ყოფილა. ალბათ, ფეიქართა ამქარი სახლობდა, ან მუშაობდა აქ. მერე კი უფრო პოეტური სახელი მოირგო — ფიქრის გორაო. გადაეცი, ძალიან ნიჭიერი პოეტი ქალია, მომავალში გამოადგეს, იქნებ." ეს მცირე ეპიზოდი გავიხსენე არა მხოლოდ ტიპიურობის გამო, არამედ იმადაც, რომ წარმომეჩინა, თუ როგორი იყო კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის ინტერესთა თვალსაწიერი, რას აქცევდა ყურადღებას, რას კითხულობდა, რა ამოძრავებდა. ივი შინიდან გაუსვლელად (განსაკუთრებით ბოლო წლებში) ახერხებდა ყველაფრის საქმის კურსში ყოფნას, განა მხოლოდ იმისა, რაც მის პროფესიას, უშუალოდ მუსიკას ეხებოდა, არამედ მხატვრული ლიტერატურის, პოეზიის, ზოგადად ხელოვნების, ჩვენი ბობოქარი ყოველდღიურობის, პოლიტიკის, ათწლეულების მანძილზე დაულაგებელი ქვეყნის და ა. შ. საკითხებით იყო დატვირთული. უაღრესად ფართო იყო მისი ერუდიციის საზღვრები. გამორჩეული ადგილი ეროვნულ პოეზიას ჰქონდა მიკუთვნებული. მისი შემოქმედება ამასვე ადასტურებს — წარსულის დიდ მოღვაწეთა გენიალური პოეზიის გვერდი-გვერდ მან უკვდავჰყო პოეტები, რომელთა პწკარები თავის მუსიკას შეუწყვილა, პოეტები, რომელთა სახელები მისი მუსიკის ძალით უკვდავყოფილნი იქნებიან. უკვდავყოფილნი, რადგანაც, მტკიცედ მჯერა, იოსებ კეჭაყმაძის მუსიკა იცოცხლებს მანამ, ვიდრე საქართველოში ეყვარებათ მუსიკა, დაიფასებენ ჭეშმარიტ ხელოვნებას, ანუ მარადჟამს.

ამ მცირე წერილით, რა თქმა უნდა, მიზნად არ ვისახავ კეჭაყმაძის შემოქმედებითი დანატოვარის განხილვას, მის ღირსებათა აწონ-დაწონასა და აღნუსხვას. მე მის ცალკეულ ადამიანურ თვისებებს მინდა შევეხო, რადგან მისი მემკვიდრეობის მკვლევარებისათვის მეტად სასურველად მიმაჩნია ცოდნა იმ ცალკეული წვრილმანისა, რაც ერთ-ერთი თანამედროვის მიერ შენიშნულია, ნიშნეული იყო შემოქმედისათვის, ვისი ხელითაც იწერებოდა ასეთი მუსიკა.

რა იყო გამორჩეული თვისება, იოსებ კეჭაყმაძეს რომ ახასიათებდა? მუსიკის შემდეგ, ალბათ, უწინარეს



ყოვლისა, მისი არაჩვეულებრივად სხარტი, მახვილი იუმორი, ჭეშმარიტად გურული კაცის მოსწრებული ენა. ძნელიც კია ცალკეული მახვილგონივრული გამონათქვამის გახსენება, რადგან იუმორი მას უჩქეფდა ყოველწუთიერად, თითოეული ფრაზა რა სათქმელია, თითოეულ სიტყვაში, ქარაგმებით, ორაზროვნებით, გადაკრული სიტყვით გადაპენტილ მეტყველებაში. მახსოვს, კონსერვატორიას საყვედურობდნენ, ეროვნული მუხტი მოუსუსტებსო. სოსომ კი თქვა: ,,ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია", მერაბ კოსტავა იგულისხმა, ერთადერთი დისიდენტი (როგორც მაშინ უწოდებდნენ). ერთ ხუმრობას გავიხსენებ: ,,რა მოხდა, სოსო, ასე რატომ დააგვიანე ყურმილის აღება?" ,,ოჰ, რა მექნა, ხაჭაპურის ცომში მქონდა ხელები." ყველამ კი ვიცოდით, ცომი რა სათქმელია, პური სად იყიდებოდა, ისიც კი არ უწყოდა. აქ, უსათუოდ უნდა ვახსენო მისი მეუღლე, ოლიკო, ადამიანი, ვინც იცოდა სოსო კეჭაყმაძის ჭეშმარიტი ფასი და ამიტომაც ყოფითი ყველა წვრილმანისაგან კი არა, ,,მსხვილმანებისაგანაც" გაათავისუფლა, რათა მუსიკისათვის გაენდო გულისნადები, სულისმიერი განცდა, აზრი თუ ჩანაფიქრი. მეტიც, უკანასკნელი რამდენიმე წელი სოსოს სიცოცხლე ოლიკოს მზრუნველობის დამსახურებაა. მან გადაატანინა უამრავი გულისტკენა, დაუმსახურებელი საყვედურით, უმადურობა-მუხანათობით მიყენებული ჭრილობა და მძიმე განცდა, საქართველოს ეროვნულ ჰიმნთან დაკავშირებული საგაზეთო ბინძური კამპანიები, ქუჩის გამოსვლები, თუ საკონსერვატორიო ინტრიგები...

ჩვენს ქვეყანაში (საქართველოს ვგულისხმობ, და არა საბჭოთა კავშირს, სადაც ჩვენი ცხოვრების უმეტესმა დრომ ჩაიარა) არსებული ყველა ჯილდო ჰქონდა მინიჭებული, თუმცა ამისათვის არ უბრძოლია. არ უბძოლია, ხოლო კარგად უწყოდა საკუთარი შემოქმედების ფასი. ამასთანავე, რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, იყო მოკრძალებული, მორიდებული, ტელე- ეკრანსა თუ პრესას, ტრიბუნას არ გაკარებია. არ დამავიწყდება მისი საგუნდო ციკლის ,,ძველი თბილისის სიმღერების" მოსკოვური ტრიუმფული პრემიერა, ფეხზე ამდგარი დარბაზის მქუხარე ტაში, დამსწრე აუდიტორიის დაჟინებულმა მოთხოვნამაც კი ვერ აიძულა ახალგაზრდა კომპოზიტორი თავის დასაკრავად სცენაზე ასულიყო, ბოლო რიგში მიყუჟულიყო, ღელვით აჭარხლებული. სხვა პრემიერებს კი, ვგონებ საერთოდ არ დასწრებია.

დიპლომატიური უნარი, თანდაყოლილი, მან დახვეწა ოთარ თაქთაქიშვილის მინისტრობისდროინდელ კულტურის სამინისტროში მუშაობისას. პოლიტიკისაგან განმდგარი ყველა დროის ქარტეხილებში ინარჩუნებდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მუსიკალური განყოფილების გამგისა თუ მრჩეველის თანამდებობას, თუმც აქაც უბრძოლველად, რადგან ავტორიტეტი ჰქონდა შეუვალი, ავტორიტეტი პროფესიული, პიროვნული, მატერიალურ საკითხებში უმწიკვლო, შემოქმედებაში უტეხი პრინციპულობის მქონე ადამიანისა.

კომპოზიტორი, ალბათ, ყველა უკრავს ფორტეპიანოს. მაგრამ სოსოს საკვირველი პიანისტური გაწაფულობა ჰქონდა. ნებისმიერ პარტიტურას, ახალსა, თუ ნაცნობს, ფურცლიდან ტემპში უკრავდა, ყველა ნიუანსის დაცვითა და გამომსახველობით. ამით ნაწარმოებზე სრულიად ადეკვატურ შთაბეჭდილებას აყალიბებდა. მეხსიერებაც შესაშური მოსდგამდა. იუმორით უთქვამს,

ეს აქედანაა „ნასესხები", ეს „საკუთარია გადამეორებული"–ო. უეჭველია, არ იყო ასეთი კომენტარი მავანი ავტორისათვის სასიამოვნო მოსასმენი.

ან კიდევ მისი გულმხურვალება. თვალწინ ცოცხლად მიდგას სიგარეტის ნამწვავებით აკოკოლავებული საფერფლე, როცა 9 აპრილის ამბების გამომძიებელი კომისიის დასკვნებს გადმოსცემდა მოსკოვური ტელევიზია და ჩვენ, მის კაბინეტში, სულგანაბულები, ის კი ბოლთის ცემით, გულის ბაგაბუგითა და ამავდროულად სიფიცხით, ყურს ვუგდებდით ეკრანიდან ტყვიასავით ნასროლ თითოეულ სიტყვას.

კომპოზიციათა ფორმის ამგებ პრინციპებში საოცარი პროპორციების მქონეს, დარღვეული აქვს წონასწორობა ტრაგიკულსა და კომიკურს შორის. მის მუსიკას იუმორი აკლიაო, როგორ ვიტყვი, მაგრამ სახუმაროს ადგილი ნაკლებია მის შემოქმედებაში. ტრაგიკული, მოთქმა–ვაება, სულისშემძვრელი განცდა მეტია, ჭარბობს, რადგან ასეთ ეპოქაში არგუნა უფალმა ცხოვრება. იგი ეპოქის შვილი იყო და როგორც ყველა დიდ ხელოვანს ეპოქის მოვლენები აძლევდა სტიმულს შემოქმედებით ფანტაზიას. ფანტაზია კი, სჩანს ამოუწურავი მიჰშადლა უფალმა. ან როგორ ატევდა საგუნდო მუსიკის ოთხ სანოტო ხაზზე ამდენ ფიქრს, ესოდენ ღრმა შინაარსს?! მან ხომ მიზანდასახულად შემოფარგლა საკუთარი სამოღვაწეო ასპარეზი საგუნდო მუსიკით. მეტიც, საგუნდო მუსიკის ერთი სპეციფიკური სფეროთი — a cappella გუნდით. აქაც პრინციპული იყო, ღრმად ეროვნული, დიდი ნიკო სულხანიშვილის სახელოვანი გზის ღირსეული გამგრძელებელი, ახალ სიმაღლეზე ამზიდველი.

ქართველ მუსიკოსებთან ჩემს ინტერვიუებს მუდამ გამოეხმაურებოდა ხოლმე, აზრს გამიზიარებდა. მასაც შევთავაზე ინტერვიუ. თხოვნა არაერთხელ გავუმეორე. „რა იყო, გოგო, მომკლა გინდა?", „რატომ?", „ვისაც ინტერვიუ ჩამოართვი — ყველა იქეთაა, საიქიოში, ზოგს აქ მოეჭრა თავი." „რას ამბობ?! ჩვენ ჯერაც ნორჩები ვართ, ჯერ რა დროს საიქიოა?! არც თავი გაქვს მოსაჭრელი!" ვერა, ვერ დავიყოლიე. დასანანია! მართალია, მის მუსიკაში, მის შესახებ მეტს ამოიკითხავს ადამიანი, მაგრამ მის სიტყვასაც ხომ ჰქონდა ფასი. როგორ არ აღვნიშნო მისი პრინციპულობა, ერთხელ ნათქვამს არასგზით რომ აღარ გადავიდოდა. კონსერვატორიიდან წამოსულს, იქეთ აღარ მიუხედავს.

ჩემთვის გულსატკენია უკანასკნელ ხანს იშვიათადღა რომ ვსაუბრობდით, სატელეფონო საუბრებიც კი ქანცავდა მის წყენით ნაჭრილობევ გულს. მეგობრები ვუფრთხილდებოდით, მის ზარს ველოდით ხოლმე ოდენ.

დიდუბის პანთეონის კურთხეულ მიწაზე დაიდება კიდევ ერთი საფლავის ქვა, რომელზეც მხოლოდ სახელ–გვარი იქნება ამოტვიფრული, ყოველგვარი ჩინ–მედლებისა და ტიტულების გარეშე. და როგორც ფალიაშვილის, სულხანიშვილის, ბალანჩივაძის, არაყიშვილის, დოლიძის სახელები თავადაა ყოვლისმეტყველი, იოსებ კეჭაყმაძეც აუწყებს წამკითხველს მის როლსა და ადგილს ეროვნულ სახელოვნებო საგანძურში. თანამედროვეთა, მეტადრე მომავალი თაობის, დამოკიდებულება კი საუცხოოდ გამოიხატა ერთ ქმედებაში — საგუნდო მუსიკის ახალბედა სპეციალისტებმა, სტუდენტობამ, საკუთარი პეშვით ამოავსო საფლავი, რათა ნიჩბის ცივი ლითონი არ მიჰკარებოდა ძვირფასი პიროვნების სამარადისო სავანეს!

დიაღ, დიდუბის კურთხეულ მიწაში ჩაესვენა კიდევ ერთი ნათელი სხივი და იმავდრულად ქართული მუსიკის ცის ტატნობზე გაბრწყინდა კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი — იოსებ კეჭაყმაძე — დიდი ქართველი ეროვნული კომპოზიტორისა.

რუსუდან ქუთათელაძე

დიდი კომპოზიტორი

ი.კეჭაყმაძე, ი.ბარდანაშვილი 26. 03. 1995 ბათუმი.

გარდაიცვალა იოსებ(სოსო) კეჭყყმაძე, დავწერე ეს სიტყვები, უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყოდი ავკრიფე და ავხედე კომპიუტერის უტყვ ეკრანს, ის კი არავითარ ემოციას არ ამჟღავნებს და სრული სიმშვიდით ელოდება თუ როდის გავაგრძელებ მუშაობას, მას ხომ ვერც კი წარმოუდგენია თუ ვისზეა საუბარი, რომ თემის „გმირი“ დიდი ქართველი კომპოზიტორი, იოსებ კეჭაყმაძეა, ჩემი ძვირფასი კოლეგა და დიდი ხნის სულიერი მეგობარი, ბოლო წლების განმავლობაში აქტიურ ქმედებას გარიდებული, დროის უკულმართობასა თუ ადამიანურ უმადურობას შეგუებული. ადამიანი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული თანამედროვე ქართული კლასიკური მრავალხმიანი საგუნდო მუსიკის აღზევება, რომლის განუმეორებელი პიროვნული ხიბლითაა გაჯერებული ყოველი მისი საგუნდო მინიატურა, საგუნდო ციკლი თუ საეკლესიო საგალობელი, თეატრალური თუ კინო მუსიკა.

ალბათ ყველა ბათუმელ თეატრის მოყვარულს ახსოვს სპექტაკლ „ლამარასათვის“ მის მიერ შექმნილი საოცარი საგუნდო პარტიტურა. ბათუმი ვახსენე და აქვე აღვნიშნავდი, რომ მისთვის ჩვენი პატარა ქალაქი იყო სულიერი ნავსაყუდელი, რაზეც ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია, ასევე ხშირად ვიხსენებდით ორივესათვის საყვარელ სახელებს, განსაკუთრებით კი დირიჟორ სოსო მიქელთაძეს, რომელმაც ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში მისთვის ჩვეული პროფესიული ინტუიციით მასში დაინახა მომავალი დიდი ნიჭიერება და ადრეული შემოქმედებითი ძიებების პირველი დაინტერესებული შემფასებელი გახდა. ჩვენს პირად ახლო ადამიანურ თუ კოლეგიალურ ურთიერთობას ბევრ შემთხვევაში სწორედ ჩვენს ბიოგრაფიაში არსებული „ბათუმური“ელემენტი აძლიერებდა და განსაკუთრებულ ელფერს სძენდა. წლების შემდეგ კი ერთ-ერთმა პირველმა იოსებ კეჭაყმაძემ გამოთქვა სურვილი ჩასდგომოდა სათავეში ბათუმში ახლადჩამოყალიბებული სამუსიკო კერის, კონსერვატორიის საკომპოზიტორო და საგუნდო განყოფილების წინსვლას. მას განსაკუთრებით ახარებდა ბათუმში მოქმედი საგუნდო კოლექტივების სერიოზული შემოქმედებითი წარმატებები, სწორედ ბათუმში პირველი შესრულების უფლებით გაიჟღერა ბევრმა მისმა ბოლო პერიოდში შექმნილმა ნაწარმოებმა.

დღეს საქართველომ დაკარგა არა მხოლოდ დიდი კომპოზიტორი, არამედ ქართული პოეზიის ჭეშმარიტი მოტრფიალეც, რომელმაც შესძლო მუსიკის ენაზე ახლებურად წარმოეჩინა და უკვდავეყო ქართული ხალხური თუ პროფესიული პოეზიის მარგალიტები. ჩვენ კი დავკარგეთ იშვიათი კოლეგა, კეთილმოსურნე, ხელის გამმართველი, სასიკეთო ქმედებისთვის მუდამ მზადმყოფი, ფიცხიცა და იმავდროულად ბავშვურად მიამიტი, მიმტევებელი.

მისი შემოქმედება კი დიდი ხანია რაც ორგანული ნაწილია ქართული გენოფონდისა. მან მაქსიმალურად გამოიყენა ის დრო, რაც მისთვის მიწიერი ცხოვრებისთვის იყო გამოყოფილი და ვალმოხდილი მინებდა უზენაესის ნებას.

ღმერთმა აცხონოს მისი სული!

იოსეგ ბარდანაშვილი
ისრაელი

საგუნდო მუსიკის გიგანტი

თავზარდაცემული ვარ ბატონი იოსებ კეჭაყმაძის გარდაცვალებით.

ქვეყანამ ეპოქის შემოქმედი დაკარგა, რომელიც ყოველთვის გვაოცებდა მრავალფეროვანი ტექნიკური ხერ-ხებითა თუ ნაციონალური კოლორიტით, გამომსახველობითი ხერხებითა თუ მელოდიურად მდიდარი პალიტრით.

არ ვიცი, გარკვეული პერიოდში, რა მიზეზით აკრძალა ბატონმა სოსომ თავისი თხზულებების შესრულება, გა-ოგნებული ვეუბნები: „ბატონო სოსო, კეჭაყმაძის შემოქმედება მარტო თქვენი საკუთრება არ გახლავთ, ის ყველა ჩვენგანის საკუთრებაა და იგი შინ და გარეთ უნდა ჟღერდეს“.

ცოტა ამბიციური განცხადება გახლავთ ჩემი მხრიდან, მაგრამ ეს ჩემს ემოციურ ხასიათს მიაწერეთ, მის შემოქ-მედებას უკავია ჩემი გულის დიდი ნაწილი.

მე, როგორც ერთი რიგითი მუსიკოსი, სიცოცხლის ბოლომდე ვარ და ვიქნები მისი, როგორც ჭეშმარიტად აღ-მატებული შემოქმედების პატივისმცემელი, მისი ნაწარმოებები გახლავთ მარადიული დროსთან მიმართებაში, სწორედ ამიტომ ღრმა კვალი დააჩნია მისმა შემოქმედებამ ქართულ საგუნდო ხელოვნებას, რომლის ფესვებზე გაიზრდებიან ნიჭიერი საგუნდო მოღვაწეები, დირიჟორები, კომპოზიტორები.

და რაც მთავარზე მთავარია, მის ნაწარმოებებში განფენილი საოცარი სულიერება ყოველთვის გაგვახსენებს ჩვენ ძვირფას ბატონ სოსოს.

რუსუდან ხორავა

ჭეშმარიტი მაესტრო

ქართულმა მუსიკალურმა საზოგადეობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა დიდი მაესტრო — იოსებ კეჭაყმაძე.

ჩვენ ბედმა გვარგუნა ბედნიერება გვემუშავა მის ნაწარმოებებზე. ყოველი შეხვედრა ბატონ სოსოსთან იყო უაღრესად საქმიანი, შემოქმედებითი, კრიტიკული და ამაღლებული.

ბატონი სოსო სიცოცხლის ბოლომდე გვასაზრდოებდა თავისი უშრეტი მუსიკალური განძით.

იგი უაღრესად თვითმყოფადი იყო როგორც მუსიკაში, ისე ყოფა- ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში და თუ ჩვენს შორის ასეთი გულითადობა დამყარდა, ეს უპირველესად მისი დამსახურება იყო. ბატონი სოსოს ავ-ტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ამ ურთიერთობას თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით. სწორედ ამიტომაც ვიყავით მასთან გულწრფელები და საქმეში თავდადებულები.

ჩვენ, როგორც საგუნდო დირიჟორები, ბატონი სოსოს შემოქმედებაზე ჩამოვყალიბდით და დავოსტატდით. მუშაობა მის ყოველ ახალ ნაწარმოებზე, ეს იყო სიახლე აზროვნებაში, გემოვნებაში. ის გვაძლევდა განსაკუთრე-ბულ ემოციურ მუხტს. ზოგჯერ ელვარეს, მგზნებარე სიყვარულით სავსეს, ზოგჯერ სევდიანს და ჩვენ, შემსრულებ-ლებს, უნებურად გვაიძულებდა ბგერებით გვეპოვნა ეს გარდასახვები. ბათუმის ქალთა კამერული გუნდის სახე და სავიზიტო ბარათი არის და მუდამ იქნება იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედება.

გაირა ვადაჭკორია
გელა ვადაჭკორია

„ვაჰ, დრონი, დრონი...“



ბატონი სოსო კეჭაყმაძე გარდა იმისა, რომ გამორჩეული იყო საგუნდო მუსიკის სფეროში, ასეთივე შეუდარებელი გახლდათ მისი ინტელექტით გაჯერებული, სრულიად არაორდინარული იუმორი.

ადრინდელ კულტურის სამინისტროში, დიდი ოთარ თაქთაქიშვილის მინისტრობის დროს, საოცარი გარემო სუფევდა. სოსო კეჭაყმაძესთან, რომელიც მუსიკალურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარ რედაქტორთან, ანტონ წულუკიძესთან, შემდეგ უკვე ვაჟა ბრეგაძესთან, თავს იყრიდნენ ხელოვნების ყველა დარგის ბრწყინვალე წარმომადგენლები, იმართებოდა უაღრესად საინტერესო სჯა-ბაასი, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. თანამშრომლებისათვის ეს შეხვედრები ქართული მხატვრობის, დრამატურგიის, მუსიკის სიახლეების შეცნობის, ,,კვალიფიკაციის ამაღლების“ სრულქმნილ კურსებს წარმოადგენდა. დროთა ვითარებამ ეს ჰარმონიული თანაარსებობა დაარღვია, მხოლოდ მოგონებათა ერთი დიდი ნოსტალგიური ფურცლის კუთვნილება გახადა. ალექსანდრე ჭავჭავაძისა არ იყოს — ,,ვაჰ, დრონი, დრონი...“

სწორედ ამ პერიოდის შემდეგ მავანი მინისტრის ერთ-ერთ მოადგილესთან გამართული უსაგნო თათბირის დროს ტელეფონმა დარეკა; სანამ ის ტელეფონს პასუხობდა, სოსო კეჭაყმაძემ, რომელსაც აევსო მოთმინების ფიალა, წამოიძახა — როდემდე უნდა გვმოძღვრავდეს ზაბლონა მასწავლებელი? მინისტრის მოადგილემ ყური მოჰკრა რეპლიკას და გაიკვირვა — ვინ არის ზაბლონა? იქ დამსწრე თანამშრომლებმა პასუხად მხოლოდ სიცილისაგან თავის შეკავება მოახერხეს... ბატონმა სოსომ უკვე თათბირის შემდეგ გააკეთა მისთვის ჩვეული გონებამახვილური კომენტარი — თათბირმა ერთ დიდ ,,საიდუმლოს“ ახადა ფარდა, თვალნათლივ დაგვანახა ჩვენი ზაბლონას ლიტერატურული თვალსაწიერიო. მსგავსი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს.

მრავალმხრივი ნიჭით მადლცხებული ადამიანის — იოსებ კეჭაყმაძის ხსოვნა სამარადჟამოა თითოეული ჩვენგანის არსებაში.

ვაჟა ძიგუა

ესკიზები პორტრეტისათვის

ერთხელ ლექციაზე პედაგოგმა უცნობი ნაწარმოები ჩაგვირთო და გვკითხა: ,,აბა თუ იცით ვისი ნაწარმოებიაო?", ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთმა სტუდენტმა ჩაილაპარაკა:,,რავი მე ვისია, კარგი კიაო და...". როდესაც მუსიკა ისე მოდის შენთან, ისე გტვირთავს ემოციებით და ისე გიტაცებს თავის უკიდეგანო სამყაროში, რომ ვისია, რაა, რატომ, რისთვის და როგორ... მხოლოდ მეორადი ხდება, სწორედ მაშინ შეგიძლია თქვა: ,,მუსიკა — მაგიის ყველაზე ძლიერი სახეობაა". სწორედ ასეთ მაგიას ფლობდა იოსებ კეჭაყმაძე.

***

2009 წელს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა იოსებ კეჭაყმაძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი, დირიჟორობდა ვახტანგ კახიძე, ქორმაისტერი იყო ლია ჭონიშვილი.

ეს იყო ფოიერვერკი ფანტაზიისა და საკომპოზიტორო გამომგონებლობის, ორიგინალობის, უმდიდრესი ტემბრული პალიტრის, ჰარმონიის საოცარი სიმდიდრის, აზრთა და ფერთა თამაშის... მშვენიერების, ადამიანურ განცდათა და ემოციათა უსაზღვრო გამის, ფილოსოფიური სიღრმისა თუ ეშმაკი, გამჭრიახი იუმორის, ირონიის, თუ გნებავთ, სანახაობის — თავისი ხილულობამდე, ხელშესახები ემოცია-ზმანებებით... ეს იყო მუსიკის ისეთი ზეიმი, გულგრილს რომ არავის დატოვებდა. ამ ორსაათიან კონცერტში არამცთუ ფოლკლორული ციტატა, არამედ უშუალოდ რომელიმე ხალხურ ნიმუშთან დაკავშირებული ქართული ჰარმონიებიც კი ძნელად მოსაძიებელი იყო. კომპოზიტორი მხოლოდ მისთვის ,,განდობილ" ხერხთა კონგლომერატით ახერხებს არა კონკრეტულად გურულ, ქართლ-კახურ, მთისა და სხვა კუთხეების ფოლკლორის მახასიათებელთა გამოყენებას, არამედ ამ უზღვავ მახასიათებელთა ერთობლიობით, ურთიერთდაშრევებითა და ურთიერთშეღწევადობით ქმნის ზოგადქართულ საგუნდო მუსიკალურ ენას.

როგორც აღვნიშნე, კონცერტი შესვენების გარეშე ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, და ეს იყო კონცერტი ერთ ამოსუნთქვით — ფიქრი რომ არსად გაგექცევა და წამითაც რომ არ გიტოვებს ამოსუნთქვის საშუალებას — ,,რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს"...

დამთავრდა კონცერტი და ყველას აღფრთოვანება ეწერა სახეზე. ერთ-ერთმა ფილოლოგმა ქალბატონმა, რომლიც აკადემიური მუსიკის დიდი მოყვარულია, ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ბრძანა: ,,მიყვარს მუსიკა, მაგრამ არ მეგონა რომ საგუნდო მუსიკის კონცერტს ორ საათზე მეტს ხანს ერთი ამოსუნთქვით ბოლომდე მოვისმენდი!"-ო.

***

თავზარდამცემი იყო ყველასათვის იოსებ კეჭაყმაძის გარდაცვალება. კომპოზიტორთა კავშირში ყველა დამწუხრებული იყო. შემოვიდა ერთ-ერთი კომპოზიტორი და თავისი ნრფელი გულისტკივილი გამოხატა.

გასვლისას კი ჩაილაპარაკა — ,,დიდი საგუნდო კომპოზიტორი იყო" -ო.

ამ დეფინიციამ ყური მომჭრა. განა ვინმე ამბობს ,,შოპენი — დიდი საფორტეპიანო კომპოზიტორი იყო", ან ,,ვერდი — დიდი საოპერო კომპოზიტორი" და ა.შ. ან ხარ დიდი კომპოზიტორი, ან არა! ვგონებ, არც ჟანრი და არც ჟანრთა სიმრავლე არ განსაზღვრავს შემოქმედის მასშტაბსა და სიდიდეს. ,,ზომა-წონას" მნიშვნელობა დახლთან აქვს და არა ხელოვნებაში.

დიახ, იოსებ კეჭაყმაძე, თუ ადრეულ ნაწარმოებებს და ცალკეულ მცირეოდენ გამონაკლისებს არ ჩავთვლით, ძირითადად შემოიფარგლა საგუნდო a cappella გუნდებით. მას სიმფონიები არ დაუწერია, მაგრამ სიმფონია ხომ მარტო ჟანრი და ფორმა არაა? განა გალაკტიონის ,,ნიკორწმინდა" სიმფონია არაა? როგორ აგებს ხვეულ-ხვეულ, რითმა-რითმს, ყოველ პნკარსა და ტაეპს, განა აზრის სიმფონიური მასშტაბი და სიღრმე არაა თავისი უწყვეტი დინებით, განვითარებითა და აღმასვლით, თავისი კულმინაციითა და დასკვნითი აკორდით? განა ჩვენ თვალწინ არ შენდება ეს მონუმენტური, ზემსწრაფი ნაგებობა? თვით ტაძარი ნიკორწმინდაც ხომ ,,ქვაში ამღერებული სიმფონიაა", თავისი მოღერებული ყელით, სხეულითა და მზისკენ ატოტვილი ჩუქურთმებით. ხელოვნებაში მთავარი არაა რა ჟანრს ეხები, მთავარია...:

,,აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი — ნიკორწმინდა!"

იოსებ კეჭაყმაძე საგუნდო რეგისრებს, სოლოებს, პალიტრას ისე იყენებს, თავისი საოცარი საგუნდო crescendo-ებით, diminuendo-ებითა თუ pianissimo -ებით, ხმათა და ტესიტურათა განლაგება-გადანაწილებით, შერწყმა-შეჯერებით, რომ ნებისმიერ საგუნდო ჩანახატსა თუ ტილოს სიმფონიურ მასშტაბსა და

დედასთან და ბებიასთან ერთად

ჟღერადობას სძენს, ამის დასტურად თუნდაც მხოლოდ ,,თბილისური კაპრიჩიო" გამოდგებოდა. ანდა თავისი სწრაფსათქმელებით, სიტყვის მარცვალთა თუ ცალკეულ თანხმოვანთა ოსტინატური გამეორებით განა არ ქმნის სრულიად უცხო და ამასთანავე თანამედროვე საორკესტრო ხმოვანებას? კეჭაყმაძისეული საკომპოზიტორო ტექნიკა ალბათ ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ბ-ნი სოსო ფლობდა იშვიათ უნარს — იგი ,,ბგერის სიჩუმით შემოსვის" დიდოსტატი იყო, მისი საგუნდო პიანისსიმო ხომ თუ ერთხელ მოისმენ, არასდროს დავიწყდება! სიჩუმეში გლოვა, დრამატიზმი, ეს ხომ ცოტას ხელეწიფება არა მხოლოდ მუსიკაში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიც. მახსენდება ,,ნატვრის ხეში" მარიტას ბებიის, სესილია თაყაიშვილის უსიტყვო გოდება, ენითაუწერელი სულიერი ტკივილის გენიალური მხატვრული ხორცშესხმის ნიმუში. ასეთი სულისშემძვრელი ეპიზოდები ხშირად გვხვდება იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებაში და ვინც ერთხელ მოისმენს, მას ეს არასდროს დაავიწყდება.

დიახ, იოსებ კეჭაყმაძეს სიმფონია არ დაუწერია, მაგრამ მისი საგუნდო ტილოები, ნამდვილად არის ქართული სიმფონიური აზროვნების დიდი თუ მცირე ფორმის შედევრები, გნებავთ საგუნდო უწოდეთ მათ და გნებავთ სიმფონიური...

***

,,ქორალი" — ,,მუსიკა, როგორც ჰაერის პოეზია"...

,,სოფლად სტირიან ქალები" ან ნებისმიერი საგუნდო ციკლი — საგუნდო სიმფონია...

,,კეკელჯან" — მუსიკალური ფოიერვერკი...

,,ვედრება" — ადამიანთა სევდა...

,,ლაშარის გზაზე" — საუკუნეებგამოვლილი ერის შემართება და ენერგეტიკა...

,,ეკზერსისი" — არარსიდან არსის შექმნა, ტრანსცენდენტული, კოსმიური სამყარო და ა.შ.

მთლიანობაში კი იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებას ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ ერის სულიერი ისტორია, ,,სულის სტენოგრაფია" აჟღერებული ბგერებში, რომელსაც, უდავოდ, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა აქვს, რასაც, ვფიქრობ, დრო დაადასტურებს.

***

იოსებ კეჭაყმაძესთან ახლო ურთიერთობა არ მქონია, პირადად მხოლოდ 2001 წელს გავიცანი, როდესაც ფონდმა ,,ღია საზოგადოება — საქართველომ" დამიფინანსა პროექტი ,,XX საუკუნის ქართული მუსიკა — ვიდეო-ფოტო, აუდიო არქივი", რომელზეც ბ-ნ მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტებთან ერთად ვმუშაობდი. ბ-ნ სოსოზე ვიდეო არქივი უნდა შემექმნა. ჩანაფიქრი ასეთი იყო, რომ შემოქმედებს თვითონ ესაუბრათ თავის ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე და სხვა მრავალ აქტუალურ მუსიკალურ საკითხზე.

დიდი შიში მქონდა, რომ არ დამთანხმდებოდა, რადგან კარგად ვიცოდი ბ-ნი სოსოს ზღვარგადასული თავმდაბლობა — ის არასდროს არ თანხმდებოდა ტელე და არამხოლოდ ტელე ინტერვიუებს. გასული საუკუნის უმძიმეს 90-იან წლებში გაზეთმა „მუსიკა" ჩაატარა ფართო გამოკითხვა, ვრცელი ინტერვიუები ქართული მუსიკალური ხელოვნების წამყვან მოღვაწეებთან ქართული მუსიკის იმჟამინდელ რაობაზე, პრობლემებზე და მის მომავალზე. ქართული მუსიკის წამყვანმა მუსიკოსებმა და ასევე ხელოვნების სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა მიიღეს ამ გამოკითხვა-ინტერვიუებში მონაწილეობა. ბ-ნი სოსო ძლივს დავითანხმეთ ორიოდ სიტყვა ეთქვა. არ დამავიწყდება მისი თავდაპირველი პასუხი, რომელიც ისეთივე მრავალწახნაგოვანი, ქარაგმითა თუ ირონიით აღსავსე იყო, როგორც მისი შემოქმედება. კითხვაზე: როგორ შეაფასებდა ქართული მუსიკის, კომპოზიტორთა კავშირის განვლილ გზას და მომავალს, მან გვიპასუხა:,,რასაც ვფიქრობ, იმისი თქმა არ მინდა, რასაც არ ვფიქრობ, იმას კი ვერ ვიტყვი"-ო.

ამიტომაც ჩემი შიში უარზე, შემთხვევითი არ იყო. დათანხმდა და მხოლოდ ერთი პირობით — უნდა გავეცანი და პირადად გამსაუბრებოდა. მართლაც, მივედი კულტურის სამინისტროში გასაცნობად, ვისაუბრეთ ბევრი, უპირატესად, ქართულ მუსიკასა და პოეზიაზე. ბევრი საყვარელი პოეტიც აღმოგვაჩნდა საერთო: ტიციანი, გალაკტიონი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, სხვა და სხვა. ბ-ნი სოსო ქართული პოეზიის არა მხოლოდ კარგი მცოდნე იყო, ეს ძალიან ცოტაა პოეზიისათვის, არამედ იგი საოცრად „შეიგზნობდა" თითოეული სიტყვის, მხატვრულ-პოეტური ზმანების არსს. დიახ, შემთხვევით არ მოვიხმე აქ გრიგოლ რობაქიძისეული სიტყვა ,,შეიგზნობდა" და არა შეიგრძნობდა, რადგან შეგრძნებასა და მით უფრო ცოდნას, „გზნებაც" რომ ახლავს, მხოლოდ მაშინ მოდის და მაშინაა ჭეშმარიტი ცოდნა და სიყვარული პოეზიისა და მუსიკისა.

არ ვიცი რა შთაბეჭდილება დავტოვე ბ-ნ სოსოზე მე, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ იგი დამთანხმდა გადაგვეღო საარქივო მასალა იოსებ კეჭაყმაძეზე, მხოლოდ ერთი დათქმით — მასზე უნდა ესაუბრათ სხვებს და არა თვითონ მას. მხოლოდ ერთხელ, როდესაც მისი რამდენიმე გუნდის პრემიერა გაიმართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში და ჩვენ კულისებში ვსაუბრობდით, გადამღებ ჯგუფს ვთხოვე ჩაეწერათ ჩვენი საუბარი ,,პაპარაცულად". მრცხვენია, მაგრამ ვიეშმაკე, იმდენად მინდოდა და აუცილებლად მიმაჩნდა ბ-ნ სოსოს საუბარი საკუთარ შემოქმედებაზე შემორჩენოდა არქივს და მომავალ თაობებს. ვფიქრობ, ბ-ნი სოსო მაპატიებდა!

***

გადაღებების დროს ბ-მა სოსომ დაგვრთო ნება დავსწრებოდით კონსერვატორიის საგუნდო განყოფილების სახელმწიფო გამოცდას. მე იშვიათად მინახავს ამდენი სტუდენტი ასე შეყვარებული პედაგოგში და მინდა ვთქვა, კონსერვატორიაში ასევე იშვიათად მინახავს ასე კეთილგანწყობილი პედაგოგი თავისი თუ სხვისი სტუდენტების მიმართ. უნდა გენახათ ბ-ნი სოსო, როგორ თანაუგრძნობდა თითოეულ მათგანს და როგორ ღელავდა მათ გამო. ეს უნდა გენახათ!

რაც იქ ვნახე და განვიცადე, თამამად მათქმევინებს იმას, რომ იოსებ კეჭაყმაძე არა მხოლოდ დიდი კომპოზიტორი, არამედ დიდი პედაგოგიც იყო.

დანაშაულია! ნამდვილად დანაშაულია, როდესაც ასეთ შემოქმედთან, ასეთ პიროვნებასთან ურთიერთობას მოუსპობენ სტუდენტებს და მერე ჩივიან „ეს რა ახალგაზრდობა მოდისო "(?!).

იოსებ კეჭაყმაძის დაკრძალვის დღეებში სტუდენტებმა არნახული სიყვარული და ერთგულება გამოამჟღავნეს მაესტროს მიმართ. ყველა პანაშვიდზე ბ-ნი სოსოს საგალობლებს გალობდნენ და ამ გალობას მწველი ცრემლი და წრფელი სიყვარული ახლდა თან.

***

ყველა სიკეთით დამშვენებული იოსებ კეჭაყმაძე — მაღალი, მომხიბლავი მამაკაცი, არნახულად ნიჭიერი, განათლებული, ბავშვობიდან რომ ყველა შენატროდა და მოხიბლული იყო მისით, უამრავი თაყვანისმცემლით გარშემორტყმული, იმთავითვე წარმატებული, არაერთი პრემიის ლაურეატი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში... და ასეთი თავმდაბალი? განრიდებული თავშეყრის ადგილებს (იგი ხომ საკუთარ კონცერტებსაც არ ესწრებოდა!). ასეთი დიდოსტატი — და არც ერთი მისი ნაწარმოების ნოტები მის სიცოცხლეში არ გამოცემულა, ჩანაწერებიც კი მცირეოდენი მოგვეპოვება; ორიოდე წლის წინ გამოიცა CD დისკი...

ურთიერთობის დღით დაწყებული სულ ვფიქრობდი ამაზე და ახსნას ვერ ვუძებნიდი, ეს ხომ ისეთი იშვიათობაა, მით უფრო საქართველოში.

ჩვენთვის უცნობი სოსო (მარცხნიდან მეორე ი.კეჭაყმაძე)

ახლახანს გამოცემულ არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის შესანიშნავ წიგნში ამოვიკითხე ერთი ასეთი ისტორია: მთამსვლელებს შერპი თენცინგ ნორგეის და ინგლისელ ჰილარის პირველებს დაუპყრიათ მსოფლიოს უმაღლესი და ურთულესი მწვერვალი — ჯომოლუნგმა-ევერესტი. ერთ-ერთ ჟურნალისტს, როდესაც იგი შეხვდა ჰილარის, უკითხავს, თუ მათგან ვინ შედგა პირველმა ფეხი მთის მწვერვალზე, ჰილარის უპასუხია: „მე ავედი პირველი, მივაწოდე ხელი თენცინგს და ამოვიყვანე"-ო,

თქვენ რას იტყვით ამის თაობაზეო? თენცინგს უპასუხია: „რა მნიშვნელობა აქვს ვინ ავიდა პირველი, ჯომოლუნგმა ხომ ჩვენზე დიდია" –ო. ვფიქრობ, იოსებ კეჭაყმაძის პიროვნების ჩემთვის ამოუცნობი მხარე, ამ აღმოსავლური სიბრძნის ფლობით იყო გაპირობებული...

ესეც ალბათ იოსებ კეჭაყმაძის კიდევ ერთი დიდი და უიშვიათესი ნიჭია.

***

ბ–ნ სოსოს ვთხოვეთ გადაგვეღო მისი მშობლიური სახლი ოზურგეთში, ამასთანავე გვინდოდა გავსაუბრებოდით მის ნათესავებს, ბავშვობის მეგობრებს, ოჯახის წევრებს... ივი ამაზეც დაგვთანხმდა. ესეც უჩვეულო იყო ბ–ნი სოსოს მხრიდან, თუმცა ამჯერად სრულიად სხვა რამემ გამაოგნა...

გადამღებ ჯგუფთან ერთად გავემგზავრე ოზურგეთში. სადგურში დაგვხვდა მისი ძმა და მიგვიპატიჟა სახლში, სადაც ის და მისი ოჯახი ცხოვრობდა. ყველა შესანიშნავად შეგვხვდა — მეუღლე, მათი შვილები, მეგობრები. ვისაც კი გავესაუბრეთ, ყველასაგან უდიდესი სიყვარული, პატივისცემა, აღფრთოვანება და სიამაყე იგრძნობოდა. მათ მუშაობისათვის ყველა პირობა შეგვიქმნეს, ცდილობდნენ მაქსიმალურად მოეწოდებინათ ინფორმაცია. დაგვათვალიერებინეს საოჯახო ალბომი და სიძველის მშვენიერებით გახუნებული ფოტოებიდან ჩვენს წინ გადაიშალა სოსო კეჭაყმაძის მშობლიური, ჩვენთვის უცნობი სამყარო და უცნობი სოსო კეჭაყმაძე — თვეების სოსო ბებოსთან ერთად, 7–8 წლის სოსო დედასთან ერთად, 4–5 წლის სოსო ბიძასთან ერთად, რომელიც ოდესღაც რუსეთში გამგზავრებულა და დაკარგულა. მისი სახელი სანათესაოში ლეგენდითაა მოცული... 15–16 წლის ლამაზი, მომხიბლავი ყმაწვილი შლაპით, გოგონების გარემოცვაში... უკვე დაოჯახებული სოსო თავის ეზოში ცოლ–შვილთან ერთად...

თვითონ, ბ–ნი სოსოს ძმა გვესაუბრა ბ–ნი სოსოს ბავშვობაზე, მის თავისებურებებზე; სახლში მოიწვია სოსოს ბავშვობის მეგობარი, თანაკლასელი, რომელმაც ასევე ბევრი საინტერესო რამ გვიამბო იოსებ კეჭაყმაძის სკოლაში, ბათუმის სასწავლებელში სწავლის წლებზე,

პაუარა სოსო ბიძასთან ერთად

მის გამორჩეულ ნიჭსა და თვისებებზე; შემდეგ წაგვიყვანეს ბ–ნი სოსოს მშობლიური სახლის სანახავად, სადაც ძმები კეჭაყმაძეები გაიზარდნენ — ეს იყო მშვენიერი, ორსართულიანი სახლი ხის აივნით, რომელიც უკვე სხვას ეკუთვნოდა, თუმცა სახლის ამჟამინდელმა მეპატრონეებმა დაგვრთეს ნება სახლი შიგნიდანაც გადაგვეღო. ბოლოს კი ჩვენმა გულუხვმა მასპინძელმა ოზურგეთის ღირსშესანიშნაობები დაგვათვალიერებინა და თბილისში წამოსვლამდე რესტორანში გაგვიმასპინძლდა და აი, მხოლოდ აქ შემთხვევით გავიგეთ, რომ ოჯახი მგლოვიარე იყო — მასპინძელს გარდაცვლოდა ახალგაზრდა ცოლის ძმა, რომელიც ჯერ კიდევ არ ჰყავდათ დაკრძალული!

გავოგნდით!.. ჩვენ უხერხულობას საზღვარი არ ჰქონდა!..

წამოვედი და მთელი გზა ვფიქრობდი იმ ფენომენზე ქართული სტუმარ–მასპინძლობა რომ ჰქვია, იმ საოცრებაზე ძმისა და მოყვასის სიყვარული რომაა, იმ ფენომენზე, რომელმაც წარმოშვა და საქართველოს მოუვლინა იოსებ კეჭაყმაძე — უდიდესი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და დიდი პიროვნება.

მგზია ჯაფარიძე

P.S. სტატიაში გამოყენებულია ფოტოები ახალგაზრდა რეჟისორთა კავშირის "New Studio"–ს, ჩემს მიერ მომზადებული, „XX-ს ვიდეო–ფოტო, აუდიო რქივიდან".

საგუნდო მუსიკის დიდი ოსტატი

სამშობლოსათვის დამაშვრალ ქართველთა სულებს შეუერთდა კიდევ ერთი გამორჩეული შემოქმედი — სოსო კეჭაყმაძე. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული და არა მარტო ქართული საგუნდო მუსიკის განვითარების საქმეში. იგი შეიძლება ალბათ მივაკუთვნოთ იმ იშვიათ ქართველ შემოქმედთა რიგს, რომლებიც სიცოცხლეშივე აღიარეს ცოცხალ კლასიკოსებად. თავისი დიდი და მაღალი შემოქმედებით ბ-ნი სოსო, რა თქმა უნდა, ვალმოხდილია თავისი სათაყვანებელი ერის წინაშე, მაგრამ მაინც არ მტოვებს იმისი შეგრძნება, რომ უკეთესი ჯანმრთელობით იგი ალბათ გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებდა და მოასწრებდა.

მეამაყება რომ სოსო მეგობრად მთვლიდა და ბევრჯერ ისეთი რამ გაუზიარებია ჩემთვის, რომ მეეჭვება თავისი გულისნადები და ნაფიქრალ-ნალოლიავები გეგმები ასე იოლად კიდევ ვინმე სხვისთვისაც გაენდო. არა მგონია ვცდებოდე. აგერ ბატონო, პირველად ვამბობ ამას (ახლა მაქვს ამის უფლება) — განა სოსოს გარდა ვინმეს შეეძლო ჩაეფიქრებინა კონცერტების სერია სხვადასხვა ინსტრუმენტებისათვის (ფორტეპიანოს, ვიოლინოს ფლეიტისა და ა.შ.) არა ორკესტრის, არამედ გუნდის თანხლებით! დიახ, მე მიმაჩნია, რომ მხოლოდ სოსოს შეეძლო ამდაგვარი სირთულის ჩაფიქრება და განხორციელება. რა სამწუხაროა, რომ ჯანმრთელობამ არ მისცა მას ამ უნიკალური იდეის ხორცშესხმის საშუალება. დაახლოებით ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში სოსო მუსიკას ქმნიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის ნებას და საშუალებას აძლევდა მისი არა მარტო ჯანმრთელობის გამო დაავადებული და დაზიანებული გული...

მიუხედავად ყველაფრისა სოსოს ჰქონდა არაჩვეულებრივი ხალასი, ნამდვილი გურული იუმორი. არ შემიძლია არ გავიხსენო მისთვის ძალიან დამახასიათებელი ერთი შემთხვევა: საქართველოს ჰიმნის შექმნისთანავე სოსოს ინტერვიუსათვის ეწვია ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგონა, რომელსაც სოსომ თავმდაბლად აუხსნა, რომ იგი მხოლოდ თანაავტორია და რომ ჰიმნის მუსიკის ავტორი ზაქარია ფალიაშვილია. მაშინ გოგონა დაინტერესდა თუ სად შეიძლებოდა ფალიაშვილის ნახვა (?!). სოსომ წყნარად აუხსნა გოგონას, რომ ფალიაშვილს ამ მძიმე დროში მასთან შედარებით ნაკლებად გაუმართლა და რომ იგი ფაქტობრივად უმუშევარი დარჩა და მისი ნახვა ალბათ მხოლოდ ოპერის ბაღში თუ შეიძლებოდა...

ჩემთვის უცნობია რა შედეგი გამოიღო ჟურნალისტის ოპერის ბაღში სტუმრობამ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სოსო ამ უცნაურ შემთხვევასაც ძალიან განიცდიდა...

თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ სოსომ ორი გუნდი დაწერა ჩემი ლექსების ტექსტზე — ერთს დავარქვით „ანდერძი", ხოლო მეორეს სათაურად წაუმძღვარა ერთ-ერთი სტრიქონი ლექსიდან — „ვგრძნობ სიკვდილს ვუახლოვდები". აქვე მინდა მოვიყვანო სოსოს ავტოგრაფი, რომელიც ჩემთვის ისეთივე ძვირფასი და დაუვიწყარია, როგორც სოსოს არაჩვეულებრივი პიროვნება და შემოქმედება:



დიდი მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ ეს გუნდი სოსომ მე მომიძღვნა...

სოსომ დაგვიტოვა თავისი დიდი შემოქმედება, რომელსაც სისტემაში მოყვანა, რედაქტირება და გამოცემა სჭირდება. რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ჯერჯერობით არცერთი გუნდი გამოცემული არ არის. ეჭვი არ მეპარება, რომ სოსოს დიდ შემოქმედებას აუცილებლად გამოუჩნდება გულშემატკივარი, რომელიც ამ საშვილიშვილო საქმეს ბოლომდე მიიყვანს და წარმატებით დააგვირგვინებს.

რევაზ ტაკიძე

რედაქციისაგან: საბედნიეროდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ითავა ეს მართლაც მამულიშვილური და საშვილიშვილო საქმე. მათი თაოსნობითა და დაუღალავი შრომით უკვე მზადდება ი.კეჭაყმაძის უნიკალური საგუნდო მემკვიდრეობის პირველი სრული სანოტო გამოცემა.

ნ.ᲛᲫᲘᲕᲐᲜᲘ, Გ.ᲝᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ს.ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, Ს.ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘ, Ი.ᲒᲘᲒᲐᲜᲘ, Კ.ᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ი. ᲯᲘᲝᲔᲕᲘ

„ᲙᲐᲛᲔᲠᲢᲝᲜᲘᲡ“ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

მეხუთე წელიწადია, რაც გერმანიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის Eurocon e.V–ის ეგიდით ფუნქციონირებს მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“. პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. ,,კამერტონის“ ერთ–ერთი პრიორიტეტია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელ მოზარდთა გასტროლების მოწყობა და გერმანელ თანატოლებთან ერთობლივი კონცერტების გამართვა გერმანიის ქალაქებში და ვინაიდან, პროექტი გაცვლითი ხასიათი–

ლუდმილა ფონ ბერგი

საა, მსგავსი კონცერტების ჩატარება გერმანიაში სტუმრად მყოფი ახალგაზრდების სამშობლოში. ,,კამერტონის" ხელმძღვანელია ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ***ლუდმილა ფონ ბერგი***. პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი.

„კამერტონის" პარტნიორი ქვეყნების რიგს 2011 წელს საქართველოც შეემატა. პროექტში საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელია პიანისტი ***კირა ლელაშვილი***. შარშან, საქართველოში უკვე მესამე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ლიუდმილა ფონ ბერგი რამდენიმე დღის მანძილზე ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის აღსაზრდელთა შემოქმედებას. ახალი თაობის მუსიკოსთა შთამბეჭდავმა პროფესიულმა დონემ ამჯერადაც დაიმსახურა სტუმრის მაღალი შეფასება. რამდენიმე ათეული მოზარდი მუსიკოსიდან ,,კამერტონის" 2013 წლის საგასტროლო ტურნესთვის შეირჩა ექვსი — ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის აღსაზრდელები ***სალომე ჟორდანია*** (ფორტეპიანო), ***გიორგი ოიკაშვილი*** (კლარნეტი), ***ინალ ჯიოევი*** (ჰობოი), ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეები ***ირმა გიგანი*** (ფორტეპიანო) და ***ნოდარ მდივანი*** (კლარნეტი), ე.წ. ,,ნიჭიერთა ათწლედის" მოსწავლე ***სენდი ვართანოვი*** (ვიოლინო). გიორგი ოიკაშვილი, ინალ ჯიოევი და სენდი ვართანოვი შარშანაც მონაწილეობდნენ ,,კამერტონის" ეგიდით გამართულ კონცერტებში, როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოშიც, როდესაც თბილისს საპასუხო შემოქმედებითი ვიზიტით ესტუმრნენ ბერლინის კარლ ფილიპ ემანუელ ბახის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის აღსაზრდელები და მათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში მშვენიერი ერთობლივი კონცერტიც გამართეს.

„კამერტონის" წლევანდელი საკონცერტო ტურნეც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტისა და ბერლინის სენატის მეოხებით გაიმართა.

გერმანიაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, 12 აპრილს, „კამერტონის" საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსებმა ქართველი მსმენელებისთვის გამართეს კონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში.

და აი, 19-27 აპრილს ახალგაზრდა ,,კამერტონელებმა" — ირმა გიგანმა, სენდი ვართანოვმა, ნოდარ მდივანმა, გიორგი ოიკაშვილმა, სალომე ჟორდანიამ, ინალ ჯიოევმა წარმატებით გამართეს 7 კონცერტი გერმანიის სხვადასხვა ქალაქში და უკვე სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ გასტროლის შესახებ გვესაუბრება ,,კამერტონის" საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელი **კირა ლელაშვილი:**

— არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა მოზარდებმა არათუ იმედი გაამართლეს, არამედ ყოველგვარ მოლოდინსაც გადააჭარბეს. მათ უკვე თაყვანისმცემელთა რამდენიმეათასიანი აუდიტორია ჰყავთ გერმანიის ქალაქებში. ყველა, ვინც მათ კონცერტებს დაესწრო, ძალიან ნასიამოვნები იყო ახალგაზრდების პროფესიული მომზადების დონით, ნიჭიერებით.

— რას მიაწერთ ასეთ ინტერესს და წარმატებას?

კ.ლ. — *ძალიან დიდი შრომა გავწიეთ: თითქმის 9 თვის მანძილზე სერიოზული სარეპეტიციო მომზადება გაიარეს ახალგაზრდებმა, ძალიან შეხმატკბილდნენ, შემოქმედებითად შეეწყვნენ ერთმანეთს და სასურვე-*

ლი შედეგიც წარმოჩნდა. მოგეხსენებათ, „კამერტონ-მა“ 7 კონცერტი გამართა სხვადასხვა ქალაქში მრა-ვალფეროვანი პროგრამებით, რომლებშიც ჟღერდა მოცარტის, ბეთჰოვენის, ვებერის, ტარტინის, შოპენის, შუმანის, ლისტის, კრეისლერის, ვაგნერის, შტრაუსის, სკრიაბინის, რახმანინოვის, პროკოფიევის, გლიერის, მორიკონეს, მონტის, პიაცოლას ნაწარმოებები.

ჩვენი ერთ-ერთი მიზანი ქართველი კომპოზიტო-რების შემოქმედების პოპულარიზაციაც არის და შესა-ბამისად, ყოველ კონცერტზე სრულდებოდა ქართული მუსიკაც, — პროგრამაში იყო რევაზ ლაღიძის რონდო-ტოკატა, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, მერაბ ფარ-ცხალაძის „ჩანახატი“. „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობისთ-ვის შექმნა შესანიშნავი „ნოქტიურნის“ სექსტეტისთ-ვის განკუთვნილი რედაქცია, საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორების თენგიზ ნოზაძის სექსტეტი სახელწო-დებით „ვალსი-ფანტაზია“ და ლალი საბანაძის „მუსიკა ხუთი ინსტრუმენტისთვის“.

მერწმუნეთ, ქართულმა მუსიკამ ძალიან დიდი შთა-ბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებუ-ლი წარმატება ხვდა წილად ბატონ ვაჟა აზარაშვილის „ნოქტიურნს“, რომელსაც წესისამებრ, „ბისზე“ ამეო-რებინებდნენ „კამერტონს“. ასეთი ოვაციით მთავრდე-ბოდა შეხვედრა ქართველ მუსიკოსებთან და ქართულ მუსიკასთან.

— რამდენადაც ვიცით, ერთი ფრიად ნიშანდობლი-ვი ფაქტიც მოხდა ერთ-ერთი კონცერტის დასასრულს...

კ.ლ. *— ალბათ, ტელტოვის საკათედრო ტაძარ-ში გამართულ კონცერტს გულისხმობთ... კონცერტის დაწყებამდე კლარნეტისტ გიორგი ოიკაშვილის ინსტ-რუმენტი, სიძველის გამო, მწყობრიდან გამოვიდა, მუ-სიკოსს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმდგარიყო მსმენელთა წინა-შე: მან ჯერ სალომე ჟორდანიასთან ერთად დაუკრა მასნეს „მედიტაცია“, შემდეგ კი ორი სექსტეტიც ააჟღე-რა დანარჩენ კამერტონელებთან ერთად. ეს ვითარება მსმენელთა შორის ორ ადამიანს გაუგია, მეუღლეებს — როზე და ჰანს-გეორგ ენგლიშებს და მათმა ქველ-მოქმედებამაც არ დააყოვნა: გაბრწყინებული სახით*

როზე და ჰანს- გეორგ ენგლიშები

ესაუბრა ქალბატონი როუზი გოირგის, მუსიცირება მო-უწონა, შემდეგ „კამერტონის“ ხელმძღვანელს ლუდმი-ლა ფონ ბერგს აღუთქვა, რომ ახალგაზრდას ფინან-სურად დაეხმარებოდა ახალი კლარნეტის შეძენაში და მართლაც, მათი მეოხებით გიორგი უკვე ახალთახალი ფრანგული კლარნეტით „ბუფე კრამპონით“ დაბრუნდა საქართველოში. გვინდა, თქვენი ჟურნალის ფურცლე-ბიდან კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადოთ ქველმოქმედებისთვის ენგლიშთა ოჯახს!

— გერმანელი მსმენელები განებივრებულნი არიან მაღალი დონის მუსიკოსებთან შეხვედრებით და შესა-ბამისად, გემოვნებაც დახვეწილი აქვთ...

კ.ლ. *— სწორედ ამის გათავალისწინებით მივიჩ-ნევთ, რომ „კამერტონის“ კონცერტები დიდად წარ-მატებული იყო, რასაც გერმანული პრესაც აღნიშნავს. ქართველთა ასეთი მშვენიერი კონცერტებით ძალიან კმაყოფილი იყო პროექტ „კამერტონის“ ხელმძღვა-ნელი ლუდმილა ფონ ბერგი და პროექტის მხარდამ-ჭერების - გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ბერლინის სენატის წარმო-მადგენლები; ამაყნი იყვნენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები. ერთ-ერთი კონცერტი საელჩოში გა-იმართა. ყველგან გამოითქვა „კამერტონის“ მომავალ წელსაც მოწვევის სურვილი, რაც, ცხადია, დიდ დაინ-ტერესებასა და წარმატებაზე მეტყველებს.*

თეა ყიფიანი

საინტერესო კონცერტი გამართა კონსერვატორიის მცირე დარბაზში კომპოზიტორთა კავშირთან არსებულმა ინსტრუმენტულმა ტრიომ, რომლის შემადგენლობაში არიან ჩინებული ახალგაზრდა მუსიკოსები მაია ჯინჭველაშვილი (ფორტეპიანო), ქეთევან თავშავაძე (ვიოლინო) და ია ბახტაძე (ფლეიტა).

ი. ბახტაძე, ქ. თავშავაძე, მ.ჯინჭველაშვილი

ახალი შთაგეჭდილებები

კონცერტის პირველ განყოფილებაში მაღალპროფესიულ დონეზე იქნა წარმოდგენილი მე-17-18 საუკუნეების კლასიკის ცნობილი ნიმუშები და ჩვენთან პირველად შესრულებული დარიუს მიიოს ტრიო.

მეორე განყოფილება კი მთლიანად დაეთმო კახა ცაბაძის კამერულ შემოქმედებას, სადაც ტრიოს წევრებს დაემატნენ ცნობილი საოპერო მომღერლები ელენე ჯანჯალია (მეცო-სოპრანო) და ბესიკ გაბიტაშვილი (ბარიტონი).

პირველმა მათგანმა თავისი ლამაზი ტემბრის ხმითა და დიდი მხატვრული ოსტატობით შეასრულა ანა კალანდაძის ცნობილ ლექსებზე დაწერილი რომანსები „თუთა“, „ვაჟაო, დილის მზის სხივო“, „ქართულო ცაო“ და ტერენტი გრანელის ტექსტზე — „გაზაფხულის საღამო“. მშვენივრად იქნა გადმოცემული ამ რომანსების („თუთა“, „გაზაფხულის საღამო“) ფაქიზი ლირიკული გამომსახველობა, ზოგჯერ კი („ვაჟაო, დილის მზის სხივო“, „ქართულო ცაო“), — დრამატული შემართება და ექსპრესია.

რთული შემოქმედებითი ამოცანის წინაშე იდგა ბესიკ გაბიტაშვილი, რომელმაც შეასრულა ნაირგვარი ემოციური და ფსიქოლოგიური — ძირითადად, ირონიულ-გროტესკული და ფსევდო-პათეტიკური — შინაარსის „მონოლოგი“ და წარმატებით გადალახა რომანსის ვოკალური და მხატვრულ-ინტერპრეტატორული სიძნელეები.

ჩინებულად შეასრულეს კ.ცაბაძის „ექსპრომტი“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის ნიჭიერმა მუსიკოსებმა — ქეთევან თავშავაძემ (ვიოლინო) და მაია ჯინჭველაშვილმა (ფორტეპიანო), რაც თანაბრად ეხება ნაწარმოების, როგორც ძირითად-მჩქეფარე-ვირტუოზულ (Allegro con frio), ისე ფაქიზ-ლირიკულ Meno mosso, sognando ეპიზოდებს.

მოვისმინეთ ავრეთვე ტრიოს წევრებისადმი მიძღვნილი მოხდენილი, ხალისიანი ენერგიით სავსე „სკერცო“ (ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და ფლეიტისათვის).

რაც შეეხება კ.ცაბაძის ყველა ამ მოსმენილი ნაწარმოების მუსიკას — მისი მხატვრული და პროფესიული ღირსებების შესახებ შეგვიძლია მოკლედ ვთქვათ: იმ საღამოს ჩვენ მოვისმინეთ მაღალი აკადემიური კლასისა და ესთეტიკურად მიმზიდველი თანამედროვე ქართული მუსიკა.

დიახ, ასეთად წარმომიდგება თანამედროვე ქართული მუსიკის ერთ-ერთი შემოქმედებითად პერსპექტიული და გამართლებული გზა, ე.ი. ქართული — თავისი მხატვრული არსითა და ინტონაციურ-ჰარმონიული წყობით და, ამავე დროს, თანამედროვე (ცხადია, არა „ავანგარდული“) თავისი მუსიკალური ენისა და საკომპოზიტორო ხერხების (დინამიკა, ფაქტურა, „მჭახე“ ხმოვანებათა კომპლექსი) ერთობლიობით გამორჩეული.

დაბოლოს, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ კონცერტის დასასრულს ჩვენი ნიჭიერი ტრიოს შესრულებით „ბისზე“ მოვისმინეთ შოსტაკოვიჩის შესანიშნავი „ვალსი-ხუმრობა“.

გულგათ ტორაძე

არჩილ კერესელიძე

27 მარტს, თბილისის კონსერვატორიის მუზეუმში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, დიდად კოლორიტული პიროვნების — ბატონ არჩილ კერესელიძის ხსოვნის საღამო.

საოცრად გულთბილ ატმოსფეროს, რომელიც აქ შეიქმნა, განსაზღვრავდა საზოგადოების მონატრება, დიდი ინტერესი და მონაწილეთა სურვილი პატივი მიეგოთ საყვარელი კომპოზიტორისათვის. ჩვენს წინ გაცოცხლდა მუზეუმის არქივის აუდიო და ვიდეო მასალა, ჟღერდა მისი მუსიკა. მოგონებებით გამოდიოდნენ კოლეგები, მეგობრები, თაყვანისმცემლები... იხსენებდნენ როგორც შესანიშნავ მელოდისტს, არაჩვეულებრივი იუმორის მქონე, ღირსეულ პიროვნებას...

ზოგი რამ მის შესახებ.

არჩილ კერესელიძე დაიბადა 1912წ. 12 დეკემბერს დაღესტანში, შამილის და ჰაჯი მურატის სამშობლოში აულ ღუნიბში. მამა, რომელსაც სამედიცინო განათლება ტარტუს უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული, დროებით ექიმად მუშაობდა აულში. ეს სოფელი მდებარეობს მაღალმთიან პლატოზე, თავისი დიდებული ციხე-სიმაგრით. ეჭვგარეშეა, რომ ბუნების მშვენიერების მძლავრმა განცდამ ბიძგი მისცა მომავალი კომპოზიტორის ემოციური სამყაროს გაფაქიზების და სინამდვილის მხატვრული აღქმის უნარის გაღვიძებას. მალე მათი ნამდვილად ინტელიგენტური ოჯახი თბილისში დასახლდა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბიჭუნა მიაბარეს პროფესორ ა. ვირსალაძეს, კომპოზიციაში კი მეცადინეობდა ს.ბარხუდარიანთან. მათ ოჯახთან მეგობრობდა თვით დიდი ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც თვალყურს ადევნებდა არჩილის განვითარებას. სწორედ მან შეაძენინა „ბეკერის" ფირმის როიალი, რომელიც ბოლომდე ემსახურებოდა კომპოზიტორს.

1935წ. არჩილი ჩაირიცხა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორიაში კომპოზიციის განხრით, მას ხელმძღვანელობდა მიასკოვსკი, რომელიც დიდი ავტორიტეტი გახლდათ. კონსერვატორიაში გამეფებულმა შრომის რიტმმა საგრძნობლად გაზარდა მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ. წარმოიდგინეთ რა მაღალი შემოქმედებითი ძაბვის გარემო იქნებოდა იქ, სადაც ერთდროულად სწავლობდნენ ხრენნიკოვი, ხაჩატურიანი, გილელსი, ოისტრახი, რიხტერი, როზა ტამარკინა, ფლიერი — სხვათა შორის, ეს დიდი პიანისტი წარმატებით ასრულებდა კერესელიძის ტოკატას სხვადასხვა ქალაქებში. სადიპლომო ნამუშევარი გახლდათ სიმფონია G dur. 1939წ. იგი მიიღეს საკავშირო კომპოზიტორთა კავშირის წევრად. რეკომენდაციას უწევდნენ

შაპორინი და მიასკოვსკი. მოსკოვში დაიხვეწა მისი ნიჭი, გაფართოვდა სინამდვილის მხატვრული განზოგადების უნარი და სხვათა შორის, არც დასტყობია ეროვნული სპეციფიკის გრძნობის შესუსტება. შემდეგ კერესელიძე ბრუნდება თბილისში და კონსერვატორიაში კითხულობს პოლიფონიის კურსს. მალე ბ-ნი არჩილი მიიწვიეს მარჯანიშვილის სახ. თეატრში „სოლომონ მეჯღანუაშვილის" გასაფორმებლად. ეს ის დროა, როცა თეატრი ქუხს მთელ საბჭოთა კავშირში. აქ ისეთი თანავარსკვლავედი ბრწყინავდა, როგორებიც იყვნენ ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ს. ჟორჟოლიანი, გ. შავგულიძე, ა. კვანტალიანი, შ. ღამბაშიძე, ც. წუწუნავა, ს. თაყაიშვილი, რეჟისორები: ყუშიტაშვილი, ტაბლიაშვილი, ჩხარტიშვილი.

ამ დასში მან გაიცნო ახალგაზრდა მშვენიერი ქალიშვილი — მსახიობი ნაზი ჭავჭანიძე —„Богиня!" — აღმოხდა ბატონ არჩილს და მალე იქორწინა კიდეც მასზე, ხოლო სახლში რომ მოიყვანა — როგორც ქ-ნი ნაზი ყვება — მიუთითა სამზარეულოზე — „Теперь рабыня". ნაზიკოს გაცბუნება რომ შეატყო, გაავრძელა:„Ну и чтож, Аида была тоже рабыня, но какая богиня!". თანაც გამოუცხადა თეატრის მტვერის ყლაპვას სახლის მტვერი ყლაპო და გენიოსს ემსახურო სჯობიაო. „Я — гений", ეს მისი სავიზიტო ბარათი იყო. მათ შეეძინათ ვაჟი — ჯემალი, შესანიშნავი ვაჟკაცი, რომელიც შემდგომში ასევე კინოსტუდიაში მუშაობდა. ჰქონდათ არაჩვეულებრივი, ღია, მოსიყვარულე ოჯახი. ქალბატონი ნაზი, მანამდე მედეა ჯაფარიძეს რომ უმშვენებდა გვერდს „ქეთო და კოტეს" კადრებში, აღმოჩნდა მხოლოდ ოჯახის სამსახურში, მაგრამ იგი აქაც არაჩვეულებრივი ხელოვანი გამოდგა. მეუღლის სიყვარულმა მასში სხვა ნიჭიც გამოავლინა. ნაზიკომ არჩილის გარდაცვალების შემდეგ არაჩვეულებრივად საინტერესო, გულწრფელი წიგნი მიუძღვნა ძვირფას მეუღლეს.

სხვათა შორის, ტუხამ კინაღამ ჩაშალა ჩემი და ბიძინას ქორწინება. „Поезжай, посмотри не подлежит ли сносу их дом", თორემ დარჩები როგორც მე, ჯვარცმული ქრისტესავით შიშველი ნაზიკო რომ შემრჩა ხელში! „პრაგმატულ" ბიძინას ეტყობა სახლი არ მოეჩვენა ასაღებად და საქმეც ჩაიფარცხა...

იუმორი განსაკუთრებით იზიდავდა მისკენ მეგობრების ტალღას.

...მივყვეთ დროს.

1947წ. ქართულმა ფილმმა დაიწყო „ქეთო და კოტეზე" მუშაობა ცაგარელის „ხანუმას" და დოლიძის ოპერის მიხედვით. კერესელიძემ ფილმისთვის მუსიკა შეავსო საკუთარი მელოდიებით თუ ქალაქური ინტონაციებით. ფილმში უფრო მკვეთრად გამოიხატა თბილისური ყოფის ორი შრის, ევროპულის და აღმოსავლურის საპირისპირო რიტმო-ინტონაციები, ვთქვათ კინტოს კუპლეტები, ქართული ცეკვა და მეორე მხრივ — ვალსი თუ მაზური. ბ-მა არჩილმა კოტეს პარტია ტენორიდან ბარიტონზე გადაიყვანა, შეიტანა სარომანსო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები — „ერთხელ ვიხილე", ყარაჩოხელების სერენადა „გინდ მეძინოს". ფილმმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა, მზეთუნახავი მედეა ჯაფარიძის, მსახიობების მთელი არაჩვეულებრივი დასის და კერესელიძის მუსიკის გაფორმებით, რომ ამერიკული გაზეთი „დეილი უორკერი" წერდა: „ეს სასიამოვნო, სიცოცხლით სავსე ფილმია საქართველოზე. იშვიათად რომ ჰოლივუდს შეექმნას მსგავსი რამ", ჩვენში კი ამ მელოდიებს მღეროდა ყველა და ყველგან! ყველგან ჟღერდა „ერთხელ ვიხილე", „ყელსაბამი", „მენახშირე", „საპოვნელა"...

ტუხას მართლაც ჰქონდა უტყუარი სცენური ალღო. მისი მუსიკა შემდეგ სპექტაკლებშიც, ფილმებშიც იქცა არა ილუსტრაციად, არამედ ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად. ამას მოჰყვა ფილმები: „გაზაფხული საკენში", „ილიკო და ილარიონი", „ჩვენი ეზო", „ფატიმა", „დიდოსტატის მარჯვენა"; დაიწერა ოპერეტები, მეორე სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი.

თეატრალური და კინო პრაქტიკა შესანიშნავი ნიადაგი აღმოჩნდა ოპერის შექმნისათვის და 1946წ. თბილისის ოპერის სცენაზე დიდი წარმატებით დაიდგა მაღალპროფესიული ოსტატობით შექმნილი პატრიოტული ოპერა „ბაში-აჩუკი". დიდი შთაგონებით შექმნილი ეს ოპერა 25 წლის განმავლობაში ოთხჯერ განახლებული სახით დაიდგა. ბოლოს კი აჟღერდა ქუთაისის სცენაზე.

„ბაში-აჩუკთან" დაკავშირებით ისევ მისი იუმორი გამახსენდა. ოპერას ჰყავდა ორი სცენარისტი: შალვა

ჯაფარიძე და ჭიჭიკო გელეიშვილი. როცა შალვა გარ-დაიცვალა ჭირისუფლებმა ტუხას სამგლოვიარო მან-ქანის მოყვანა დაავალეს. ისიც იფიქრეს, ვაითუ ტუხას დაავიწყდეს ან ვერ მოახერხოსო და მის ძმას ვახტან-გსაც სთხოვეს. დნიშნულ დროს ორივე მანქანა შევიდა ეზოში და ატყდა ამბავი, არა მე გამომიძახეს და არა მეო. ტუხა მოუბრუნდა მეორე სცენარისტს და ეუბნება: ჭიჭიკო, აგერ მეორე მანქანა, ამდენ ხალხს და ასეთ გასვენებას მაინც ვერ ეღირსები, ბარემ დაწექი და შენც გაგასვენებთო...

ერთ სღამოს კერესელიძეების სახლში ზარი გაის-მა. თინა ლაღიძე მღელვარებით ატყობინებს ნაზიკოს, რომ მძიმე ავარიის გამო მათი მეუღლეები საავადმ-ყოფოში წვანან — ტუხა, მილორავა, ნასიძე, საჭესთან რეზო იჯდა. ცხადია, ნაქეიფრები იქნებოდნენ, ხრამში გადავარდნილან, არავის ეგონა რომ ცოცხლები გა-დარჩებოდნენ. შევიდა თუ არა გულგახეთქილი ნაზიკო პალატაში, სახეგადაბინტული ტუხა ძლივს ლუღლუ-ღებს: ახია ჩვენზე, ილიას ობელისკთან კოლია ზებიძემ საკუთარი ლექსი, რომ წაიკითხა, ღმერთი ამას როგორ გვაპატიებდაო...

გია ყანჩელი იხსენებდა, კინომუსიკა დავწერე, დი-რექტორი და ბუღალტერი არჩილს უცდიდნენ, როგორც რედაქტორს ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოეწერა. გია, რა თქმა უნდა, უმაღლესი ხარისხის მუსიკისათ-ვის განკუთვნილ ჰონორარს მოითხოვდა. კინოსტუდიის ეზოში ძლივს იპოვეს ტუხა. ეკითხებიან — ბ-ნო არჩილ, ფილმი თუ ნახეთ?, — ვნახეო. გიას გაუხარდა, დარწმუ-ნებული იყო მხარს დაუჭერდა.

— პოლიფონიური მუსიკა თუ არის შიგ? — როგორც ჩანს, ეს ხარისხის ნიშანი იყო.

— პოლიფონია „დიდოსტატის მარჯვენაშია“, ორაზ-როვნად მოუჭრა ტუხამ და გავიდა. მისმა პასუხმა საკ-მაოდ დიდი თანხა დააკარგვინა ყანჩელს. გიამ — გავ-ბრაზდი და თან გამეცინაო, ტუხაზე გაბრაზება როგორ შეიძლებაო?

აი კიდევ ერთი კლასიკური შემთხვევა: რეზო ლა-ღიძე პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა. სტადიონ-ზე მატჩის დროს ვერტმფრენიდან ,,თბილისოს” ნო-ტები გადმოყარეს, რეზომ სიამოვნება ვერ დაფარა და გვერდზე მჯდომ ტუხას გადაულაპარაკა: ,,Смотри,

сверху мои ноты бросают!", _ „Твои бросают а мои играют _ вот так!".

როცა პიერ კობახიძე დაკრძალეს, არჩილმა პანთეონში იქვე მდგარ თეატრის დასის მმართველს შესძახა: „Какой ты завтруппы, когда вся труппа тут лежит?".

„მეგობრული ხუმრობა, ფუსფუსი, სადღაც ზედაპირზე რჩებოდა, ხოლო სულის სიღრმეში იგი ცხოვრობდა იმ დიდი, სერიოზული ცხოვრებით, რომელიც მას ქართული მუსიკის, კულტურის გამორჩეულ მოღვაწედ ქმნიდა" (ბ-ნი რეზო ჩხეიძის მოგონებიდან).

დადგა 50-იანი წლები. ქართულ კინოში ხდება თემატიკისა და ჟანრობრივი მხარის გაფართოება. უკვე მწვავედ დგება ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა. აშკარად შეინიშნება იტალიური ნეორეალიზმის შემოქმედებითი პრინციპებისადმი მიდრეკილება. კერესელიძეც პოულობს ახალ სამეტყველო ტონს. ჩხეიძე-აბულაძის მძლავრ შემოქმედებით ინტერესებს ეჯახება ჩინოვნიკური რუტინა: „მაგდანას ლურჯას" სცენარი კინაღამ ვერ დამტკიცდა, მაღალფარდოვნად აცხადებდნენ: ჩვენს დროში რა დროს სახედრებზე ფილმების გადაღებაა. მაგრამ მათი ტალანტი სწორედ იმაში გამოვლინდა, რომ მათ შესანიშნავად გადაწყვიტეს ნეორეალისტური ტენდენციებისა და ქართული ტრადიციების შეთავსების ამოცანა. ეს იყო სერიოზული ტრიუმფალური გარღვევა საერთაშორისო არენაზე. „მაგდანას ლურჯამ" ორი მსოფლიო კინოფესტივალის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედლები დაიმსახურა ედინბურგისა და მოსკოვის ფესტივალებზე.

ასევე დიდი წარმატებით იყო დემონსტრირებული სხვა ფილმებიც: „ჩვენი ეზო" და „სხვისი შვილები". ავტორიტეტულმა ჟიურიმ არჩილ კერესელიძე დაჯილდოვა I ხარისხის დიპლომით, როგორც მაღალი ნიჭის, პროფესიული ოსტატობის, კინემატოგრაფიული აზროვნების მხრივ გამორჩეული პარტიტურების შემქმნელი კომპოზიტორი.

ბატონმა არჩილმა 100-მდე სპექტაკლის, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისათვის შექმნა მუსიკა და უამრავი მაღალმხატვრული ნიმუში შესძინა სიმღერის ჟანრსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ გალაკტიონის „ვედრებაზე", რომელიც რჩება წარუდინებელი სილამაზის და სიღრმის ეტალონად.

კერესელიძე პირველი იყო, რომელმაც ძველ უხმო ქართული ფილმების აღდგენას მოჰკიდა ხელი. იგი იყო ნამდვილი კომპოზიტორი კინემატოგრაფისტი, მთელი თავისი სიღრმით რომ გრძნობდა კინოს სპეციფიკას. შექმნილი აქვს ოპერეტებიც, რომლებიც დიდი წარმატებით იდგმებოდა.

კინოში ბოლო პროექტი იყო „იავნანამ რა ჰქმნა". სცენარს რომ გაეცნო — აენთო, გულმა ბავშვობის დაღესტანი გაახსენა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მუსიკას ფილმისთვის უსათუოდ ის დაწერდა, მაგრამ ვაგლახ, რომ მის უკანასკნელ ზრახვებს აღსრულება არ ეწერა.

1971წ. 19 დეკემბერს, საღამოს, სავარძელში მჯდარს მეგობართან ტელეფონით საუბრისას შეუწყდა სიცოცხლე. ოთახში რომ შევიდნენ ტუხა აღარ იყო — იგი მარადისობაში გადასულიყო.

60 წლისაც არ იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, ჯერ იყო საქართველოს და საკავშირო კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, ორდენები, ჯილდოები ბევრი მიუღია, გარდაცვალების შემდეგ კი მიანიჭეს ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია.

მაგრამ ადამიანზე საქმენი მეტყველებენ და არა ჯილდოები.

მისი მუსიკა სამუდამოდ დარჩა ქართული ხელოვნების საგანძურში.

სხვადასხვა თაობის ქართველი ქალი-კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულება, მათი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა, სამეცნიერო კონფერენცია, საარქივო კინო და ფოტო მასალის ჩვენება, ელექტრონული მუსიკის აჟღერება, ვიდეოარტი — ყოველივე ეს გაერთიანდა ორიგინალური პროექტის „საქ-Art-ველოს" ფარგლებში. მისი ორგანიზატორებია კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრა, საქართველოს ეროვნული არქივი, თანამედროვე პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ცენტრი. ყოველივე ეს კონსერვატორიაში ერთ დღეს — 8 მარტს ჩატარდა. დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდებოდა ესოდენ უჩვეულო მუსიკალური მარათონი, რომელშიც თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა და პედაგოგთა გარდა ჩართულნი იყვნენ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლები.

ესოდენ მასშტაბური ღონისძიება ვერ ჩატარდებოდა კონსერვატორიის ადმინისტრაციის მხარდაჭერის გარეშე. პროექტის მონაწილეთა განკარგულებაში გამოყოფილი იყო სარეპეტიციო დრო, მცირე დარბაზის სცენა, აპარატურა, საგამოფენო სივრცე. დიდი მოსამზადებელი სამუშაო ძირითადად გასწიეს კომპოზიციის კათედრის პედაგოგებმა ***ეკა ჭაბაშვილმა*** *და* ***მაკა ვირსალაძემ****.*

საქArtველო

ამ ქალბატონებმა რამდენიმე კითხვაზე გამცეს პასუხი:

ა.ნ. — როგორ დაიბადა იდეა „ქალი და მუსიკა" და ატარებს თუ არა იგი ფემინისტურ ხასიათს?

ე.ჭ. — რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა ირანული წარმოშობის ამერიკულმა ორგანიზაციამ ნიუ-იორკიდან მთხოვა მონაწილეობის მიღება 8 მარტთან დაკავშირებულ კონცერტში, რომელშიც მხოლოდ ქალი კომპოზიტორების ნაწარმოებები სრულდებოდა. სწორედ ნიუ-იორკში ჩატარებულმა კონცერტმა გვიბიძგა მე და მაკა ვირსალაძეს აქაც ჩაგვეტარებინა მსგავსი რამ. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ეს ღონისძიება რაიმე სახის ფემინისტურ აქციას არ უკავშირდება.

ა.ნ. — შეიძლება თუ არა აღნიშნული ღონისძიება ტრადიციად იქცეს?

მ.ვ. — ეს სავსებით შესაძლებელია. არ არის გამორიცხული ამ პროექტის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებაც.

ა.ნ. - როგორია მონაწილეთა ასაკობრივი დიაპაზონი?

მ.ვ. — იგი ძალიან დიდია. ფესტივალში იქნება წარმოდგენილი მუსიკალური ათწლედის მოსწავლეთა, კონსერვატორიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ერთი აბიტურიენტი. კონსერვატორიის პედაგოგებიდან ვართ მე და ეკა ჭაბაშვილი, ძალიან გვიხარია, რომ ჩვენს პროექტში მონაწილეობას იღებს კომპოზიტორი მარინა ადამია, რომელიც ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს. ჩვენ გვინდოდა პროცესის უწყვეტობა გვეჩვენებინა და ქართველ ქალ-კომპოზიტორთა მუსიკის ერთგვარი პანორამული სურათი შეგვექმნა. ამიტომაც კონცერტებში აჟღერდება აგრეთვე უფროსი თაობის კომპოზიტორთა ნაწარმოებები — თამარ შავერზაშვილის, მერი დავითაშვილის, ნათელა სვანიძის.

ახლა კი, უშუალოდ 8 მარტს ჩატარებული მუსიკალური ფესტივალის შესახებ. იგი დაიწყო კონფერენციით თემაზე „ქალი და მუსიკა“, რომელსაც სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო სამსახური კურირებდა. მუსიკის თეორიის კათედრა წარმოდგენილი იყო მარიკა ნადარეიშვილის, ლეილა მარუაშვილის, მაია ტაბლიაშვილის, აგრეთვე დოქტორანტის რუსუდან თაბაგარის მოხსენებებით, ხოლო მუსიკის ისტორიის კათედრა — ნანა ლორიასა და ნანა შარიქაძის მოხსენებებით. მრავალმხრივად გაშუქდა ნათელა სვანიძის, ეკა ჭაბაშვილის შემოქმედება.

დაუმსახურებლად მივიწყებული კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის ხსოვნას მიეძღვნა ნანა ლორიას მოსხენება. ამ კომპოზიტორის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, დაკარგულია თითქმის მთელი მისი მუსიკალური მემკვიდრეობა. კონფერენციაზე აჟღერდა კინოარქივში დაცული ფრაგმენტი მის მიერ გაფორმებული მარჯანიშვილის სპექტაკლისა „ურიელ აკოსტა”, ასევე თამარ ვახვახიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა მარჯანიშვილის იუბილეზე. ვიმედოვნებთ, რომ ეს პირველი ნაბიჯია ამ კომპოზიტორის შემოქმედების გამომზეურების გზაზე.

შემდეგ ყველაფერი პროგრამის მიხედვით წარიმართა. კონფერენციას მოჰყვა კონცერტების ციკლი. მუსიკალურ ბლოკებს შორის ჩართული იყო საინტერესო საარქივო აუდიო, ფოტო და კინო მასალა, რომელიც წარმოგვიდგენდა შესანიშნავ ქართველ ქალ კომპოზიტორებს, შემსრულებლებს, პედაგოგებს.

პირველი კონცერტი ბავშვებს დაეთმო (პედაგოგები: მერი დავითაშვილი, მაკა ვირსალაძე, ეკა ჭაბაშვილი, ნუნუ დუღაშვილი, ალექსანდრე შანიძე). მეორე კონცერტის პროგრამაში აჟღერდა კონსერვატორიის სტუდენტების და ერთი კურსდამთავრებულის თამუნა ფუტკარაძის საფორტეპიანო პიესა „დროის გასწვრივ“ (შემსრულებელი ლიკა ხორბალაძე), ნათია სარაჯიშვილის საფორტეპიანო პიესა „სიგიჟის გისოსები“ (შემსრულებელი თინათინ ბაქრაძე), ნინო ჯანჯღავას საფორტეპიანო პიესები „საზაფხულო დღიური“, „სამი პიესა სიმშვიდისაკენ“ (შემსრულებლები თაკო კანდელაკი და ანა გიგაური), ახალი ტემბრული ფერი შემოიტანა ლალი საბანაძის ნაწარმოების შესრულებამ — „მუსიკა კლარნეტისა და ფორტეპიანოსათვის“ (შესრულდა ავტორისა და კლარნეტისტ ნოდარ ბიწაძის მიერ). რაც შეეხება მარიანა ჩარკვიანის ნაწარმოებს, იგი ექსპერიმენტული მუსიკის ნიმუშს წარმოადგენს. თბილისელი მსმენელისათვის რამდენადმე უჩვეულო იყო ამ ნაწარმოების ვოკალური პარტია, რომელიც მომღერლისაგან ხმის განსაკუთრებულ ფლობას მოითხოვდა, რასაც კარგად გაართვა თავი ავტორმა.

განსაკუთრებული ინტერესი დასკვნითმა კონცერტმა გამოიწვია. ნათელა სვანიძის საფორტეპიანო პიესებმა: „წრე“ და „ქარის მისტერია“ მსმენელების წინაშე ოსტატის ხელით შექმნილი შთამბეჭდავი მხატვრული სამყარო გადაშალეს. ჩანაფიქრის ორიგინალობით გამოირჩეოდა ეკა ჭაბაშვილის „მომღერალი ჟოზეფინა“ — ნაწყვეტი ოპერა/გამოფენიდან „მოხეტიალე სულები“ ფ. კაფკას მიხედვით (შემსრულებლები: ვოკალი — სალომე ჯიქია, არფა — ნინო იაშვილი, ვიოლინო — მარიამ მამარდაშვილი, ვიდეო/პროექცია ეკა ჭაბაშვილი). თანამედროვე მუსიკალური ენით და მკვეთრი სტილური კონტრასტებით იყო გადმოცემული ხელოვნების მარადიული თემა — ხელოვანისა და მისი გარემოცვის პრობლემა. ამავე კონცერტში შესრულდა მაკო ღვინიაშვილის ელექტრონული მუსიკის ნიმუში ”Shapes in space” („ფორმები სივრცეში“), კომპიუტერული გრაფიკის ავტორი ნიკა გელაშვილი. ავტორის სიტყვებით ამ ნაწარმოებში მას სურდა წარმოეჩინა საკუთა-

ე.ჯაბაშვილი

რი მუსიკა, როგორც სივრცე, ხოლო ნახატები, როგორც ინსტალაციის სახით წარმოდგენილი ფორმები.

დიდი მოწონება ხვდა წილად კომპოზიტორ მარინა ადამიას ნაწარმოებს "At the still point of the Turning World" („მბრუნავი სამყაროს უძრავ წერტილში"); შემსრულებლები: ფორტეპიანო — ნინო ჟვანია, ჩელო — მიხეილ ლომიძე, დასარტყამი ინსტრუმენტი — მარიამ მაკარაშვილი). კომპოზიციის მთავარი თემაა დრო: დროის მსვლელობის შეუქცევადობა, დაკარგული დროის შეგრძნება, რაც გამოხატულია მოძრავი გამოსახულებების, ჩრდილების, ქვიშის, ცეკვისა და მუსიკის საშუალებით.

კონცერტის დასასრულს შესრულდა მაკა ვირსალაძის ნაწარმოებები: „ვერის ხიდზე" გრიგოლ რობაქიძის ლექსებზე (შემსრულებლები: ვოკალი — კატო ვერხვიაშვილი, ფორტეპიანო — ეკა გელაშვილი, ნინო ჟვანია) და პიესა ანსამბლისთვის „პერპეტუო" (შემსრულებლები: დირიჟორი — გიორგი აფრიამაშვილი, ვიოლინო — მარიამ მამარდაშვილი, არფა — ნინო იაშვილი, ფორტეპიანო — თაკო კანდელაკი, ფლეიტა — თათა ფრანგულაშვილი, კლარნეტი — პაპუნა ჯანჯალაშვილი, დასარტყამი — მარიამ მაკარაშვილი, ირინა ქორქია, სანდრო მიშელაშვილი). ეს ნაწარმოები განსაკუთრებით საინტერესო იყო თავისი ტემბრული დრამატურგიით.

აღსანიშნავია ის საზეიმო განწყობა, რომელიც სუფევდა აქ მთელი დღის მანძილზე. კონცერტების წარმატება ბევრად განაპირობეს შემსრულებლებმა. მათ მოუხდათ ისეთი ნაწარმოებების შესწავლა, რომლებიც გამომსახველობის სრულიად ახალი ხერხების გამოყენებას მოითხოვდნენ. ამ მხრივ, როგორც სხვა დროს, გამორჩეოდა პიანისტი ნინო ჟვანია, აგრეთვე ჩელისტი მიხეილ ლომიძე და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ამ მუსიკალური დღესასწაულის იდეამ წარმატებული ხორცშესხმა ჰპოვა და ვიმედოვნებთ, რომ ეს წამოწყება სამომავლოდ ტრადიციად იქცევა.

არჩილ ნიქაცაძე



ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ – ნამდვილი ვარსკვლავთცვენა

საერთოაშორისო ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“ უკვე მე-8 წელია მასპინძლობს თბილისი და ქართული საზოგადოება. უკვე მე-8 წელია ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში ფესტივალის ორგანიზატორები ქართველ მსმენელს მსოფლიოში ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლების შემოქმედებით ანებივრებენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი არა მხოლოდ დახვეწილი, ელიტარული მსმენელისათვის კეთდება დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში. რვა წლის მანძილზე საქველმოქმედო ფესტივალის ფარგლებში არაერთი დაუვიწყარი მუსიკალური და შეიძლება ითქვას, სახალხო დღესასწაულიც კი მოეწყო საქართველოს რეგიონებში, სწორედ იმ ადამიანებისთვის ვინც ძნელად აღწევს თავს ცხოვრებისეულ რუტინას, თუმცა პროფესიონალ მსმენელზე არანაკლები ემოციით აღიქვამს და აფასებს ჭეშმარიტი ხელოვნების სიდიადეს.

ჩვენს სინამდვილეში იშვიათად მოიძებნება ისეთი მასშტაბური კულტურული ღონისძიება, რომელიც უძლებს დროს და რომელსაც უძლებენ ადამიანები...

ფესტივალმა „აღდგომიდან ამაღლებამდე“ დროთა განმავლობაში მართლაც რომ დამსახურებულად დაიმკვიდრა წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების სახელი. ის ხელს უწყობს არა მხოლოდ კლასიკური, არამედ სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის პოპულარიზაციას. ფესტივალის ფარგლებში ხშირად იმართება გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთა და ხელოვანთა ხსოვნის საღამოები.

ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ისტორია 2005 წლიდან დაიწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და მალე მისივე სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდში დაიდო ბინა, თუმცა იდეას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს...

ერთხელ ემიგრაციაში მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს (1918-21) მთავრობის მეთაურის, ნოე რამიშვილის შვილს აკაკი რამიშვილს მისი ნათესავისათვის და მომავალში ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებლის მარიამ დავითაშვილისთვის უთქვამს:„ ისეთი საქმე წამოიწყე, რომელიც წელიწადში ერთხელ ქართველებს მთელი მსოფლიოდან სამშობლოში ჩამოიყვანს.“

2005 წელს მარიამ დავითაშვილმა ფესტივალის

დაარსების თაობაზე სრულიად საქართველის კათოლიკოს-პატრიარქისაგან კურთხევა მიიღო.

ფესტივალის იდეის ავტორი მის მეგობრებს მუსიკოს ირინა სახამბერიძესა და ჟურნალისტს, ასევე მუსიკისმცოდნე მანანა ხვედელიძეს დაუკავშირდა და აგერ უკვე 8 წელია მათ მიერ დაფუძნებული აკაკი რამიშვილის ფონდი „ტრადიცია და ინოვაცია" და პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, აღდგომიდან ამაღლებამდე პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ აღიარებულ ქართველ და უცხოელ მუსიკოს-შემსრულებლებს საქართველოს დედაქალაქისა და რეგიონების საკონცერტო დარბაზებში ახვედრებს ქართულ საზოგადოებას.

ფესტივალის მცირერიცხოვან საორგანიზაციო ჯგუფს პატრიარქის საერთაშორისო ფონდში 2006-2010 წლებში ირაკლი ქადაგიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 2011 წლიდან — ლაშა ჟვანია უდგას სათავეში.

წლების განმავლობაში ფესტივალის შინაარსსა და შემოქმედებით მხარეზე ზრუნავდნენ ისეთი აღიარებული ხელოვანები, როგორებიც გახლავთ მარინე იაშვილი, ბიძინა კვერნაძე, ანზორ ერქომაიშვილი, ლიანა ისაკაძე, ნიკოლოზ რაჭველი, ვალერიან შიუკაშვილი, თუმცა ბოლო სამი წელიწადია მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ამერიკაში მოღვაწე, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ალექსანდრე კორსანტია გახლავთ. მან მთელი არსებით გაითავისა ფესტივალისა და მისი უწმინდესობის მუსიკალურ ნაწარმოებთა სულისკვეთება. საქართველოს პატრიარქთან ურთიერთობით, მისი სიკეთითა და ხელოვნებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით აღფრთოვანებული პიანისტი აგერ უკვე მესამე წელია ფესტივალის უცვლელ სამხატვრო ხელმძღვანელად რჩება.

ალექსანდრე კორსანტია:

„პატრიარქის სიბრძნის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ხელოვნებაა. მისი შემოქმედებითი ნიჭი ისეთივე ცხადი და ნათელია, როგორც მისი სულიერება.

პატრიარქის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები "Ave Maria", "Sanctus", "Agnus Dei" და "Te Deum-"-ის I ნაწილი, რომლებიც სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის არის შექმნილი, ძალიან მალე შეიყვარა მსმენელმა. მისი უწმინდესობის მუსიკა არის და ყოველთვის დარჩება საქართველოს კულტურისა და ისტორიის განუყოფელ ნაწილად. გულწრფელი თავმდაბლობა, შეუზღუდავი სიბრძნე, ულევი ინტელექტი... ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ თვისებებისა, რომელიც ხიბლავს ყველას, ვინც მას ოდესმე შეხვედრია".

ა.კორსანტია

მისი უწმინდესობის მუსიკალური ნაწარმოებები და საგალობლები მართლაც შეიყვარა მსმენელმა. მათ ხშირად ასრულებენ პროფესიულ სცენაზე სიმფონიური თუ კამერული ორკესტრის თანხლებით. მათი ორიგინალური ვერსიები გაორკესტრებული და არანჟირებულია ზვიად ბოლქვაძის, ვახტანგ კახიძის, პაატა ცეცხლაძის, ნიკოლოზ რაჭველის მიერ, თუმცა ეს არაჩვეულებრივი მუსიკალური ქმნილებები ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო რიგითი მსმენელისათვის და უცხოეთში მცხოვრე-

ალ. მაჭავარიანი

ბი ქართველი მელომანებისთვის.

ამდენად, რიგით მე-8 ფესტივალის მზადებისას საორგანიზაციო ჯგუფში პატრიარქის მუსიკალურ ნაწარმოებთა სანოტო კრებულის გამოცემის იდეა გაჩნდა და განხორციელდა კიდეც.

7 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მუსიკალურ ნაწარმოებთა სანოტო კრებულის პრეზენტაცია მოეწყო, პირველად დაიბეჭდა მისი უწმინდესობის მიერ სხვადასხვა წლებში დაწერილი საგალობლები და საგუნდო ნაწარმოებები. კრებულში ასევე შეტანილია სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის შექმნილი ნაწარმოებების კლავირი, რომლის შექმნაზეც 9 ქართველმა კომპოზიტორმა იმუშავა:

— გიორგი შავერზაშვილი — "Ave Maria", "Kyrie eleison";

— კახა ცაბაძე — "Aleluia";

— ზურაბ ნადარეიშვილი – "Sanctus";

— მიხეილ ოძელი — „ჩემი ვედრება";

— მერაბ ოძელაშვილი — "Agnus Dei";

— გიორგი ჩლაიძე — "Te Deum" (I ნაწილი);

— ნიკოლოზ რაჭველი — "Ave Maria", „ერეკლეს დალოცვა".

აღსანიშნავია ოთარ ტატიშვილის მიერ არანჟირებული და ნოტებზე გადატანილი საფორტეპიანო პიესა „ფიქრები წარსულსა და მომავალზე" და ლიანა ისაკაძის მიერ არანჟირებული "Ave Maria" ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისთვის, რომელიც მან ვახტანგ კახიძის საორკესტრო პარტიტურიდან შექმნა.

სიმონ ჯანგულაშვილი: კრებულის რედაქტორი (სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის რეგენტი):

„პატრიარქი აღნიშნავს, რომ ის არ არის პროფესიონალი კომპოზიტორი. ხშირად მიფიქრია: მის უწმინდესობას თავი ადრიდანვე რომ მუსიკისათვის მიეძღვნა, ბევრ მნიშვნელოვანსა და ღირებულს შესძენდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას. მის მუსიკალურ აზროვნებასა და შემოქმედებით მიზნებს შორის ბუნებრივი ჰარმონიული ურთიერთმიმართებაა. პატრიარქმა იცის რისთვის წერს, რისი თქმა სურს და ძალდაუტანებლად, გულში ჩამწვდომი უბრალოებით აღბეჭდილი მუსიკალური ენით ესაუბრება ღმერთსა და ადამიანებს.

კრებულის გამოცემა შესაძლებელს გახდის პატრიარქის მუსიკის კამერულ, ასევე ინდივიდუალურ და საოჯახო შესრულებას. მასზე მოთხოვნა აქვთ არა მხოლოდ სიმფონიურ ორკესტრებსა და პროფესიონალ მომღერლებს, არამედ მუსიკისმოყვარულთა ფართო წრეებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ზვიად ბოლქვაძის შემოქმედებითი თანამშრომლობის ნაყოფია ის განუმეორებელი მუსიკალური სტილი, რომელიც შესაძლოა შთაგონების წყაროდ იქცეს კომპოზიტორთა ახალი თაობებისათვის თანამედროვე რელიგიური საგუნდო მუსიკის შესაქმნელად."

8 წლის განმავლობაში ფესტივალმა „აღდგომიდან ამაღლებამდე", რომელიც ამჯერად მისი უწმინდესობის საიუბილეო თარიღებს ეძღვნება, საკმაოდ მნიშვნელო-

ვანი და საინტერესო ისტორია შექმნა თავისი ფოტო, ვიდეო და აუდიო არქივითურთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ერთგული და მუდმივი მედიაპარტნიორია „რადიო მუზა”, რომელიც ყოველწლიურად ახორციელებს ფესტივალის კონცერტების მაღალ დონეზე ჩაწერას, რითაც ამ პროექტის ისტორია და უნიკალური არქივი შეიქმნა, რაც უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია როგორც ფესტივალისთვის, ისე, საზოგადოდ, ქართული მუსიკალური კულტურისათვის.

რაც შეეხება წლევანდელ პროგრამას წინა წლების მსგავსად ისიც საკმაოდ საინტერესო იყო, როგორც შინაარსით, ისე მონაწილეთა მრავალფეროვნებითა და საშემსრულებლო დონით...

წელს ფესტვალის ფარგლებში თბილისს სტუმრობდნენ მსოფლიოში აღიარებული ისეთი ქართველი და უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლები, როგორებიც გახლავთ ვახტანგ მაჭავარიანი (დირიჟორი), კატია სკანავი (ფორტეპიანო, საბერძნეთი/რუსეთი), მარტა აბრაჰამი (ვიოლინო, უნგრეთი), გიორგი ხარაძე (ჩელო), პიეტრო გატო (ფორტეპიანო, იტალია), ვიტალი ნაზაროვი (ჰობიო, რუსეთი); ასევე თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), ნოდარ ჟვანია (ალტი), ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო), ზვიად ბოლქვაძე (კომპოზიტორი და დირიჟორი), თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“, თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი, ანსამბლი „იმერი“ რობერტ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით. ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ ევროპასა და საქართველოში მოღვაწე ბრწყინვალე ვოკალისტები: ნანა ქავთარაშვილი (მირიანი — სოპრანო), ირინე ალექსიძე (მეცო-სოპრანო), თამარ გვერდწითელი (ესტრადის მომღერალი), მარიამ როინიშვილი (სოპრანო), გიორგი ონიანი (ტენორი), გიორგი გაგნიძე (ბარიტონი), ვახტანგ ჯაშიაშვილი (ბარიტონი), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია.

7 მაისი ფესტივალის საზეიმო გახსნა...

ფესტივალი წლეულს 7 მაისს გაიხსნა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის დაბადებიდან 80 და მღვდელმთავრად კურთხევის 50 წლის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა.

ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიალს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად დაესწრო.

ლაშა ჟვანია (პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის გენერალური მენეჯერი):

„7 მაისი განსაკუთრებული დღე იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფესტივალი გაიხსნა. ამ დღეს ჩვენ დამსწრე საზოგადოებას შევთავაზეთ მისი უწმინდესობის მუსიკალურ ნაწარმოებთა სანოტო კრებული, რომელიც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ — კახა ცაბაძემ წარმოადგინა. ეს იდეა ფესტივალის მზადებისას გაჩნდა. ქართველმა კომპოზიტორებმა 9 ნაწარმოების დამუშავება შესძლეს.

ფესტივალის სიმბოლო — სააღდგომო კვერცხი, რომელიც დიდმა ადამიანმა, ცნობილმა დაღესტნელმა ხელოვანმა მანაბა მაგომედოვამ დაამზადა გადავეცით ბატონ კახა ცაბაძეს. ეს ძალზედ სიმბოლური იყო, რადგან ეს გახლდათ ქალბატონი მანაბას უკანასკნელი ნამუშევარი და ჩვენც დიდი ადამიანის ბოლო ქმნილება ყველაზე სასიქადულო მამულიშვილების გაერთიანებას „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს გადავეცით“.

კახა ცაბაძე (საქართველოს კმპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე):

„ჩვენ ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მარიამ დავითაშვილი დაგვიკავშირდა და გვამცნო ამ იდეის შესახებ. მისი უწმინდესობის მუსიკალურ ნაწარმოებთა სანოტო კრებულის გამოცემაში წვლილის შეტანა ჩვენთვის ძალზედ საამაყოა. დამეთანხმებით, ყველა შემოქმედი მის ნაწარმოებში თავის სულის ნაწილს დებს. ამ მხრივ ორმაგი ბედნიერებაა, როდესაც უწმინდესისა და უნეტარესის ნაწარმოებებს ეხები. მე მინდა ჩემს კოლეგებს და ფესტივალის ორგანიზატორებს დიდი მადლობა ვუთხრა.“

ოთარ ტატიშვილი (კომპოზიტორი):

„ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ძალზედ მნიშვნელოვანი და სასიხარულო მუსიკალური დღესასწაულია ჭეშმარიტი მუსიკის მოყვარულთათვის. ამ

მ.აბრაჰამი, ვ.მაჭავარიანი

მოლოდინს და სიხარულს რასაკვირველია აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ივი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ დღესასწაულთან და ჩვენი სულიერი მამის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სახელთან, რომელიც თავისთავად სიხარულის და ამაღლების განცდას ანიჭებს ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს.

მე ფესტივალის დაარსების დღიდან თითქმის ყოველთვის ვესწრებოდი უმეტეს ღონისძიებებს, მაგრამ წლევანდელი და შარშანდელი ფესტივალი განსაკუთრებით სასიხარულო განცდას მგვრიდა რადგან, საბედნიეროდ, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით მომეცა საშუალება ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა მის საკონცერტო პროგრამაში.

შარშან შესრულდა ჩემი ნაწარმოები „ამაღლება". ეს პრემიერა გახლდათ ჩემი სავიოლინო კონცერტის მეორე ნაწილისა, რომელსაც სპეციალისტებმა მისი ელექტრონული ვერსიის მოსმენისას დამოუკიდებელი არსებობის და შესრულების უფლება მიანიჭეს. ბატონმა საშა კორსანტიამ, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, მოიწონა ეს ნაწარმოები და ფესტივალის 2 პროგრამაში შეატანინა ორგანიზატორებს (თბილისის და ქუთაისის კონცერტებში).

ეს ნაწარმოები შეასრულა კამერულმა ორკესტრმა „სიმფონიეტამ", სოლისტი კი გახლდათ ამავე ორკესტრის შესანიშნავი მევიოლინე ნინო დავითაშვილი. წელს არანაკლებ მნიშვნელოვანი და საპატიო მისია მხვდა წილად, როდესაც ფესტივალის ორგანიზატორებმა წლევანდელი ფესტივალისთვის გადაწყვიტეს პატრიარქის მიერ შექმნილი ნაწარმოებების კლავირის გამოცემა. მე ერთ-ერთი რთული ამოცანა მხვდა წილად, რადგან უწმინდესის მიერ დაწერილ თემებზე, რომლის სანოტო ვერსია არ არსებობდა და მხოლოდ აუდიო ჩანაწერი მომაწოდეს, უნდა გადამემუშავებინა და დამეწერა საფორტეპიანო პიესა, რომელიც პიანისტურად გამართული იქნებოდა, როგორც ფაქტურის მხრივ, ასევე ფორმის თვალსაზრისითაც. კონცერტის შემდეგ ბატონი საშას, ასევე სხვა დამსწრე პროფესიონალი მუსიკოსების და თავად შემსრულებლის, შესანიშნავი ქართველი პიანისტის, თამარ ლიჩელის ქათინაური დავიმსახურე. რამდენადაც მომახსენეს პატრიარქსაც მოსწონებია.

ვღელავდი, რადგან ყოველი დისონირებული აკორდის თუ სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებისას არ ვიცოდი როგორი რეაგირება ექნებოდა უწმინდესს. ბედნიერი და მოხარული ვარ რომ ყველაფერმა წარმატებულად ჩაიარა".

როგორც გასულ წლებში, ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე" დამსწრე საზოგადოება კვლავ არაერთი სასიამოვნო სიურპრიზის მომსწრე გახდა. კონსერვატორიის ფოიეში ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის აღსაზრდელთა გამოფენა მოეწყო სახელწოდებით „საიუბილეო საადგომო გამოფენა", რომელიც საფესტივალო საღამოების განმავლობაში — 7-დან 12 მაისამდე გაგარძელდა. პირველ საღამოზე საჩუქრებით დაჯილდოვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირველი სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები და დარბაზში მყოფი საზოგადოება.

ლაშა ჟვანია:

„ჩვენი ფესტივალი ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება. ამ ღონისძიებას უკვე მერვე წელია გვერდით უდგას კომპანია „თელასი", ასევე „სოკარი" და თბილისის მერია. შევიძინეთ უამრავი პარტნიორი და მეგობარი. მათი აქტიური მხარდაჭერის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით ფესტივალის გაფართოებას. წელს 10

კონცერტის ჩატარებაა დაგეგმილი მსოფლიოში აღიარებული ქართველი და უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული გასვლები ნიქოზში, ახმეტაში, ოზურგეთში, სადაც დიდი მაესტროს, ნოდარ ანდღულაძის ხსოვნის საღამო უნდა გაიმართოს. 13 მაისს კი ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულზე, ტრადიციულად ბათუმში მოხდება ფესტივალის დახურვა.

კომპანია „პილიგრიმტუსმა“ ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე ორგანიზატორებს სანთლები შემოგვწირა, რათა აღდგომისეული იერუსალიმის სიწმინდე დარბაზში მყოფი ყოველი ადამიანის ოჯახში შესულიყო. ამავე კომპანიის ეგიდით 9 და 10 წლის სალომე და მარიამ საზანდარიშვილებს, რომელთაც მარტოხელა დედა ზრდის და წარჩინებით სწავლობენ პირველ ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში, საჩუქრად ფორტეპიანო გადავეცით.

ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში დიდ ხანს ვფიქრობდით თუ რით დაგვეჯილდოებინა ჩვენი პატრიარქი. ბოლოს კომპანია „მარილისს“ დავუკავშირდით. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ შეიქმნა შედევრი, რომლის იდეაც „მარილისის“ შემოქმედებით ჯგუფს მისი უწმინდესობის განვლილმა ცხოვრების გზამ შთააგონა. ეს გახლავთ ვაზის ჩუქურთმით, საიუბილეო თარიღების აღმნიშვნელი წარწერებითა და აკვამარინის ქვებით შემკული ვერცხლის თასი, რომელიც ზუსტად იმ მეთოდითაა ნათევი, რა გზითაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ ქართული ჭედურობის შედევრებს“

ალექსანდრე კორსანტია (ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ სამხატვრო ხელმძღვანელი):

„ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ გვიყვარს ჩვენ პატრიარქი.

ეს გახლავთ მისი არტისტული და ჰუმანიტარული ნიჭი, ჭეშმარიტი თავმდაბალი რწმენა, სიკეთე და სიწმინდე, რომელსაც ერთნაირად გასცემს თავისი ხალხისათვის. ის ალბათ ერთადერთია ვისაც შეუძლია ერის გაერთიანება, რაც კულტურისა და სულიერების მხარდაჭერით იწყება.

წლევანდელი ფესტივალი ძალზედ მრავალფეროვანია. მართალია, ძირითადად წარმოდგენილია კლასიკური მუსიკა, თუმცა გვაქვს სასულიერო და ხალხური ხელოვნების ნიმუშები. ამის ბრწყინვალე მაგალითია ანსამბლები „იმერი“ და ,,ლაშარი“, რომლებიც ახმეტაში გამართავენ კონცერტს.

კ.სკანავი

ჩვენს ფესტივალზე 7 მაისიდან 13 ივნისამდე უამრავი კლასიკოსის ნაწარმოები შესრულდა, მათ შორის სულხან ნასიძე. ასევე წელს ალექსი მაჭავარიანის საიუბილეო წელია. 9 მაისის კონცერტს მის ხსოვნას ვუძღვნით და მთლიანად მის ნაწარმოებებს ეთმობა. მე-20 საუკუნის კიდევ ბევრი სხვა შედევრი აჟღერდა ჩვენს ფესტივალზე, მათ შორის შონბერგის „ვაცისკროვნებული ღამე“.

წელს ნამდვილი ვარსკვლავთცვენა გვაქვს. სტუმრები ჩამოვიდნენ რუსეთიდან, უნგრეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან... ისინი სხვადასხვა სტილისა და სპეციალობის არიან, თუმცა ყოველი მათგანი მაღალი დონის შემსრულებელია, ისინი ქართველ კოლეგებთან ერთად ააჟღერებენ მსოფლიო შედევრებს. ჩვენ მზად ვართ იმისათვის, რომ ყველა საფესტივალო საღამო ხელოვნების ნამდვილ დღესასაწაულად ვაქციოთ.“

როგორც აღვნიშნეთ ფესტივალის ფარგლებში საქართველოს სტუმრად ეწვია და მსმენელის წინაშე წარსდგა ცნობილი პიანისტი კატია სკანავი, რომლის შესახებაც არაერთ დადებით შეფასებას ამოიკითხავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემულ პროფე-

კონცერტის შემდეგ

სიულ ჟურნალში. ის გახლავთ ვან კლაიბერნის კონკურსის ფინალისტი, ასევე იური ბაშმეტისა და გიდონ კრემერის მასშტაბის მუსიკოსებისათვის ერთ-ერთი სასურველი პარტნიორი. ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მან, პიანისტ ალექსანდრე კორსანტიასთან ერთად, 4 ხელში შეასრულა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ანდანტე G dur KV 357 ფორტეპიანოსთვის.

საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ანსამბლ „იმერის" გამოსვლა, რომელიც 4 კომპოზიციით წარსდგა მსმენელთა წინაშე.

ამავე კონცერტზე ცნობილმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „ვედრება", რომელიც ვაჟა ფშაველას ლექსზეა შექმნილი, ახალი ვერსიით — საფორტეპიანო თანხლებით წარმოადგინა. მას ღირსეული პარტნიორობა ფესტივალის ერთგულმა მეგობარმა, კონცერტმაისტერმა ვიქტორია ჩაპლინსკაიამ გაუწია.

თამარ გვერდწითელი (მომღერალი):

„ჩემთვის ამ ფესტივალში მონაწილეობა ძალზედ სასიამოვნო და პრესტიჟულია, ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მსმენელთა წინაშე, როდესაც მისი უწმინდესობის ნაწარმოებს ვასრულებ, რომელიც საოცრად შთამბეჭდავი და ემოციურია".

გულბატ თორაძე (მუსიკისმცოდნე):

,,მაღალმხატვრულ და პროფესიულ დონეზე ჩატარდა უკლებლივ ყველა კონცერტი. ფესტივალს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა მასში გამოჩენილი, მსოფლიო მასშტაბის პიანისტის ალ.კორსანტიას ხელმძღვანელობამ.

იგივე უნდა ითქვას ჩვენს სასიქადულო მომღერლებზე, რომელთაც საერთაშორისო აღიარება აქვთ მოპოვებული. საკმარისია დავასახელოთ გია გაგნიძე მეტროპოლიტენ-ოპერისა და სხვა ცნობილი თეატრების სოლისტი, ასევე გია ონიანი, ნანა ქავთარაშვილი, ირინე ალექსიძე, ვახტანგ ჯაშიაშვილი, თამარ გვერდწითელი.

ფესტივალში „აღდგომიდან ამაღლებამდე" ძალზედ სასიამოვნო ფაქტს წარმოადგენს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულის პრეზენტაცია და მისი ახალი საგუნდო-სიმფონიური ქმნილებების შესრულება. ამან დიდი მნეობრივი და მხატვრულ-ესთეტიკური კმაყოფილება მოგვანიჭა მსმენელებს. მადლობას იმსახურებენ შემსრულებლები: თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი, ასევე დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე და ქორმაისტერები ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე.

ცალკე უნდა გამოვყოთ ნიჭიერი, დღითიდღე მზარდი, ძალზე მრავალმხრივი ახალგაზრდა პიანისტი თამარ ლიჩელი, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქის საფორტეპიანო პიესა „ფიქრები წარსულსა და მომავალზე" შეასრულა.

ყველასათვის სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა ახალგაზრდა უნგრელი მევიოლინე მარტა აბრაჰამი, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა ალექსი მაჭავარიანის განთქმული სავიოლინი კონცერტი და შემდეგ ბისზე პაგანინის „კაპრისი".

სამწუხაროდ ვერ დავესწარი ახალგაზრდა იტალიელი პიანისტის პიეტრო გატოს კონცერტს, თუმცა კოლეგებისგან ვიცი, რომ ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოუხდენია მსმენელებზე... მადლობა ორგანიზატორებს კულტურისა და სულიერების ამგვარი ზეიმის მოწყობისათვის...“

ფესტივალის ფარგლებში ქართველი მსმენელის წინაშე კატია სკანავი 9 მაისის კონცერტზეც წარსდგა, რომელიც ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ცისანა ბოტკოველი (მუსიკისმცოდნე):

,,საინტერესო პროგრამებითა და შინაარსით დატვირთული საფესტივალო საღამოები მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, 9 მაისის საღამოც სწორედ ამის დასტურია.

თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრის მიერ, დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით შესრულდა ალექსი მაჭავარიანის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი 3 თხზულება. საფორტეპიანო, სავიოლინო და ჩელოს კონცერტები, რომელთაც დროთა გადასახედიდან შთამბეჭდავად გაიჟღერეს.

საფორტეპიანო კონცერტი (1944) კატია სკანავის შესრულებით აღსავსე იყო კომპოზიტორის ჩანაფიქრის გახსნით, მგზნებარე ტემპერამენტით, ქართული სიმღერისა და ცეკვის სტიქიის შესანიშნავი შეგრძნებით, ჟანრული სახეებით, ამაღლებული ლირიკით. თავის დროზე ამ კონცერტმა დიდი სიახლე შემოიტანა ეროვნულ დიდფორმიან ინსტრუმენტულ მუსიკაში და დღესაც ივივე მგზნებარებით გაიჟღერა პიანისტის შესრულებამ.

ივივე ითქმის კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის აღიარებულ სავიოლინო კონცერტზე (1950), რომელმაც დიდი მუსიკოსების რეპერტუარში დაიდო სავანე. ის არის ამ ჟანრში მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულება, რომლის თემატური მომხიბვლელობა ნათელს ჰფენს კომპოზიტორის უდიდეს ნიჭს. კონცერტის ინტერპრეტაცია წარმოაჩინა ცნობილმა უნგრელმა მევიოლინემ მარტა აბრაჰამმა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო უცხოეთში მცხოვრები ქართველი ჩელისტის, გიორგი ხარაძის მიერ დიდებულად შესრულებული ალ.მაჭავარიანის ჩელოს კონცერტი ერთ ნაწილად (1992). ეს კომპოზიტორის ბოლო თხზულებაა, რომელიც აღსავსეა ცხოვრების ფილოსოფიური აღქმის ემოციით, რთული და ვირტუოზული ფაქტურით, სიღრმეებში წვდომით, ლირიკით. კომპოზიტორის მონოლითური ჩანაფიქრი შემსრულებელმა გახსნა დიდი დამაჯერებლობით, სიდინჯით, სინატიფით, რაფინირებული ვირტუოზულობით.

9 მაისის კონცერტის მაღალმხატვრულ დონეზე მეტყველებს შემსრულებელთა — სოლისტების, ორკესტრისა და დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანის აკადემიური დონე და მუსიკალური მასშტაბი“.

საფესტივალო კონცერტებიდან აღსანიშნავია დიდი ქართველი მაესტროს და არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის პიანისტის აღმზრდელის — თენგიზ ამირეჯიბის ხსოვნის საღამო, სადაც მისმა მოწაფემ ალ.კორსანტიამ საქართველოში პირველად განსაკუთრებული ემოციითა და ჩვეული აღმაფრენით შეასრულა მოცარტის №21 საფორტეპიანო კონცერტი.

მზია ჯაფარიძე (მუსიკისმცოდნე):

,,ქართული მუსიკალური ხელოვნება დაობლდა... წელს სამი ეპოქალური ფიგურა — ნოდარ ანღულაძე, თენგიზ ამირეჯიბი, იოსებ კეჭაყმაძე გამოაკლდა ქართულ კულტურას. ისინი ხომ ქართული მუსიკალური ხელოვნების ატლანტები იყვნენ... მათი შემოქმედებითი მასშტაბი იმითაცაა ეპოქალური, რომ მათ თავიანთი დიდი შემოქმედების გარდა გზა გაკვალეს მომავლისაკენ, შექმნეს სკოლა და ისეთი შემოქმედნი დაგვიტოვეს, როგორიცაა ბ-ნ გიზი ამირეჯიბის სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ალექსანდრე კორსანტია — საოცარი პიროვნება, ადამიანი, შემოქმედი, მოღვაწე, პიანისტი.

ფესტივალის მესვეურთა ალღოსა და პროფესიონალიზმზე, მათ მაღალ შემოქმედებით თამასაზე მეტყველებს ბოლო წლების ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევანიც, რომელიც საშა კორსანტიაზე შეჩერდა—სამი წელია ივი ფესტივალის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელია. მან სრულიად განსხვავებული ხედვა, ესთეტიკა და მისი პიროვნებისათვის ესოდენ ჩვეული უშუალობა და კეთილგანწყობა შემოიტანა ფესტივალის მსვლელობაში. ყოველივე აისახა კიდეც ფესტივალის გარემოში, საკონცერტო პროგრამებში და

გ.ხარაძე

მხატვრულ ხარისხში.

ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ მნიშვნელობა, მისი მხატვრული ხარისხი, ყველა სხვა ღირსებებთან ერთად ისიცაა, რომ ამ 8 წლის მანძილზე ყოველთვის იმართება ქართული მუსიკალური კულტურის წარსულის დიდი მოღვაწეების ხსოვნის საღამოები, რითაც იდება ხიდი აწმყოსა და მომავალს შორის — თითქოს ყველა ჩვენგანის გულში ღვივდება გრძნობა, რომ ჩვენც, ამ დიდი ისტორიის თანამონაწილენი ვართ. მინდა გითხრათ, რომ ეს საღამოები განსაკუთრებით ამაღელვებელია ხოლმე. ამჯერად, 8 მაისს, კამერულ-საკრავიერი მუსიკის საღამო სწორედ ცნობილი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, საქ. სახალხო არტისტის, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის ხსოვნას მიეძღვნა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ — დაკვირვებული ვარ, როდესაც საშა კორსანტია თავის პედაგოგს, ბ-ნ გიზი ამირეჯიბს უძღვნის შესრულებას, რაღაც განსხვავებული ხდება, რაღაც მაგიური, შოკისმომგვრელი, რაც აღარასოდეს გავიწყდება. მახსენდება ბ-ნი გიზი ამირეჯიბის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო ჯ.კახიძის მუსიკალურ ცენტრში, სადაც II განყოფილებაში ალ. კორსანტიამ თავის პედაგოგს სკარლატის ნაწარმოებებით მიულოცა იუბილე — ეს იყო რაღაც... რაღაც გასაოცარი, დაუვიწყარი და იმ შავ-ბნელ 1997 წელს, ეს განუმეორებელი შთაბეჭდილება დიდხანს, დიდხანს გაგვყვა, როგორც სულიერი კათარსისი და იმედი...

და ახლაც, ბისზე, საშამ, წინათქმით — „ბატონ გიზის“, შეასრულა მოცარტის №12, F dur სონატის პოეტურობით აღსავსე Adagio, ამჯერად უკვე მოცარტის „შუამავლობით“ ივი თითქოს ესაუბრებოდა თავისი პედაგოგის დახვეწილ, ფაქიზ, არისტოკრატულ, ამაღლებულ სულს და ჩვენც ამ „კავშირის“ თანამონაწილე გაგვხადა... როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ალექსანდრე კორსანტიამ გაგვაოცა!.. გაგვიტაცა ბგერების ირეალურ სამყაროში... მან პირველივე ბგერიდან დაიპყრო მსმენელი და ბოლო ბგერამდე სუნთქვა შეკრული გვამყოფა... მთელი დარბაზი სავსე იყო მუსიკით, ყველა მხრიდან ბგერები გვმოსავდა. ეს კორსანტიასეული სამყაროა, რომელიც გიტაცებს და გძირავს მშვენიერ, გამოუცნობ, ულამაზეს სამყაროში — საოცარი ფრაზირებით, ტუშეთი, ბგერათა პალიტრის მდიდარი გრადაციებით, მრავლისმეტყველი და „მყღერი“. მისი ბგერები ისეთივე ფაქიზი, გამჭვირვალე და ღრმაა, ისეთივე სითბოთი და სიყვარულით, პოეტურობითაა აღსავსე, როგორც თვითონ საშას პიროვნება.

ის, რასაც კორსანტია გვთავაზობს ხოლმე, ხშირად ტრადიციული, სტერეოტიპული ჩარჩოების მიღმაა (თუნდაც მანამდე შესრულებული მოცარტის 21 საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად კორსანტიასეული კადენციებით), რაც იქნებ ზოგს არც კი მოსწონს, მაგრამ დიდი ტალანტი ჩარჩოებში ვერასდროს ეტევა — ეს მაღალი მუსიკაა, მუსიკა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებს.,. ამ შესრულებით საშა კორსანტიამ ბ-ნი გიზისადმი გამოხატა ის, რაც სიტყვებით არ ითქმის — და იქ, სადაც სიტყვები უძლურნი არიან — იწყება მუსიკა!...

საშამ კვლავ გვაჩუქა დაუვიწყარი წუთები“...

12 მაისს თბილისის საფესტივალო საღამოების დახურვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა. შესრულდა ალ. მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, ბიძინა კვერნაძის, სულხან ნასიძისა და რევაზ ლაღიძის ნაწარმოებები.

ეს გახლდათ ქართული ვოკალური მუსიკის დაუვიწყარი საღამო, რომელსაც 90 – იან წლებში ტერიტორიული მთლიანობისათვს დაღუპულ გმირთა დედების გაერთიანება „არდავიწყების“ წევრები და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრო.

ირაკლი ალასანია:

„პატიება, მიტევება, ეს არის ვაჟკაცობისა და გამბედაობის ყველაზე დიდი მაგალითი. ჩვენ ყველას გვქონდა გულში შურისძიების განცდა იმის გაცნობიერების შემდეგ, თუ რა სისასტიკითა და ყოველგვარი მორალის დარღვევით ექცეოდნენ ჩვენს გმირებს აფხაზეთში, მაგრამ ჩვენ ყველანი მივედით იმ დასკვნამდე, რომ შურისძიებითა და სისხლით ვერ დავიბრუნებთ ვერც აფხაზეთს და ვერც ცხინვალელ ოსებს.

პატრიარქი ყოველთვის ბრძანებს, რომ არის ერთადერთი გზა – პატიების და მიტევების. ახლა ამ დარბაზში სამხედრო პირები ვიმყოფებით და ჩვენი უპირველესი ვალია ამ გზის დაცვა. დაღუპულ გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მხოლოდ პატიების გზით სიარული უნდა ვისწავლოთ და დავუბრუნოთ აფხაზები ქართველებს, ქართველები კი აფხაზებს.

ჩვენ ყველას გვახსოვს ჟიული შარტავა, მაგრამ მასთან ერთად სოხუმის დაცემისას იქ იყო უამრავი ქართველი ახალგაზრდა მეომარი...

მე მინდა გავიხსენო ერთი ამაზრზენი ფრაგმენტი: როდესაც ალყაშემორტყმულ ჩვენს ერთ-ერთ მეომარს სთხოვდნენ დაჩოქილიყო, მან უპასუხა „არასოდეს ცხოვრებაში“. ეს გახლდათ სოხუმის იმდროინდელი მერი გურამ გაბისკირია. ჩემთვის ეს საქციელი და ეს ადამიანი არის მაგალითი გმირული სულისკვეთებისა.

დიდი მადლობა პატრიარქის ფონდს, მის ხელმძღვანელს, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფს, რომ ბრწყინვალე შვიდეულის კვირის დასასრულს ეს დაუვიწყარი ღონისძიება ჩვენს დაღუპულ გმირებს მიუძღვენეს.“

საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი ილია II

ფესტივალის თბილისის დასკვნითი კონცერტის საფინალო აკორდი გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის “TE DEUM”-ის მეორე ნაწილის პრემიერა და “SANCTUS”-ი.

არანჟირებისა და გაორკესტრების ავტორი – დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე, ქორმაისტერები ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე.

ზვიად ბოლქვაძე:

„რა თქმა უნდა, უდიდესი პატივი, სიხარული და წყალობაა რომ უწმინდესის მუსიკასთან მაქვს სიახლოვე. არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ ძალიან ძლიერ ზემოქმედებას და ძალას, როცა მის საგალობლებზე ვმუშაობ. თუნდაც ის ფაქტი, რომ ,”TE DEUM’’-ის მეორე ნაწილის (და არამარტო) არანჟირება და გაორკესტრება ძალზე მცირე დროში მოხდა. მუშაობის პროცესში სულ მეგონა, რომ ვერ მოვასწრებდი. მე მთელი ჩემი არსებით და შესაძლებლობებით ვმუშაობ მისი უწმინდესობის საგალობლებზე, რისთვისაც მადლობა უფალს! რაც შეეხება ფესტივალს, უკვე წლები გრძელდება ჩვენი თანამშრომლობა და ვფიქრობ, მას დიდი როლი მიუძღვის პროფესიული მუსიკის განვითარებაში და კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას...

ზუსტად ამ ფესტივალში ქართველ მსმენელს აქვს

საშუალება მოისმინოს არაერთი ბრწყინვალე შემსრულებელი, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი. წარმატებებს ვუსურვებ ამ ფონდის თითოეულ თანამშრომელს.“

ფესტივალის რეგიონალური გასვლა, როგორც აღვნიშნეთ, წლეულს საქართველოს 4 ულამაზეს კუთხეში დაიგეგმა. აღდგომიდან ამაღლებამდე პერიოდში სოფელ ნიქოზის (ეპისკოპოსის სასახლე), ახმეტის (ქვემო ალვანის კულტურის სახლი), ოზურგეთის (ალ.წუწუნავას სახ. დრამატული თეატრი) და ბათუმის (მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზი) მოსახლეობა, დაუვიწყარი საფესტივალო საღამოების მომსწრე გახდა.

განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა ალექსანრე კორსანტიას, გიორგი ონიანსა და „საქართველოს სიმფონიეტას“ შიდა ქართლის საზღვრისპირა რეგიონის სოფელ ნიქოზის მოსახლეობა...

ალექსანდრე კორსანტია

„ამ დარბაზში განსაკუთრებული აურაა, ეს არის რეგიონის კულტურისა და სულიერების ცენტრი. ჩემთვის თქვენს წინაშე გამოსვლა ძალზედ ემოციურია, ამ ადგილიდან სულ რაღაც 800 მეტრში ხელისგულივით მოსჩანს ცხინვალი...

მადლობა მეუფე ისაიას ასეთი გულთბილი მასპინძლობისათვის, ის დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. გამოგიტყდებით, თბილისშიც კი იშვიათია ასეთი დახვეწილი მსმენელი, ამ პატარა სოფელში მართალც რომ დიდი მუსიკალური ინტელექტით დაჯილდოებული ხალხი ცხოვრობს. ჩვენ აქ აუცილებლად დავბრუნდებით“.

მეუფე ისაია:

„დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მასშტაბის მუსიკოსების სტუმრობა ყველგან უხარიათ, მაგრამ ისე, როგორც ჩვენ გავიხარდა, არა მგონია ვინმეს გახარებოდა. აქ, ამ დარბაზში, ყველაფერი ჩვენი ხელით არის გაკეთებული, იმედია როიალიც მოგეწონათ. ჩვენ ძალიან გვჭირდება თქვენი თანადგომა და სულიერ-კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცება. დღეს სოფელ ნიქოზში ნამდვილი სახალხო დღესასწაულია. იმედი მაქვს მომავალ წელსაც გვეწვევით“.

ფესტივალი გრძელდება... 31 მაისს ქვემო ალვანის კულტურის სახლი რევაზ კიკნაძესა და მის ჯაზ-ბენდს უმასპინძლებს, ახმეტელი მსმენელის წინაშე წარსდგებიან გიორგი უშიკიშვილი და ფოლკლორული ანსამბლები.

11 ივნისს ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ამ კუთხის გამორჩეულ შვილს, დიდ მაესტროს — ნოდარ ანდღულაძეს მისი აღზრდილი მომღერლები გაიხსენებენ.

13 ივნისს, კი ფესტივალი ბათუმში მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში დაიხურება.

დასკვნით კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა (ხელმძღვანელი ლელა დოლიძე, ასევე სოლისტები — ქეთევან ბადრიძე (ფორტეპიანო), სალომე ჯიქია (სოპრანო), ირინე ალექსიძე (მეცო-სოპრანო), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი) და ვახტანგ ჯაშიაშვილი (ბარიტონი). სადირიჟორო პულტთან იქნება ცნობილი დირიჟორი დავით მუქერია.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს კონცერტებიც ისეთივე დაუვიწყარი იქნება მსმენელისთვის, როგორც თბილისსა და ნიქოზში გამართული საფესტივალო საღამოები.

თათია ჯაჯკორია

„მთიები“

ქართული სიმღერა: მხოლოდ გადარჩენა?

ქართულ ხალხურ სიმღერას დღევანდელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მსმენელი ჰყავს. ფოლკლორული სიმღერა სოფლად ძლივსღა ბჟუტავს, თუმცა ქალაქად ფუნქციონირებს მრავალი მეორადი ფოკლორული ანსამბლი; ამასთან, სიმძაფრეს არ კარგავს სხვადასხვა მოსაზრებათა დაპირისპირება „ნამდვილი ფოლკლორის“ თემაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი დაპირისპირება იშვიათად სცილდება კულუარულ საუბრებს, ხოლო თუ სცილდება, მკაცრი შეფასების ტონით უფროა შეფერილი, ვიდრე — თანამშრომლობის სულით.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორულ შემსრულებლობაზე დღეს შეხედულებათა ორი, ხშირად დაპირისპირებული, სისტემა ჩამოყალიბდა. ამ ორ პლატფორმას გასხვავებული შემფასებლური კრიტერიუმები აქვს. მათ მომხრეებს მე პირობითად (მხოლოდ ამ წერილში)

„ავთენტიკოსებსა“ და „ესთეტებს“ ვუწოდებდი.

„ავთენტიკოსებისთვის“ მთავარია: 1) რამდენად ახლოა მოცემული სიმღერა ფოლკლორულ დედანთან (უარი ხმების არატრადიციულად გადაწყობას, ნიმუშის დილეტანტურად, ეკლექტიკურად გადამუშავებას); 2) რამდენად ტრადიციულია შესრულების ფორმები (უდირიჟორობა, თითო სოლისტი, ანტიფონი, რეპერტუარის სქესობრივი კუთვნილების დაცვა) და არტიკულაცია (მოცემული დიალექტისათვის დამახასიათებელი); 3) რამდენად ცდილობს შემსრულებელი, განერიდოს ევროპულ ტემპერაციას („პიანინოს წყობას“) და იმღეროს (ან დაუკრას) ხალხური ტემპერაციით („კილოში“); 4) რამდენად განერიდება შემსრულებელი არატრადიციული სტილის, სცენურ ეფექტებს (შემსრულებელთა აკუსტიკურად მომგებიანი განლაგება, ახალი თეატრალური ეფექტები, პომპეზური დაბოლოება, რუბატო); 5) რამდენად შეაცნობინებს შემსრულებელი მსმენელს ქართული სიმღერის სულს და დაარწმუნებს მას, რომ სიმღერის ეს მაღალგანვითარებულობა პროფესიონალი მუსიკოსის ჩაურევლად, ხალხის წიაღში იპოვება.

მაშასადამე, „ავთენტიკოსისთვის“ შესრულებული ხალხური ნიმუშის შეფასებისას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ორგანულად ამოიზრდება განსახილველი ფაქტი ფოლკლორული შემოქმედებითი და საშემსრულებლო ტრადიციებიდან. ამავე დროს მეორადი მნიშვნელობისაა (და არა — მეხუთედი) ის, თუ როგორი მუსიკალური ოსტატობითაა შესრულებული ნიმუში. „ავთენტიკოსისათვის“ მხატვრული სახის შექმნისას დიდ როლს ასრულებს ეთნოგრაფიული ელემენტი, რადგან სწორედ მისი ადეკვატური გადმოცემა იძლევა „ხალხის სულის“ შეცნობის საშუალებას, „ხალხური რეალობის“ ეფექტს.

რაც შეეხება „ესთეტებს“, მათი ინტერესების სფეროში შემოდის შემდეგი ფაქტორები: 1) რამდენად ხარისხიანად სრულდება ნიმუში; ქართულ სიმღერას მომღერლები უნდა ასრულებდნენ („ყელის მქონენი“) და არა — ერთი განზრახვით შეკრებილი ამხანაგები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს აქვს კარგი ხმა; 2) ტრემოლაცია ბუნებრივი შედეგია კარგი ხმისა, ხოლო დიალექტური შესრულების მიბაძვა მანერულობაში არ უნდა გადაიზარდოს; 3) სცენას თავისი მოთხოვნები აქვს შესრულების ფორმების მხრივ და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს (ხმების გაორმაგება, სცენური ეფექტები, ზოგჯერ დირიჟორიც); 4) ქართული სიმღერა კარგად ჰგუობს ევროპულ ტემპერაციას, ეს სისტემა მუსიკის ზოგადი განვითარების შედეგია და „ხალხური კილოს“ ძიებები სახიფათო და ზედმეტია; 5) მსმენელი, მით უმეტეს — უცხოეთის დიდი საკონცერტო დარბაზებისა, მაღალი დონის შესრულებას არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე — თავად შესასრულებელ ნიმუშს.

მაშასადამე, „ესთეტები“ მიიჩნევენ, რომ ხალხური ნაწარმოები კვალიფიციურად უნდა „შეიფუთოს“, რათა მას მუშტარი გამოუჩნდეს. ისინი მიიჩნევენ, რომ დროთა განმავლობაში ჩამონაკვთილი ვარიანტები ხალხური სიმღერისა საუკეთესო, დაკრისტალებული ნიმუშებია და მათი სხვა ვარიანტებით გარემოცვა ზედმეტია. მათი თვალთახედვით, სცენაზე გამოტანილი ხალხური სიმღერის მთავარი ფუნქცია მუსიკალურად დამაჯერებელი მხატვრული სახის შექმნაა და არა — სოფლის საშუალო ოჯახის მიერ ნამღერის გასაჯაროება.

ეს ორი ბანაკი არ არის მკაფიო საზღვრით გამიჯნული. არის ანსამბლები, რომლებიც ორივე პოზიციის ცალკეულ თეზისებს იზიარებენ (მათ შორის — დიდი ხნის, ან უკვე სახელოვანი ჯგუფები). ამასთან, „ავთენტიკოსები“ უფრო ახალი თაობის ხალხია და უფრო მეტი რაოდენობისაა, ვიდრე „ესთეტები“. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ორივე მხარეს ქართული სიმღერის ამაგდარი მოღვაწეები დგანან.

სხვათა შორის, ანალოგიური კამათი სხვა ქვეყნების ხალხური ჯგუფებისთვისაც არაა უცხო. პრობლემა ერთგან უფრო მწვავეა, სხვაგან — შესაძლოა, არც იგრძნობოდეს. საქმე ისაა, თუ როგორაა გააზრებული და გაზიარებული მთავარი თეზისი: მუსიკოსს ვერ უბრძანებ, თუ რა უნდა უნდოდეს. უბრალოდ, უნდა მოხდეს მოცემული მიმდინარეობის იდენტიფიცირება. ყველა მიმდინარეობა თავისი არხით უნდა მიედინებოდეს.

მოგვწონს „სახიობა“ და მიგვაჩნია, რომ „ერისიონის“ შემსრულებლობა დაუშვებელია? ან — პირიქით? ორივეს ფოლკლორულ ანსამბლად იხსენიებენ (რასაც არცერთი დათმობს), მაგრამ შევთანხმდეთ, რომ ერთი ეთნოგრაფიული მიმართულებისაა, ხოლო მეორე შოუ-კოლექტივია.

მოსწონს მავანს კენჭიაშვილის სიმღერები და უნდა მას მიბაძოს? დოლთან ერთად ტამტამის (ჯემბეს, დარბუკას) დაკვრა მიაჩნია საჭიროდ? ამისთვის ცალკე „ნომინაცია“ უნდა არსებობდეს და ეს არის „ეთნომუსიკა“. მე პირადად მომხრე ვარ იმისა, რომ სხვადასხვა ფოლკლორულ დათვალიერებებზე ასეთი ეთნოშემსრულებლები არ გამოდიოდნენ, სადაც წინდაწინ იციან, რომ მათ შენიშვნას მისცემენ არაფოლკლორული შემადგენლობისა თუ შესრულებისთვის. მათ ცალკე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეუზღუდავად განაგრძონ ძიებები. რა ვუყოთ, რომ მათი ძიებები უმეტესად უგემოვნოა. ეტყობა, მათ რაღაც აფერხებთ, ან — მოტივაცია არ გააჩნიათ. ჩვენ ხომ ნიჭიერი ხალხი ვართ.

თვით აფრიკაში, სადაც ბევრგან დღესაც ადრეული ფოლკლორული სინკრეტიზმი სუფევს და ნაღდი ზეპირი ტრადიციის მუსიკა ჩქეფს, „მსოფლიო მუსიკის“ (“World Music”), ივივე ეთნომუსიკის უამრავი ახალი სასცენო ჟანრიც ჩამოყალიბდა („რაი“, „ჩააბი“, „მარინგა“, „მორნა“, „მბუბე“ და ა.შ.), თავიანთი სასცენო ვარსკვლავებით. ამ მიმართულებაში მთავარია ეთნიკური მაიდენტიფიცირებელი ფაქტორები — მუსიკალური ენის ის თავისებურებები, რომელიც მსმენელს მიახვედრებს, თუ რომელ ხალხთან აქვს საქმე, ხოლო ის, თუ რომელი გავლენითაა იგი ჩამოყალიბებული — არაბული, ინდური, პორტუგალიური, მელანეზიური, კუბური, ჯაზის თუ ჰიპ-ჰოპის, ამას მეორადი მნიშვნელობა ენიჭება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ქართულ ფოლკლორულ მუსიკას. ისიც ეთნომუსიკას განეკუთვნება, მაგრამ ქართული ხალხური სიმღერა და დასაკრავი ტრადიციული ეთნიკური მუსიკაა (ასევე — საგალობელიც — ოღონდ, იგი მხოლოდ ნაწილობრივაა ზეპირი ტრადიციისა), ხოლო ზემოთნახსნები „დოლ-ჯემბე“ — „პოპულარული ეთნომუსიკაა“. ეს უკანასკნელი კი ფოლკლორს ვერაფერს დააკლებს, მთავარია ჩვენ არ „გავტეხოთ“ იგი შიგნიდან.

სხვებთან ერთად მეც ჩამიტარებია მასტერ-კლასი თბილისში თუ რეგიონებში მოქმედი ხალხური ანსამბლებისთვის. ამ მხრივ აქტიურად მოღვაწეობს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. ერთი შეხედვით, ცოცხალ ფოლკლორულ პროცესში ჩარევა კითხვებს ბადებს, მაგრამ ჯერ ერთი, სასცენო კოლექტივებისთვის რეკომენდაციის მიცემა თავის სოციალურ გარემოში ავთენტურ შესრულებაში ჩარევისაგან განსხვავდება, მეორეც — თუ შემსრულებელი თავადაა მონდომებული, მიუახლოვდეს ხალხური სიმღერის წყაროს, დანაშაული არაა, მიუთითო, თუ როგორ მღეროდა მოცემულ სიმღერას მისი მამა-პაპა (პირადად მე, ძირითადად მიხდებოდა სოლისტებისთვის მეტი თავისუფლების მიცემა, შესაბამისი სიმღერების ორპირული შესრულების და ფრაზის უწყვეტად დაბოლოებაზე მითითება და სხვა). ამჯერად სხვა პრობლემაზე მინდა ყურადღების გამახვილება:

პოპულარობა, რომლითაც ქართული სიმღერა მსოფლიო მასშტაბით სარგებლობს, გარკვეულწილად მისი ერთგვარი „დაკონსერვების“ მიზეზი ხდება ხოლმე. ვგულისხმობთ სიმღერების ისეთი სასცენო ფორმების შემუშავებას, რომლებიც, წლების განმავლობაში, „სწორი ვარიანტების“ სახით აგრძელებენ ცხოვრებას. შეიძლება ითქვას, ასეთი „მოწონებული ვარიანტი“ განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს და, შესაბამისად, ცვლილებას აღარ ექვემდებარება. აქ მხოლოდ შემსრულებელია და არა — კომპოზიტორი, ერთ პირში გაერთიანებული ცნობილი ხალხური ტრიადის — ავტორი-შემსრულებელი-მსმენელის საპირისპიროდ. არა მარტო ჩემი აზრით, დღეს ქართული სიმღერა უმეტესად ერთგვარი „გაშეშებული“ ვარიანტებით სრულდება. შეიძლება ამ თემაზე დავა, მაგრამ, მე მგონია, ერთში კი მსმენელთაგან ყველა დაგვეთანხმება: ფოლკლორთან მიმართებაში ცნება „სწორი ვარიანტი“ საბოლოოდ უნდა დავივიწყოთ.

ჩვენი აზრით, მომწიფდა შემდეგი საკითხი: შესაძლოა თუ არა დღეს არა მარტო სასიმღერო ნიმუშის ვარიანტის გადმოცემა, არამედ უფრო შესამჩნევი დამუშავება, ან — ახალი ნიმუშის შექმნა, რომელიც, შესაძლოა, შემდეგში ხალხური გახდეს?

შეგვიძლია, მრავალი ისეთი სიმღერა გავიხსენოთ, რომლის ავტორიც ვიცით და რომელიც დღეს ტიპურ ხალხურ სიმღერადაა ცნობილი („დილა“, „ადილა“, „წინ წყარო“, „მივალ გურიაში“). მაშასადამე, ადრე შესაძლებელი და საბოლოოდ გამართლებული ყოფილა სიმღერების დამუშავება თუ შექმნა. რატომ არ შეიძ-

ლება ეს დღეს? გასაგებია, რომ ამჟამად არ მოღვაწეობენ იმ დონის და იმდენი ლოტბარი, როგორიც ადრე იყვნენ, თუმცა პირადად მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ირგვლივ არაერთი მაღალი დონის ლოტბარია. გარდაქმნა და ვარირება ერთია და შექმნა კი უფრო მეტ გაბედულებას მოითხოვს.

მთავარი ისაა, რომ შემოქმედებითი პროცესი დირექტიულად არ შეიზღუდოს. ვერ შეიქმნა სასურველი მხატვრული დონის ნაწარმოები? დღეს თუ არა ხვალ მაინც ხალხი უკუაგდებს მას, ან თავისი ზოგადი გემოვნების მიხედვით გარდაქმნის. ამასთან, თუ ამგვარი გადამუშავების პროცესი ავტორის მიერ შემოიზღუდა საავტორო უფლებების დაცვის მიზეზით, მისი ნაწარმოები მით უმეტეს ვერ მიიკრავს „ხალხურის“ იარლიყს.

ფოლკლორულ ცხოვრებაში არის როგორც განვითარების, ასევე შენარჩუნების, დაცვის ვექტორი. უფრო მეტიც — ხშირად ნამდვილი ფოლკლორის ნიმუში სწორედ იმით შეიცნობა, რომ მისი შესრულებისას ერთიდაიგივე მოტივი მრავალჯერ მეორდება — შემსრულებლის შემოქმედებითი მოლოდინი სრულიად კმაყოფილდება ამ განმეორებადი მოტივით, რაც ამ მოვლენის ფუნქციისადმი იდეალურ შესაბამისობას ადასტურებს. მაგრამ ზემოთქმული ეკუთვნის ძირითადად საკულტო-სარიტუალო ჟანრებს, რომელშიც ახლისადმი ტაბუს და რიტუალის წმინდად შენარჩუნების მოტივიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ ქართული სიმღერა კარგა ხანია აღარ თავსდება მხოლოდ რიტუალში, და ეს ფაქტი დღეს ყველასათვის საცნაურია.

ქართული ხალხური მუსიკის მიმართ შეხედულებებში სხვადასხვა ეპოქაში ერთი გამოკვეთილი მიმართულება ჭარბობს ხოლმე, და მას შემსრულებელთა და მსმენელთა უმრავლესობა ემხრობა. დღეს არსებული ამგვარი მიმართულება შეიძლება ითქვას, სათავეს იღებს ედიშერ გარაყანიძის „მთიების“ მოღვაწეობიდან. შესრულების ავთენტიკური ფორმისა და მანერისადმი დაბრუნება, ცხადია, ჰაერივით საჭირო და პროგრესული ინიციატივა იყო, რაც კარგად შეიგრძნო სიხალასისადმი მიდრეკილმა ახალგაზრდულმა სულმა. მაგრამ დღეს მაინც, ვფიქრობ, კარგი იქნება, იგივე ახალგაზრდებმა გაიხედონ უფრო შორს, ვიდრე ძველი ჩანაწერების ასლის ახმოვანებაა სცენაზე. მართალია, ამგვარი გაჟღერება თითოეული ანსამბლის თავისებურ ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას გულისხმობს, მაგრამ ამგვარი შესრულება მაინც ინტერპრეტაციაა, ისევე როგორც პიანისტის მიერ ცნობილი კომპოზიტორის პიესის ახმიანება, და არა — თავად ავტორის მიერ ნაწარმოების ყოველ ჯერზე ხელახლა შექმნა. არადა, თავისი არსით სწორედ ესაა ფოლკლორი.

ვფიქრობ, გამოცდილების გარკვეულ დონეზე არ უნდა გვეშინოდეს იმის შეგნება, რომ ჩვენც ხალხის ნაწილი ვართ, ავად თუ კარგად — წინაპართა მემკვიდრე და ჩვენც გვაქვს უფლება ხალხური მუსიკის შექმნა-დამუშავებისა. ატროფირდა მრავალი სოციალური ჟანრი (შრომის, სარიტუალო)? მაგრამ დარჩა სხვა ჟანრები (სუფრული, სალაღობო, მგზავრული). განაჩენს კი ისევ ხალხი — მსმენელი გამოგვიტანს — მიიღებს ან არ მიიღებს ჩვენს „ნაცოდვილარს“.

ცხადია, ძნელია, გაამართლო გუნდის ხელმძღვანელი, აქტიური შემოქმედებითი მიდგომა გამოამჟღავნოს იმ ჟანრის სიმღერებისადმი, რომლებიც დღეს უფუნქციოდაა დარჩენილი — შრომის, ამინდის მართვის, საკულტო-სადიდებლების და ა.შ. აშკარა სიახლე ამ მხრივ ყოვლად უადგილო იქნებოდა და ყველას მიერ არაადეკვატურად შეფასდებოდა.

ვინ ამბობს, რომ ხალხური სიმღერა ყველამ ტოტალურად უნდა „ავითაროს“? ეს ხელეწიფება მხოლოდ მას, ვისაც ხალხურ შემსრულებლობასთან მრავალი წლის ურთიერთობა აკავშირებს. ხალხური სიმღერის შემსრულებელი საფუძვლიანად უნდა შეიგრძნობდეს ქართული სიმღერის მელოდიკასა და ხმათა შეთანხმების ნორმებს; მუსიკალური დრამატურგიის ლოგიკას, მის არტიკულაციურ და სხვა საშემსრულებლო მეთოდებს.

მაგრამ რით შეგვიძლია დავიცვათ შემოქმედებითი კრახისაგან ხალხურ კომპოზიტორობის მოსურნე პირი? იქნებ მსმენელთათვის მკაფიოდ გაიმიჯნოს ტრადიციული და უწყვეტი განვითარების რომელიმე საფეხურზე დაფიქსირებული ნიმუშის ახალი ვარიანტი და ხალხური სტილით შემქნილი სრულიად ახალი სიმღერა? თუმცა, ყოველგვარი საავტორო უფლება ფოლკორისთვის უცხოა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ყველაზე მართებული და ქმედითი იქნება მუსიკალური კრიტიკის

„ერისიონი“

გაძლიერება, რომელიც მხოლოდ ჟურნალ „მუსიკის“ გვერდებზე ამოიკითხება, ისიც შესაბამისი რეგულარობით.

ამჯერად ცალკეულ სტილისტურ საკითხზე გამოვხატავ ჩემს პოზიციას:

ახლო წარსულში არაერთი ისეთი სიმღერა შექმნილა, რომელიც ხალხმა გაითავისა, მაგრამ რომელიც საბჭოურ პერიოდში დამკვიდრებული სტილისტიკითაა გაჟღენთილი და მისი რომელიმე ხალხური დიალექტისადმი კუთვნილება ჭირს. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მიმართულება არა ძველი, დიალექტური მახასიათებლით განსაზღვრული მოვლენაა, არამედ ქართული ხალხური სიმღერის სტილურად ახალი შენაკადია, მსგავსად უკვე აღიარებული „ქალაქური სიმღერის“ სტილისა. მის მიმართულებას უნდა მოეძებნოს სახელი და კარგია, თუ მათ შორის მხატვრული ღირსებებით გამორჩეულ ნიმუშებს ახალ სიცოცხლეს შევძენთ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქური სიმღერა დღეს კვლავ „ვერის“ პატივით სარგებლობს. ბევრისთვის „ქალაქური“ და „ფოლკლორი“ შეუთავსებელი ცნებებია. არადა მსმენელთაგან შეიძლება ბევრს ეცნოს შემდეგი სიტუაცია: სუფრაზე მღერიან სოფლურ ხალხურ სიმღერებს, მაგრამ რომ შეზარხოშდებიან, გლეხურს ქალაქური რეპერტუარი ცვლის და მას ხშირად უფრო მეტი გატაცებითაც მიეცემიან ხოლმე.

თუ დღევანდელ პრაქტიკაში რომელიმე ნიმუში ფუნქციის შეუსაბამოდ სრულდება, ჩემი აზრით, სავსებით ბუნებრივ საქციელად უნდა ჩაითვალოს ამ ნიმუშის წარმოდგენა იმ სახით, რა სახითაც ამ ნიმუშის ზოგადი ჟანრი მოითხოვს. მაგალითად, ცნობილია, რომ მეგრულ საჩონგურო „ნანას“, რომელსაც „სისა ტურა“ მოჰყვება, მღერიან მამაკაცები (ჩიჯავაძის ზუგდიდის ექსპედიციაში და აფშილავების გვარში), თუმცა ცხადია, რომ თავად სიმღერის პროტოტიპი ქალთა რეპერტუარის კუთვნილება იყო. ასეთივე ბედი აქვს მეგრულ ფოლკლორში „ეუკუნათ კაკუტებს“, „სი ქოულ, ბატას“, და სხვა. ხოლო როდესაც ქალი მომღერლები ქალსვე უმღერიან სატრფიალო ტექსტს (მაგ. „შატილის ასულო“), ცხადია, გარკვეული დოზით უხერხულობის განცდა ჩნდება. ცხადია, უკვე შეჩვეულ რეპერტუარს ვერავინ ვერავის წაართმევს, თუმცა, ჩემი აზრით, ამ სიმღერათა ძველ „პატრონთაც“ უნდა მიეცეთ მისი შეს-

რულების შესაძლებლობა.

ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია ნიმუშის იმდაგვარად წარმოდგენა, რა მაგალითებიც უკვე გვხვდება ავთენტიკური ხალხური შემოქმედების ამჟამინდელ პრაქტიკაში. მაგალითად, იგივე მეგრული „ია პატნეფის“ ვერსია ჩაწერილია ჩონგურის თანხლების გარეშე. მაგრამ მის გვერდით სრულდება ბატონების სხვა სიმღერა (იგივე — გურული „საბოდიშო“), რომელსაც ჩონგურის თანხლება ახლავს. ფუნქციურად ჟანრულ დარღვევას ჩვენ ვერ ვხედავთ იმაში, რომ „ია პატნეფიც“ ჩონგურის თანხლებით შესრულდეს. თან ვიცით, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭებოდა საკრავს და კერძოდ, სიმებიანს, ბატონების „დასაშოშმინებლად“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ერთხმიანი სიმღერისათვის ხმების მიმატების პრაქტიკა. მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს სალაღობო, იუმორით გაჟღენთილ სიმღერასთან და არა — სარიტუალო ფუნქციით განსაზღვრულ ჟანრთან. ერთხმიანი სიმღერების გასამხმიანების თვალსაჩინო ნიმუშებად შეგვიძლია მოვიყვანოთ თუშური სიმღერების გასამხმიანების პრაქტიკა, ვ. მაღრაძის და შ. ალთუნაშვილის მიერ მესხური სიმღერების აღდგენის ცდა და ანსამბლ „თუთარჩელას“ მიერ ლაზური სიმღერების გასამხმიანების გამოცდილება (ცხადია, მეტ-ნაკლები წარმატებით). არ არის აუცილებელი, ამ მცდელობებს მიეცეს რეკონსტრუქციის კვალიფიკაცია. აქ დავა, ჩვენი აზრით, უნდა წარიმართოს იმ თემაზე, თუ რამდენად შენარჩუნებულია ამგვარ შედეგში დედნის, მუსიკალური დიალექტის სტილი.

შედარებით მიღებულ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს დღეს სიმღერისადმი სიტყვიერი ტექსტის ნაწილობრივი ან მთლიანი შეცვლა. მიუხედავად ამისა, მაინც დავაფიქსირებთ ჩვენს მოსაზრებას ამგვარი აქტის შესახებ: ქართული ხალხური სიმღერის რომელიმე ერთი ჟანრის ფარგლებში შესაძლებელია ვერბალური სამოსის სხვადასხვა ვარიაცია, თუნდაც ეს რიტუალური ჟანრი იყოს. ხოლო მიუსადაგებელი (რომელიმე რიტუალთან კავშირის არმქონე) სიმღერები ის არეალია, რომელიც სიტყვიერი ტექსტის არანორმატულ გამოყენებას მით უფრო ითვალისწინებს. ქართული სიმღერა მაშინაც „შედგება“, თუ მისი წამომწყები, თუნდაც ცუდი მეხსიერების გამო, მას სრულიად ახალ სიტყვებზე გაამღერებს. შესაძლოა, აქ მსმენელს გაუჩნდეს კითხვა „ჩაკრულოს“ შესრულების „რუსთავისეულ“ ახალ ვერსიაზე. ეს „ექსპერიმენტი“ ჩვენთვის სრულიად მისაღებია, თუ არ გავითვალისწინებთ ტექსტში არსებულ ზოგიერთ ორაზროვან ფრაზას.

ზოგადად, სიმღერის ახალი ვერსიის მღერა არ ნიშნავს ძველების უარყოფას. ხოლო თუ მოცემული დროის მონაკვეთში რომელი მიმდინარეობა და შემსრულებელია პოპულარული, ამას ხალხი წყვეტს. ერთი კია — ჩვენ, მუსიკოსებს, ძალგვიძს გემოვნებითი ორიენტირების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შევასრულოთ. მოსწონს ხალხს ფსევდომთიულური სიმღერები? ეს კანონზომიერი პროცესია. ბუნება ვერ ითმენს სიცარიელეს. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში არ მივესალმებოდით ეთნომუსიკალურ ცდებს; ვცდილობდით, შეგვენარჩუნებინა ავთენტიკური ფოლკლორული უბიწოება; მიუღებლად მივიჩნევდით ბასფანდურის იაფფასიან ტონიკა-დომინანტას. მაგრამ სხვა რამ უკეთესიც არ წაგვიხალისებია.

განვითარება ბუნებრივი პროცესია. უნდა გამოვტყდეთ, უკვე ილევა ისეთი სიმღერები, რომელიც ჯერ არ გაჟღერებულა. ხშირ შემთხვევაში ჩვენ მეორე, მესამე, მეოთხე წრეზე მივდივართ და ხშირად იგივე წერტილს ვუბრუნდებით. არადა, როგორც მინიმუმი, საჭიროა „სპირალურად აღმასვლა“. ჩვენი თვალთახედვა ეყრდნობა იმ პლატფორმას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ განაგრძოს ბუნებრივი სტილისტური განვითარება, რაც ისევ და ისევ ტრადიციიდან საზრდოობას გულისხმობს. რ. წურწუმიას სიტყვებით: „ჯერ მაინც ნაადრევია ხალხურ სიმღერას სამუზეუმო ექსპონატივით წავაწეროთ — „ხელს ნუ ახლებთ!“

მიუხედავად ჟანრული უნიფიცირებისა და ნიველირებისა, ქართულმა მუსიკალურმა ფოლკლორმა უნდა შეინარჩუნოს ტრადიციული ნაკადი, ხოლო მისი ბუნებრივად ნაჩენი ახალი განტოტებები არ უნდა მოიკვეთოს, როგორც „არასწორი“, არამედ ქართული ფოლკლორული კულტურის ღირებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

თამაზ გაბისონია

გ.დუჩიძე, რ. ჯანდიერი, ჯ. ბალანჩივაძე

მოგონებები ჯარჯი ბალანჩივაძეზე

2011 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა დიდი მუსიკოსი — პიანისტი, კომპოზიტორი, მხატვარი — ჯარჯი ბალანჩივაძე. ჩვენს შორის აღარ არის დიდი პიროვნება. იგი ეკუთვნის ბალანჩივაძეების გვარს, რომელმაც მოგვცა ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან: კომპოზიტორები მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეები, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი — ჯორჯ ბალანჩინი, მისი და თამარ ბალანჩივაძე — მხატვარი, — გივო გაბაშვილის მოწაფე, სამხატვრო აკადემიის პედაგოგი; ბალეტის მოცეკვავე — ცისკარი ბალანჩივაძე; ფიზიკოსი და ნიჭიერი მხატვარი — ამირან ბალანჩივაძე, რომელსაც ჰქონდა კარგი ხმა და მონაწილეობას იღებდა ჯარჯის კონცერტებში. ჯარჯის დედა — ქალბატონი პანა — არაჩვეულებრივად კეთილი, გულისხმიერი ადამიანი, ნიჭიერი მხატვარი გახლდათ. ქალბატონი პანა და ამირანი ხშირად მონაწილეობდნენ ჯარჯის გამოფენებში.

პირველად ჯარჯის შესრულებით მოვისმინე სენსანსის №2 საფორტეპიანო კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, კონსერვატორიის დიდ დარბაზში. იგი მაშინ სწავლობდა „ნიჭიერთა ათწლედში“ თ. ჩარექიშვილის კლასში. მეც იმ კონცერტში ვმონაწილეობდი, ვასრულებდი ჰ.ვენიავსკის №2 სავიოლინო კონცერტს. უკვე მაშინ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მისმა გამორჩეულმა შესრულებამ. 1960 წ. ქ. ბაქოში მიმდინარეობდა ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა I კონკურსი, სადაც ორივენი გავხდით ლაურე-

ჯ. ბალანჩივაძე

ატები. გავიდა წლები, ორივემ დავამთავრეთ კონსერვატორია, ჯარჯიმ მოსკოვის (ლ. ობორინის კლ.) მე — თბილისის. თბილისში დაბრუნების შემდეგ ჯარჯი გამოდიოდა, როგორც სოლო, აგრეთვე სიმფონიური კონცერტებით. 1970 წ. კონსერვატორიის დიდ დარბაზში შევასრულეთ ბრამსის №1 სონატა, ჰენდელის №4 სონატა და ვაგნერის „ნოქტიურნი“ ოპ-იდან „მაისტერ ზინგერები“, რომელიც ჯარჯიმ თვითონ გადააკეთა ვიოლინოს და ფორტეპიანოსათვის, II განყოფილებაში ჯარჯი წარსდგა სოლო პროგრამით, მან შეასრულა შოპენის, შუმანის, სკრიაბინის, ბრამსის და მესიანის ნაწარმოებები, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. აი რას წერს ეროვნული გმირი, მუსიკისმცოდნე მერაბ კოსტავა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1971 წლის მე-6 ნომერში: „ბალანჩივაძე, პიანისტ შემსრულებელთა იმ უმცირესობას ეკუთვნის, რომლებიც დიდ კომპოზიტორთა მიერ სანოტო ქარტაზე აღბეჭდილ ქმნილებებს დაუმთავრებელი ნაწარმოებივით უყურებენ და ფიქრობენ, რომ მხოლოდ შემსრულებელმა უნდა მიიყვანოს ისინი ბოლომდე“. „სწორედ, რომ დიდი პიანისტი შეიძლება იყოს კომპოზიტორსა და მსმენელთა შორის ინტიმური ძაფების გზნებით გაბმული და იმ მუზის გამცხადებელი, კომპოზიტორს რომ შესჩენია მფარველ გენიად. გარდასახვის ასეთი მაგიური ოპერაცია შემსრულებელთა მხოლოდ რჩეულ ნაწილს ხელეწიფება. ბალანჩივაძე თითქმის მისულია ამ ეტაპის კარიბჭეებთან. მას უდავოდ გააჩნია შემოქმედი გულთამხილველის ის მადლი, დიდ კომპოზიტორთა სულის ლაბირინთებს რომ ეთამაშება“.

„შოპენი ბალანჩივაძის ყველაზე მახლობელი კომპოზიტორია. შოპენი ზეეროვნული მოვლენა, სლავური მასალა ფრანგული ფილიგრანობით დამუშავებული და გერმანული მეობით შეკრული, შოპენი — რომანული ბელ-კანტოს ეკვივალენტი ფორტეპიანოზე. პიანისტმა ბრწყინვალედ გახსნა ამ კომპოზიტორის სულის საიდუმლო, რომელთა სრული ზიარება მხოლოდ შემსრულებელთა უმცირესობას შეუძლია. მთელი კონცერტის კულმინაციას წარმოადგენდა შოპენის „ნანა“. ბალანჩივაძის მიერ ამ გენიალური ქმნილების შესრულება შეიძლება ითქვას მთელი მოვლენაა ქართული პიანიზმის ისტორიაში. ეს იყო შესრულება, რომლის მსგავსს იშვიათად მოისმენ და რომელიც სამუდამოდ იბეჭდება მეხსიერებაში. ეს იყო ღვთაებრივი ბალღის აკვანთან დარწეული ანგელოსთა ნანა, უბიწოება ბეთლეემისა, უხილავი შეხება, ბგერათა სრული დემატერიალიზაცია (ასეთის კდემით რაფაელის ფუნჯი თუ ეხებოდა ალბათ ტილოებს, როდესაც იგი მადონას ხატავდა).“

სახლში მე და ჯარჯი ბევრს ვმუზიკირებდით, ვუკრავდით ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, ბრამსის, გრიგის, შტრაუსის სონატებს. მან გადაწყვიტა შეექმნა პატარა ანსამბლი, მე - I ვიოლინო, II ვიოლინო — ვანო ჯავახიშვილი — დიდი ივანეს შვილიშვილი, ალტი — ირაკლი გოგიბედაშვილი, ჩელო — რეზო მაჩაბელი, კონტრაბასი — მერაბ ლორია. ვმეცადინეობდით მთაწმინდაზე ჩემს ბინაში. ერთხელ, კარის მეზობელი გაბრაზებული გამოვარდა და მოგვაძახა: „Закрою вашу филармонию“. შემდეგ შემოგვიერთდა ვიოლონჩე-

ლისტი ზურაბ დუჩიძე. მეცადინეობის პროცესი იყო ძალიან საინტერესო. ყველანი ვგრძნობდით, რომ ჯარჯი იყო არა როგორც ერთ-ერთი შემსრულებელი, არამედ ჩვენი მუსიკალური წინამძღოლი. შემოგვიერთდა მაკო თომაძე — ულამაზესი ტემბრის მომღერალი. მისი პირველი გამობრწყინება დაკავშირებულია ჩვენს ანსამბლ „კამერულ მუსიკასთან". დაუვიწყარია მისი შესრულებით ბრამსის სიმღერა „მარტოობა მინდვრად" (ჯარჯის გაორკესტრებული). შემდეგი თამამი სიტყვა ანსამბლ „კამერული მუსიკისა" არის მოცარტის გენიალური ოპერა „დონ-ჟუანი", რომელიც წარმატებით შესრულდა 1974 წლის 24 მარტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ორკესტრის პარტიას ასრულებდა მხოლოდ 12 შემსრულებელი-მუსიკოსი. საკვირველი იყო პარტიტურის ისე განაწილება ამ 12 შემსრულებელზე, რომ ერთი ხმაც არ იყო დაკარგული. დირიჟორი ჯანსუღ კახიძე ესწრებოდა ამ საღამოს და ისიც გაოცებული დარჩენილა. ოპერა შესრულდა უდირიჟოროდ — ჯარჯის საფორტეპიანო თანხლებით. შემსრულებლები: დონ ჟუანი — ლერი ჯაფარიძე, დონა ანა — მაკო თომაძე, დონ ოტავიო — მარლენ ადამაძე, დონა ელვირა — ნატალია კუხტენკო-ჩაგანავა, ცერლინა — ლიანა კალმახელიძე, მაზეტო — ტარიელ ჭიჭინაძე, ლეპორელო — ამირან ბალანჩივაძე, კომანდორი — ალექსანდრე გალიმბიოვსკი. I ვიოლინო — როდამ ჯანდიერი, II — მიშა დავარაშვილი, III — ვანო ჯავახიშვილი, ალტი — ირაკლი გოგიბედაშვილი, ჩელო — რეზო მაჩაბელი, კონტრაბასი — მერაბ ლორია, ფლეიტა — ერვანდ პეტროსიანი, ჰობოი — გიორგი ბერიძე, კლარნეტი — ბადურ დიაკვნიშვილი, ფაგოტი — ზურაბ ალავიძე, ვალტორნა — ბორის მუქერია. აი, რას წერდა ერთ-ერთ გაზეთში მუსიკისმცოდნე მირა ფიჩხაძე „დონ ჟუანის" შესახებ: «Молодежь вдохнула в исполнение ту порывистость, романтичность, которая превратила этот вечер в радостный праздник, доставивший многочисленному слушателю по-настоящему большое наслаждение. Опустив лишь несколько незначительных речитативных эпизодов Дж. Баланчивадзе сумел сохранить в «Дон Жуане» внутреннее единство, цельность и сквозное развитие действия. Моцартовская опера в концертном исполнении не потеряла силы воздействия на слушателя».

«Большой вдохновенный труд затрачен на воплощение «Дон Жуана». Вдохновитель ансамбля Дж. Баланчивадзе – вдохновитель интересных начинаний в этом коллективе».

არ შემიძლია არ გავიხსენო ი.ს. ბახის ბრანდენბურგის კონცერტი №5, რომელიც შევასრულეთ ფილარმონიის დარბაზში. ფლეიტის პარტიას ასრულებდა ნუგზარ კიკნაძე. დაუვიწყარია ჩვენი ანსამბლის შესრულებით ბრამსისა და შუმანის საფორტეპიანო კვინტეტები, შუბერტის ტრიო, სადაც ვიოლინოს პარტიას ასრულებდა ლევან ჩხეიძე.

ჰუმელის საფორტეპიანო კვინტეტი და ბეთჰოვენის საფორტეპიანო კვარტეტი პირველად შესრულდა თბილისში ჩვენი ანსამბლის მიერ. შუმანის საფორტეპიანო კვინტეტი ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს შესრულება იყო გამორჩეული. ასევე წარმატებით შევასრულეთ შუბერტის საფორტეპიანო კვინტეტი „კალმახი", რომელიც ჩავწერეთ რადიოსტუდიაში. მნიშვნელოვანია ო. მესიანის საფორტეპიანო კვარტეტი „სამყაროს დასასრული" (ფორტეპიანო, ვიოლინო, კლარნეტი, ჩელო), შემსრულებლები: ჯ. ბალანჩივაძე, რ. ჯანდიერი, ბ. დიაკვნიშვილი, რ. მაჩაბელი. ეს ნოტები ჯარჯის აჩუქა ცნობილმა პიანისტმა მარია იუდინამ, ამ ნაწარმოების პირველმა შემსრულებელმა (ჯარჯის პედაგოგი კამერულ ანსამბლში). ნაწარმოები შევასრულეთ ფერადი განათებით, შემდეგი ჩვენი ნამუშევარი იყო ა. შონბერგის „მთვარის პიერო". მონაწილეები: ნატალია ჩაგანავა, გიორგი გაჩეჩილაძე და ჩვენი ანსამბლი. მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდა უნიჭიერეს მხატვარს — ირაკლი ფარჯიანს. იგი ხშირად ესწრებოდა ჩვენს რეპეტიციებს და ჩანახატებს აკეთებდა. ჩვენ ვმეცადინეობდით დიდი ენთუზიაზმით და შედეგიც სასიხარულო იყო.

არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს ბეთჰოვენის ოპერა „ფიდელიო" - I შესრულება თბილისში. ეს იყო გმირობის ტოლფასი — ურთულესი ოპერის შესრულება. ლეონორა — ლამარა კვირიკაძე, ფლორესტანი — მარლენ ადამაძე, მარცელინა — ნატალია ჩაგანავა, ჯოაკინო — გოჩა ბეჟუაშვილი, აგრეთვე მონაწილეობდნენ:

დ. ბატიაშვილი, ნ. ნადიბაიძე, მ. პოჟიდაევი, გუნდის დირიჟორი — ლიანა ლომიაშვილი.

1981 წელს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში შევასრულეთ მოცარტის „რეკვიემი“. სოლისტები — ნატალია ჩაგანავა, მანანა ეგაძე. მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდათ: ი. ფარჯიანს, გ. ბუღაძეს და ა. კაკაბაძეს, რომლებიც შემდეგშიც ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ ანსამბლთან. მოცარტის „რეკვიემი“ შესრულდა აგრეთვე ჯ.კახიძის დარბაზში, შემსრულებლები: მ. მაღლაფერიძე, მ. ეგაძე, თ. ცერიაშვილი, ლ. ჯაფარიძე. ჩვენმა ანსამბლმა შეასრულა გლუკის ოპერა „ორფეოსი“. ორფეოსის პარტიას ასრულებდა გ. ჭყონია, ცნობილი მომღერლის, ლამარა ჭყონიას ძმა, ევრიდიკა — თ. გვერდწითელი. ცნობილი რეჟისორის — დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით მოხდა ამ ოპერის გამოტანა სცენაზე. მუსიკისმცოდნე მ. ფიჩხაძე ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „ამ კოლექტივში გხიბლავთ არამარტო მაღალი პროფესიული დონე, უპირველეს ყოვლისა ყურადსაღებია მისი შემოქმედებითი პოზიცია — სწრაფვა „სინთეზურობისაკენ“ (ჯარჯის იდეა იყო, რომ შეექმნა კამერულ-მუსიკალური დრამატული თეატრი).

ბოლო სპექტაკლში — „ორფეოსი“ — კოლექტივი განსაკუთრებით მიუახლოვდა დიდი ხნის ჩანაფიქრს და ძირითად მიზანს — გამოიკვეთა მომავალი თეატრალური წარმოდგენების კონტურები, რომელშიც ჰარმონიულ მთლიანობაში უნდა შერწყმულიყო ერთმანეთთან მუსიკა, პოეზია, პანტომიმა, ფერწერა, დრამატული მოქმედება, ცეკვა; აქვე გამოვლინდა ანსამბლის მეორე დამახასიათებელი თვისებაც: სტილის სიწმინდე, მუსიკალური პარტიისადმი უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება, კომპოზიტორის ჩანაფიქრის ზუსტი ასახვა.

შესაშურია, იყო კოლექტივის ენთუზიაზმი — რთულ, ხშირად არახელსაყრელ პირობებში უხედებოდათ მუშაობა. ყოველი მუსიკოსი აქ ნამდვილი ოსტატი იყო — ისინიც, ვინც თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ამ ანსამბლს დაუკავშირა დღიდან მისი დაარსებისა და, ისინიც, ვინც არცთუ დიდი ხნის მისულები იყვნენ. სამაგალითოა ამ კოლექტივის უცვლელი ხელმძღვანელის — ფაქიზი და ღრმა მუსიკოსის ჯარჯი ბალაჩივაძის უნარი — გადაელახა ბევრი წინააღმდეგობა და თავდავიწყებით ემსახურა მაღალი ხელოვნებისათვის. სხვადასხვა დროს ანსამბლში მონაწილეობდნენ მევიოლინეები: გ. და ნ. მელიქიშვილები, ბ. კონიაევი. ს. დეტისოვი, თ. ფარესიშვილი. ლ. მელიქიანი. მ. ჯანჯალია, ნ.ციტაიშვილი, ქ.არსენიშვილი, ლ.ჩიხლაძე, დ.მაგრაქველიძე, ნ.მდინარაძე, თ.ჩიქობავა, ა.ჭიპაშვილი. ა.ბალანჩივაძე. ალტისტები: გ.გახოკიძე, ს.ჯორჯაძე, ა.ახვლედიანი. ჩელისტი: ი. სულთანიშვილი. ჩასაბერები: ე.ოსიძე, ქ.შანიძე, მ.ჟვანია, თ.მიქაბერიძე, დ.ჯიშკარიანი. ა.ტახმანოვი, გ. ქობულაშვილი, ზ. ციტაიშვილი, ბ. დიაკვნიშვილი, ბ. მუქერია. ვოკალისტები: მ. ბუდაღაშვილი, ს. ალეკიანი, ნ. შანავა, რ. ლაგვილავა, მარიანოვსკაია, ხატიაშვილი, ო.მილკო, ლ.ჩაგანავა, თავაძე, გოგუა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ტარდებოდა დახურული კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო ჯარჯიმ და მისმა ნაწარმოებმა „ტრიადამ“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომელიც კომპოზიტორთა კავშირის ყრილობაზე შევასრულეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, I პრემია დაიმსახურა. მეორე კონკურსზეც I პრემია მიიღო მცირე ფორმის სიმფონიურ ნაწარმოებში „ძეგლი“. დაწერილი აქვს 2 სიმფონია, საფორტეპიანო ტრიო, ნაწარმოებები ფორტეპიანოსათვის, ჩელოსთვის, ვიოლინოსათვის და სხვა. მართლაც გამართლდა წინასწარმეტყველება ცნობილი პიანისტის — მარია იუდინასი, რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, როგორც კომპოზიტორზე.

ფურცლიდან კითხულობდა საოცრად, თანაც ისე, რომ ნაწარმოებს წარმოაჩენდა სრულყოფილად. მის შესრულებაში იგრძნობოდა განუმეორებელი ინდივიდუალობა. არასოდეს არ ბაძავდა არავის, მას თავისი ხედვა ჰქონდა. პიროვნულად იყო საინტერესო ადამიანი. მისი ინტერესები მრავალმხრივი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს დიდი სერიოზულობით უდგებოდა, იცოდა ხუმრობაც და იყო ძალიან გონებამახვილი. იყო ძალიან კეთილი და უყვარდა საჩუქრების გაკეთება. ცოტა ხანს მუშაობდა პედაგოგად კონსერვატორიაში. გაიარა კონკურსი, ჩაატარა არაჩვეულებრივად საინტერესო გაკვეთილი, ჰქონდა ფართო დიაპაზონის ცოდნა, მაგრამ მას პედაგოგიური მოღვაწეობა არ იზიდავდა და სულ ცოტა ხანში დაემშვიდობა კონსერვატორიას. ჩემს მეხსიერებაში ჩაიბეჭდა მისი

ჯ. ბალანჩივაძე ოჯახთან ერთად

შესრულებით ბრამსისა და ჩაიკოვსკის კონცერტები. ჯარჯისათვის მახლობელი იყო შოპენი, გარეგნულადაც გვაგონებდა მას. დაუვიწყარია რამოდენიმე წლის წინ, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული სოლო კონცერტი, რომელმაც გამახსენა და, არა მარტო მე, დიდი შემსრულებელი ვ. ჰოროვიცი. თავისი მამის — ანდრია ბალანჩივაძის ნაწარმოებების უბადლო შემსრულებელი იყო. ერთ-ერთი სოლო კონცერტის შესახებ მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძე წერდა:

«.....самобытность творческого почерка, неординарность интерпретации, порой быть может спорных, но всегда интересных, отличающихся оригинальностью замыслов и их воплощения …

Любимыми авторами пианиста являются Шопен и Скрябин. Исполнение произведений Скрябина грузинским музыкантом можно назвать образцовым. Музыка великого композитора, как никакая другая, близка творческой индивидуальности и особенностям мастерства Дж. Баланчивадзе, таким как вдохновенная поэтичность, «полетность » мысли, богатство и красочность звуковой палитры».

ამ კონცერტზე შესრულებული იყო შემსრულებლის საკუთარი ნაწარმოები „ნოველა“:

«Концерт Джарджи Баланчивадзе дал возможность слушателям еще раз соприкоснуться с творчеством профессионала высокой марки, оригинального художника, исполнение которого всегда дарит яркие запоминающиеся впечатления».

ასე ამთავრებს გ. ტორაძე თავის რეცენზიას ჯარჯი ბალანჩივაძის შესახებ.

ანსამბლი მართავდა კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ალმა-ატაში შეასრულა ა. ბალანჩივაძის „ტყის სიმფონია“.

90-იან წლებში ჯარჯიმ ჩაატარა კონცერტები ანსამბლთან ერთად: უნგრეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, 1998 წ. გერმანიში. აი, რას წერს გერმანული პრესა მისი კონცერტების შესახებ: „როგორც კი კლავიშებს ეხება, წარმოიქმნება ბგერების სამყარო სავსე მომხიბ-

ვლელობით და ექსპრესიით."

რეცენზენტი პიანისტს ჯადოქარს ადარებს — „იგი თავისებურად წარმართავს შინაგან მონოლოგს, რომელიც გამომდინარეობს მელოდიიდან."

„ჩვენს წინაშე ბალანჩივაძე წარმოდგა, როგორც ფორტეპიანოს ინტერნაციონალური მიმართულების ვირტუოზი. მის დაკვრაში შეიძლება დავინახოთ განსხვავება რაფინირებულსა და ახალგაზრდულ ბუნებრივ ნიჭიერებას შორის. განსაცვიფრებელი ტექნიკითა და დიდი მუსიკალობით და თავისებური ინტერპრეტაციით მოქმედებს ადამიანის სულზე. განსაკუთრებული ოსტატობით ბალანჩივაძე გადმოსცემს ლისტის ნაწარმოებებს. ლისტი, რომელიც თავის დროზე ფორტეპიანოს გამოჩენილი ვირტუოზი იყო, კმაყოფილი იქნებოდა ასეთი შესრულებით. შოპენის ბოლო ორ ნაწარმოებში მუსიკოსმა მიაღწია სრულ ჟღერადობას, მღერადი, მელოდიური თემები იცვლებოდა მარგალიტისებური ბგერებით, დრამატული აფეთქებით, სულ უფრო ძლიერად ჟღერადი აკორდების სვლებით. მუსორგსკის ნაწარმოებში განსაკუთრებული რუსული სტილი და უკიდურესად ექსპრესიული შესრულებაა (ლაპარაკია მუსორგსკის ციკლზე „სურათები გამოფენიდან"). გაჭედილ დარბაზში მსმენელი მადლიერების გრძნობით, შეძახილებით „ბრავო" დიდხანს უკრავდა ტაშს". რეცენზენტი აღნიშნავს: „არავითარი ხელოვნურობა, არაბუნებრიობა. მოკრძალება ნაწარმოებების მიმართ წარმოადგენს ჯარჯი ბალანჩივაძის ძლიერებას..." „ქართველმა პიანისტმა ხელი შეუწყო მსმენელს შეჰქმნოდა წარმოდგენა მისი ქვეყნის — კავკასიის მაღალ სულიერ კულტურაზე."

1988 წლიდან ორკესტრთან ერთად თანამშრომლობდა გერმანულ თეატრთან იბსენის დრამებზე, „პერგიუნტი", „მოჩვენებანი", „როცა ჩვენ მკვდრები ვიღვიძებთ", რომლისთვისაც შექმნა მუსიკა. ამ თეატრთან ერთად იმოგზაურეს უნგრეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, იტალიაში. ჰერმან ვედეკინდის მიწვევით მიიღეს მონაწილეობა „ბალვეს" სახელგანთქმულ ფესტივალებში. ანსამბლის კონცერტების შემდეგ გერმანელ მეგობართა წრემ 9 აპრილის მონაწილეთა დასახმარებლად 40 000 მარკის ღირებულების წამლები გამოგზავნა, ხოლო ნაწილი მოწამლულებისა წაიყვანეს სამკურნალოდ გერმანიაში. აფიშებში ჯარჯის ორკესტრი მოიხსენიება "Erste private Orchestra".

ბელა ბარტოკის სახლ-მუზეუმში, სადაც ჯარჯიმ ლისტის ნაწარმოებები შეასრულა, მას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლისტის მედალი.

იგი იყო გერმანიის ქალაქ რადეფოლვარდის საპატიო მოქალაქე.

თბილისში ჯარჯის ჰქონდა თავისი დარბაზი, სადაც ხშირად მართავდა კონცერტებს. ასრულებდა როგორც საკუთარ, ასევე სხვადსხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჯარჯიმ, მშვენიერმა ვიოლონჩელისტმა ზურაბ დუჩიძემ და მე შევასრულეთ შოპენის ტრიო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი კონცერტი. კონცერტის შემდეგ წავედით ჩვენს სახლში, ჯარჯის მეუღლე ქეთინო, ცისკარი, ზურაბ დუჩიძე და საერთო მეგობრები მივუსხედით ტკბილ სუფრას, ჯარჯი კი მიუჯდა ინსტრუმენტს და დაიწყო დაკვრა. უკრავდა დიდი გატაცებით შოპენს, სკრიაბინს. მას ძალიან უყვარდა შინაურ გარემოში დაკვრა.

„კონცერტი" გვიან ღამემდე გაგრძელდა. დიდი გულისტკივილით ვიხსენებ ერთი გამორჩეული ქართველის სიტყვებს: „ქართველებმა კარგი დასაფლავება ვიცით."

ერთხელ, როდესაც ვუთხარი ფილარმონიაში ერთ-ერთ პიროვნებას, მიექციათ ყურადღება ჩვენი ანსამბლისათვის, მიპასუხა — „ჩვენ გვყავს კამერული ორკესტრი და არ გვესაჭიროება სხვა. . . მან შეასრულოს თავისი მამის კონცერტები." საუბედუროდ ადამიანი სანამ ცოცხალია, მას სათანადო დაფასება არა აქვს.

ჯარჯი ბალანჩივაძე 69 წლის ასაკში გარდაიცვალა 2011 წლის 2 ივნისს.

მისი გვარი გრძელდება, ჰყავს ვაჟი ანტონი – ნიჭიერი მხატვარი და ორი მშვენიერი შვილიშვილი.

დავიწყებას არ უნდა მიეცეს ასეთი გამორჩეული პიროვნების სახელი.

მიმოწერიდან შერჩეული ადგილები

„უნდა იცხოვრო, რაკი უყვარხარ...“ (ლ. როსება)

ლალი როსებას შესახებ წერა ძნელია. მისი წერილების კითხვისას ყოველი სიტყვა გულში ტკივილს იწვევს. მე ვერ დავწერ მასზე უკეთესად, ვიდრე ეს თვითონ ლალიმ შეძლო თავის ლიტერატურულ და მხატვრულ შემოქმედებაში, გამოხატა ლექსებში და წერილებში, დაგვიტოვა თავის მრავალრიცხოვანი ავტოპორტრეტიდან ჩვენსკენ დაჟინებით მომზირალ დიდრონ თვალებში. ვფიქრობ, მკითხველს უფრო დააინტერესებს ლალის აზრები თავის ხელოვნებაზე, ცხოვრებაზე, სიკვდილზე, რელიგიაზე, ვიდრე ნებისმიერი, ყველაზე გულწრფელი ჩემი მოგონება. ყოველი მოგონების ავტორი ნებსით თუ უნებლიედ წერს თავის თავზე და ადგილზე, რომელსაც ის იკავებდა მეგობრის, კოლეგის, ახლობლის ცხოვრებაში, ზოგჯერ აყენებს თავის მოგონებებს წასულ პიროვნებაზე მაღლა. ლალი ფლობდა უცხო ენებს, ატარებდა ექსკურსიებს ტრეტიაკოვის გალერეაში რუსულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზე. მისი პიესები ათწლეულების განმავლობაში არ ჩამოდიოდა სცენიდან. ლალი როსებას ბიოგრაფიის, მისი პიესების, ფერწერის და ნახატების მოძიება შესაძლებელია ინტერნეტში მისი შვილის გიორგი (გოშა) პარხომენკოს მიერ შექმნილ საიტზე. მე შევეცდები წარმოვუდგინო მკითხველს სხვაგვარი, შეიძლება ოდნავ ინტიმური ლალი, როგორც ჩემი ძვირფასი და საყვარელი მეგობარი, ჩვენი მიმოწერიდან — მიმოწერიდან, რომელიც გრძელდებოდა 45 წელზე მეტხანს — შერჩეული ადგილების ციტირების საშუალებით. ჩვენი დიალოგების „რჩეული ადგილებიდან“ მიმოწერიდან შერჩეულ ადგილებამდე — ლალი როსებას ჩემეული შეცნობის საზომია...

„ხელოვნება — ეს **ერთადერთი** (ყველა კურსივი ლ.როსებასია) სიხარულია ცხოვრებაში, სიხარული სუფთა სახით“ — წერდა ის წერილში 2011 წლის 29 ნოემბერს. ეს იყო ლალი როსებას კრედო ბავშვობი-

დან უკანასკნელ დღეებამდე. სწორედ ამ ძირითადმა შემოქმედებითმა პოზიციამ ცხოვრებაში მისცა მას საშუალება ემუშავა მაშინაც კი, როცა ფიზიკური ძალები ელეოდა, როცა არ ჰქონდა ენერგია, რათა ეცხოვრა, როცა დეპრესია ყელში უჭერდა, როცა, როგორც ის წერდა — „...დროდადრო მომდის აზრები, რომ ჩემი „შემოქმედება“ არავის სჭირდება და არ აქვს არავითარი აზრი. მკითხე: **რა დავწერე დღის განმავლობაში**? მე სწორედაც მჭირდება „შთაგონება“ — მე ისე ადვილად ვეცემი სულიერად ბოლო წლებში...“ (7 თებერვალი 2012 წ).

მიუხედავად ამისა, ის წერდა: „მე ვახერხებ ჩემ ფერწერაზე მუშაობას და ცუდად არ მივიწევ წინ — მაგრამ ბოლო სამი კვირა არ ვმუშაობ“ (14 ნოემბერი 2012), ე. ი. ამ ქვეყნიდან წასვლამდე 5 თვით ადრე...

ყველა ადამიანი მოკვდავია, ჩვენ ვიცით, რომ წავალთ. მთავარი ის არის, თუ რას ტოვებს ადამიანი თავის შემდეგ, რაც აახლოვებს, აუცილებელს ხდის მას მომავალი თაობებისთვის. ამ აზრით ცხოვრობს ყოველი შემოქმედი ქვეცნობიერად, ამ მოთხოვნილებით — დატოვოს თავის მერე რაღაც, რაც შეავსებს ჩვენ დანაკარგს, შეგვიმსუბუქებს ტკივილს, ყურადღებას გადაგვიტანს ხელოვნებით აღფრთოვანებაზე სუფთა სახით — წავიდა ჩვენგან ლალი. „როცა დაკავებული ვარ ფერწერით — ვივიწყებ ყველა დარდს“ — წერდა ის 2012 წლის 16 აპრილს და აქვე აგრძელებდა, რომ მუშაობს, „ცხოვრებისთვის კი უკვე ძალები აღარ ჰყოფნის!“

თეატრზე და თავის დრამატურგიაზე, რომელიც ფართოდაა ცნობილი არა მხოლოდ საქართველოში, ლალი დაწვრილებით წერს 2011 წლის 21 ნოემბრის წერილში: „მართალია, ჩემს შესახებ ამჟამად ცოტამ თუ იცის: უკვე 20 წელია მე გამოვედი თეატრალური წრიდან. ასე, ვახსოვარ კიდევ რამდენიმე ადამიანს — ყველა უკვე ძველი თაობისაა. პიესები ახალი მაქვს, მაგრამ საერთოდ უკვე ორი წელია შევწყვიტე ფიქრი თეატრზე. ორი წლის წინ მე (გოშასთან ერთად!) დავწერე უკანასკნელი პიესა — ერთმა ჩემმა ნაცნობმა (თეატრმცოდნემ, კრიტიკოსმა) უწოდა მას „ეპოქალური“, კიდევ ზოგიერთებმა თეატრალური წრიდან წაიკითხეს და ძალიან აქეს, მაგრამ დადგმამდე საქმე არ მიდის. ყველას (კიდევ უფრო მეტად, ვიდრე საბჭოთა დროს) ეშინია ხელი მოჰკიდოს რაიმე სერიოზულს. ძირითადად წესიერ თეატრებსაც კი სჭირდებათ რაღაც სკანდალური, ან სჭირდებათ სკანდალურად, ამობრუნებულად დადგან ძველი კლასიკა. არიან, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი რეჟისორები, მაგრამ ისინი მსოფლიოში ერთეულები არიან! მათთან მიახლოება პრაქტიკულად შეუძლებელია. ისინიც ტანჯვით ცდილობენ გამოხატონ **საკუთარი** — რაღაც სერიოზული, გულწრფელი, გემოვნებისა და კულტურის საერთო დაცემისას. მათაც უჭირთ, მათ ჩემი თავი არა აქვთ... არავითარ სიმწარეს მე არ ვგრძნობ — ცხოვრება ცხოვრებაა....“

ლალი როსება უკანასკნელ წლებში მთლიანად გადაერთო ფერწერაზე, რომლითაც დაკავებული იყო ბავშვობიდან: წერდა პორტრეტებს, აკეთებდა ჩანახატებს, სწავლობდა პლასტიკურ ანატომიას, ხატავდა ნატურმორტებს იმ საგნებით, რომლებსაც იქვე პოულობდა — ხილს, წიგნებს, მინის ჭურჭელს. ხშირად ხატავდა თავის შვილს — გოშას — და თავის თავს. ჩიოდა, რომ მოდელები, რომლებთანაც ის მოლაპარაკებული იყო, ღალატობდნენ მას. ასე, ნაწყენი წერდა 2012 წლის 13 თებერვალს: „მოდელმა, რომელსაც მოველაპარაკე დიდი პორტრეტისთვის პოზირების შესახებ, გააჭიანურა მოსვლა (თუმცა მან თავიდან თვითონ მთხოვა პოზირება!) და ბოლოს სულ დაიკარგა. მე კი უკვე განვეწყვე გარკვეული მხატვრული სახისთვის. ძალიან მწყინს ასეთი უპასუხისმგებლობა. ახლა უნდა ვეძებო ახალი მოდელი, ვიფიქრო სხვა მხატვრულ სახეზე.“ ეს სიტყვები განმარტავენ ლალის შემოქმედებითი პროცესის თავისებურებას. მას სჭირდებოდა დრო, რომ სიღრმისეულად შეეცნო თავისი მოდელი, შეეღწია მის შინაგან არსში, შეეთვისებინა ის თავის თავში. სწორედ ამიტომ დარჩა დაუსრულებელი მისი ზოგიერთი ნამუშევარი. ის ხშირად და ხალისით ხატავდა თავის ოჯახის წევრებს თბილისში, ახლო მეგობრებს, მეზობლებს, თავის შვილს ან, თუ მოდელი არ ჰყავდა, თავის თავს. ეს სახეები მისთვის კარგად იყო ნაცნობი, მათ ის ანიჭებდა თავის ხასიათს, ისინი არასოდეს ღალატობდნენ მას. თავის ნამუშევრებში ლალი აშიშვლებდა მოდელის ფსიქოლოგიურ ბუნებას და მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური თვისებების გამოვლენასთან ერთად ყოველთვის ქმნიდა პირტრეტს ერთდროულად



ლ.როსება. მომღერალი აგნეს ბალტსა კარმენის როლში

მსგავსსაც და არამსგავსსაც. როგორც ბევრ დიდ მხატვარს (ლეონარდო, გოია, მისი საყვარელი პიკასო), მას ყველაზე მეტად აინტერესებდა იმ ადამიანების პორტრეტები, რომელთა სახეებშიც მას ზოგჯერ შეჰქონდა საკუთარი თვისებები. თვალების გამომეტყველება, ტუჩები, სხეულის ან თავის მობრუნება გადმოსცემდნენ თვითონ ლალის დაძაბულობას, მის ექსპრესიულობას ან, პირიქით, მის ბუდისტურ სიმშვიდეს. მაგრამ ყველა პორტრეტში ჩვენ ვხედავთ ლალის. ამიტომ ყველაზე საინტერესოა მისი ავტოპორტრეტები. ჩვენს წინაშე წარმოსდგება ლალის განსხვავებული სახეები აშკარად მსგავსიდან, ჯერ ადრეული, გრაფიკულიდან — თითქმის „გაზავებულამდე“ ანანასებიანი ნატურმორტის ფონზე; მან შექმნა ოთხი ასეთი ნატურმორტი. ჩემს გულწრფელ გაოცებაზე ასეთი უცნაური ობიექტისადმი მისი ინტერესის გამო, მან თქვა: „მე ვხატავ იმას, რასაც ვხედავ ანანასის მიღმა“. ახლა მე დაჟინებით ვაკვირდები მის „ნატურმორტს ანანასით“ (2010 წ.) და ყოველ ჯერზე ვპოულობ მასში რაღაც ახალს, კოსმიურს. ბოლო ნატურმორტში მე ვიგრძენი, რომ ის უკვე გადადის სხვა განზომილებაში. ეს არის არა ისეთი ცხოვრებისეულ-ლიტერატურული ალეგორია, როგორც მის ექვს ადრინდელ დიდ ტილოში („ლამაზმანი ალუბლებით“, 1992წ. და სხვა), არამედ რაღაც არარეალური, განსხვავებული ყოველი შეხედვისას. ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენენ მისი ბოლო პორტრეტები, მეტადრე „ტორსი“ (2012 წ.), განსაკუთრებით აბსტრაგირებულ-მითოლოგიური. აქ წინასწარაა უარყოფილი ქალის სხეულის ფიზიკური სილამაზე, ტრადიციული შეხედულებით ის თითქმის უსახურია. მოელვარე კანი ბრწყინავს არამიწიერი სილამაზით, თვალები დახუჭულია, სახე თითქოს მიტრიალებულია რეალობიდან და მიმართულია „კეთილისა და ბოროტის მიღმა“. ფერწერის სტილი იცვლება — მუქი, მსხვილმონასმებიანი, ოდნავ ფანტასტიკურ-პირქუშიდან ნათელ, კაშკაშამდე. ბოლო წლების ლალის ნამუშევრებში ახალი მიღწევაა ორი ნატურმორტი (2012 წ.) ნათელი საგნებით. ძირითადად ეს მისი საყვარელი ნაზი ვარდისფერი მინაა ყველა ნათელი ფერის მინარევით, თხელი, თითქმის უჩინარი მონასმი. ლალის უკანასკნელ ნამუშევრებში გაჩნდა ახალი შეფერილობები, ახალი სტილი. ისინი მოასწავებენ ცხოვრების ნათელი აღქმის დადგომას. როგორც დაწერა Facebook-ში მისმა მეგობარმა, მოსკოველმა ლიტერატორმა მარინა ვიშნეკაიამ, „...ის თვითონ გრძნობდა, რომ დგას დიდი აღმოჩენების მიჯნაზე, რომ კიდევ ცოტაც და...“ ამის შესახებ წიმასწარმეტყველურად წერდა თვითონ ლალი: „მე ჯერ კიდევ დაკავებული ვარ ფერწერით — და შეიძლება ეს კარგია, რომ ჩემ ყურადღებას მისგან მე არაფერი მიფანტავს. ზოგიერთი (მცირერიცხოვანი) ნამდვილი მხატვარი, რომლებიც მე ბოლო წლებში გავიცანი, თვლის, რომ მე კარგად მივიწევ წინ ამ საქმეში... მთავაზობენ ერთობლივ გამოფენებს. ვნახოთ. ისე მიჭირს მე აქ, ჩემო საყვარელო! მარტოს... რა შემოქმედებითი განწყობა უნდა მქონდეს აქ! მაგრამ კარგი იქნებოდა (თუნდაც ფარდის მიღმა!) ორი-სამი ასეთი **ნამდვილი** ნამუშევრის შექმნა... მაგრამ, როგორც ღმერთი ინებებს...“ (26 ნოემბერი 2011 წ.) ლალი როსებას კაშკაშა სურათები ასხივებენ მისი ენერგეტიკის შუქს, რომელიც მან შთაბერა მათ თავისი

ნიჭით, თავისი გრძნობებით აღსავსე სულით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლალის დამოკიდებულება მუსიკასთან. შეიძლება ვუწოდოთ ამ პროცესს მუსიკის სამყაროსთან თანდათანობითი დაახლოება, შემდეგ კი მასთან სრული შერწყმა. ახალგაზრდობაში ის ამბობდა, რომ მუსიკა მეტისმეტად აღაფრთოვანებს, აშფოთებს, თრგუნავს კიდეც მას. ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას ჩვენ გატაცებით ვუსმენდით ედიტ პიაფის ფირფიტებს. მოგვიანებით მან დაიწყო მუსიკის დამოუკიდებლად მოსმენა. ტელეფონით ის მელაპარაკებოდა მარია კალასზე, აღტაცებული იყო ს. რიხტერის, ვ.ჰოროვიცის დაკვრით, შეუყვარდა რ.შტრაუსი. მან აღმოაჩინა გამოჩენილი ბერძენი ოპერის მომღერალი ქალის, 70-80-იანი წლების ერთ-ერთი უბრწყინვალესი მეცო-სოპრანოს — აგნეს ბალტსას ხმა და მაშინ მისმა მგრძნობიარე მუსიკალურმა გულმა გააერთიანა მუსიკა ფერწერასთან, შექმნა მომღერლის „მომღერალი პორტრეტები". ლალის შექმნილ ა. ბალტსას პორტრეტებში მომღერლის პლასტიური სხეული მოძრაობს და ჟღერს. მომღერლის ხელების ექსპრესიული ჟესტები, მთელი ტანის, პირის, თვალების მოძრაობა ძლიერდება წითელი ტონების მრავალფეროვანი გამით. ლალის შექმნილი ა. ბალტსას პორტრეტები ყოველთვის განსხვავებულია, მღერის ის კარმენს თუ მარშალის ცოლს (რ. შტრაუსის „ვარდების კავალერიდან"), ქერუბინოს (მოცარტის „ფიგაროს ქორწინებიდან") თუ ჯ. ვერდის „რეკვიემს". შესრულებული პარტიები ადვილად შეიცნობა და შთაბეჭდილებას ახდენს ისევე, როგორც მომღერალი-ტრუბადური ქალების შუასაუკუნოვანი გამოსახულებები ან მომღერალი ანგელოზები ჯოტოსა და ფრა ანჯელიკოს ტილოებზე. მომღერლის დაძაბულ-ექსტატიური გარეგნობა და მისი შესრულების მანერა სრულიად შეესაბამებოდა უკანასკნელ წლებში ლალის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ლალი მუდმივად ლაპარაკობდა მასზე, გატაცებული იყო მისი ხმით, მჩუქნიდა დისკებს მისი შესრულებით. საბოლოო ჯამში მან შექმნა მისი სახე თავისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებით — შექმნა მომღერლის გამომსახველობითი ძალისა და ნიჭის შესატყვისი ტილოები.

ლალის მხატვრული გემოვნება უნაკლო იყო, ეყრდნობოდა ღრმა პროფესიონალიზმს, მისი მსჯელობა შეშურდებოდა ნებისმიერ კრიტიკოსს, იქნებოდა ეს ფერწერის, თეატრის თუ მუსიკის სფეროში. ამავე დროს მისთვის მისაღები იყო ადამიანების გემოვნებებს შორის ნებისმიერი განსხვავებები, თავითვის კი უშვებდა მხოლოდ სერიოზულს, სულიერს. 2011 წ. 29 ნოემბერს ის წერდა: „ზოგჯერ ადამიანს უბრალოდ არა აქვს განვითარებული თვალი, რათა გაიგოს — რის შესახებ ელაპარაკები მას. მაგრამ კარგი იქნებოდა მისთვის სიმართლის თქმა — რომ ზოგიერთი სურათი მთლიანად გართობის სფეროდანაა, სერიოზული მათში არაფერია. ყველა თავისებურად ერთობა, ზოგს უყვარს დეტექტივები, ზოგს სერიალები... ზოგს კარგი ვენური ოპერეტა. მე კი — საერთოდ არ მიყვარს გართობა. ჩემთვის ვივალდიც კი ჩეჩილია ბარტოლის შესრულებით — მეტისმეტად მსუბუქი, რაღაც გადასარევ-განსაცვიფრებელია, მაგრამ **ზედაპირული**".

ვერ შესრულდა ბევრი რამ, რაზეც ლალი ოცნებობდა: „...ვისურვებდი ჩემი ბავშვობის ოცნების ასრულებას — რომისა და ფლორენციის ნახვას" (27 აგვისტო 2012 წ.); მას არ სურდა ეცხოვრა იქ, სადაც იცხოვრა 40 წელზე მეტი — „...მე არასოდეს მიყვარდა მოსკოვი, და აი, ვიცხოვრე აქ მთელი ცხოვრება. და სად ვისურვებდი ცხოვრებას? ალბათ, სადმე წყნარ, კეთილმოწყობილ ქვეყანაში. შეიძლება მოსაწყენში, მაგრამ ჩვენ ხომ „საინტერესო" გარემო და სხვადასხვა რყევები არ გვჭირდება..." (6 დეკემბერი 2011 წ.).

მის სურათებს, გამოფენილს მრავალრიცხოვან გამოფენებზე აქებდნენ, მაგრამ არ ყიდულობდნენ. ერთ ასეთ პარადოქსულ შემთხვევაზე მან მისთვის დამახასიათებელი იუმორით მომითხრო: „დამატყდნენ თავზე თვითონ თავისი ნებით ვიღაც, ვითომდაც მყიდველები, ახალგაზრდა ბანკირები, საშინლად მდიდრები. ისე მოისწრაფოდნენ ჩემსკენ და **ისე** სულშიჩამწვდომად აქებდნენ ჩემს სურათებს, მპირდებოდნენ ყველაფრის ყიდვას და, საერთოდ, სპონსორებად გახდომას. წავიდნენ დაპირებებით, რომ მალე ჩამოვლენ სურათებისათვის. მე უკვე თითქმის დავიჯერე, რომ ბოლოს და ბოლოს გამიმართლა ცხოვრებაში, ღმერთმანი! და საბოლოოდ არაფერი არ იყიდეს, ითხოვეს გადმოეცათ საერთო ნაცნობის საშუალებით, რომ ამჟამად მათ არა აქვთ „თავისუფალი ფული". ფასები მე მქონდა ყველა-

ზე ზომიერი, ისინი თავის ერთ საუზმეში მეტს იხდიან. ეს ყველაფერი საშიში არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ... როგორღაც უცნაურია, უბრალოდ რაღაც ეშმაკეულია“ (13 თებერვალი 2012 წ.). როდესაც მოხდა მისი ნამუშევრების დადებითი შეფასება გამოფენაზე ცენტრალურ მხატვართა სახლში 2012 წლის 8 იანვარს, ის ჩიოდა: „განსაკუთრებით გუშინდელი სულელური ვერნისაჟის შემდეგ ძალიან დაღლილი ვარ — უბრალოდ, ცხოვრების სურვილის სრულ არქონამდე — ამბობენ, გამოფენების შემდეგ ასეც ხდება“. ამგვარი შემთხვევები იწვევდნენ მასში დათრგუნულ მდგომარეობას, შემოქმედებითი განწყობის დაცემას. ნუთუ აუცილებელი იყო გადასვლა სხვა განზომილებაში, იმ აუცილებელ „მანძილზე“, რომელიც ეხლა გვაძლევს საშუალებას დავინახოთ და აღმოვაჩინოთ ფასეული ლალი როსებას შემოქმედებაში. თუ ამ მხარეს ჩვენ უფრო საკუთარი თავით ვიყავით დაკავებული?!!

ფიზიკური სისუსტის, სიფაქიზის, დაუცველობის მიუხედავად, და შეიძლება ამ თვისებების გამოც, ლალი იყო ძლიერი პიროვნება. მას ჰქონდა უნარი დამდგარიყო მეგობრების და ახლობლების გვერდით რთულ ვითარებებში, გაეძლიერებინა საკუთარი მისწრაფებების სისწორეში დაეჭვებულები, ეს მისწრაფებები შემოქმედებით კალაპოტში მოექცია. ამიტომ, ბევრს უნდოდა მასთან ურთიერთობა, ის კი მწერდა 2012 წლის 22 ივლისს: „სევდიანია ცხოვრება... გულახდილად რომ ვთქვა — შეიძლება მე ბუნებით დეპრესიული ვარ და ყველაფერი **მეჩვენება** შავ ფერებში (რაშიც მე, მართალი გითხრა, ეჭვი მეპარება) — მე უბრალოდ არაფერი მაქვს გასახსენებელი ჩემი ცხოვრებიდან მხიარული და კარგი — **მხოლოდ ერთი** იყო, რაზეც სასიხარულო და ადვილია ფიქრი — ეს ჩემი მეგობრული კავშირებია“.

ლალისთან ურთიერთობის სიიოლე გაპირობებული იყო მისი გახსნილობით სხვისი გრძნობებისა და განცდების მიმართ. ახალგაზრდობიდან მოყოლებული (ჩვენ გავიცანით ერთმანეთი 21 წლის ასაკში), ის იყო მუდამ კეთილგანწყობილი, თავისი მოკრძალებული ღიმილით, ყურადღებიანი, დიდრონი თვალებით, რომელიც მოსაუბრეზე იყო მიმართული. მან მშვენივრად იცოდა მოსმენა და თანაგრძნობა. და ის იყო მხიარული, ცელქი და მოუსვენარი, როცა ცხოვრება აძლევდა საშუალებას გამოევლინა თავისი ეს თვისებები, ყოველთვის იყო მადლობელი მის მიმართ სიყვარულისა და გაგების ნებისმიერი გამოვლინებისთვის. 2012 წლის 23 ივლისს მისი მეუღლის, ვალოდიას სიკვდილის შემდეგ ლალი წერდა: „ვზივარ მარტო, ლაპარაკი არ შემიძლია... სულში სრული გაუგებრობაა და ისეთი უკუნია... იწყებ **საერთოდ** ყველაფერში დაეჭვებას — თვით ღმერთის რწმენა ირყევა, რაც ახასიათებს ადამიანის ბუნებას, მოციქულებსაც კი ეპარებოდათ ეჭვი... მე ვიცი ეს, მაგრამ ამის გამო უკეთესად არა ვარ! — ჩნდება „ეგზისტენციალისტური“ კითხვა — რაშია, საერთოდ, ცხოვრების აზრი, თუ ის ასეთი სევდიანია, ღირს კი საერთოდ ცხოვრება — და სჭირდები კი შენ თუნდაც ვინმეს ქვეყანაზე, სჭირდება კი ვინმეს ვინმე **საერთოდ**?

ალბათ, ეს ყველაფერი გაივლის — **ყველაფერი** გადის... მაგრამ, როგორც მე მეჩვენება, ვალოდიას წასვლასთან ერთად რაღაც მომწყდა, ჩემი რომელიღაც ცოცხალი ნაწილი... ჩვენი ყველა შეუსაბამობის მიუხედავად, ის ჩემთვის მაინც იყო ძალიან ახლობელი, ძვირფასი ადამიანი. ჩემს წინ გაიარა მთელმა მისმა ცხოვრებამ — და მე ის ისე მებრალება... ისე მებრალება **ყველა**! ხო, დღეს ძალიან მძიმე დღეა!“.

მაგრამ თავისი ცხოვრების ამ ტრაგიკულ მომენტშიც კი ლალი ამჟღავნებს მთელ თავის ამტანობას და სულის სიძლიერეს და ამბობს: „მადლობა ჩემი სურათების ასეთი შეფასებისათვის — სწორედ ამ დღეებში, როცა ჩემი „ენერგეტიკა“ ნულზეა და მეჩვენება, რომ უკვე ვეღარ შევძლებ **ვერაფრის,** უბრალოდ „ჩემთვის“ ჩახატვასაც კი — შენი ალერსიანი სიტყვები — როგორ ვთქვა (მეც მეშინია მოგეჩვენო გადაჭარბებული!) „მომიწოდებენ ცხოვრებისაკენ“... თუმცა, მე არ მეჩვენება შენი ტონი გადაჭარბებული — მე ხომ გხედავ წერილის სტრიქონებს მიღმა **შენ**, ჩემო ძვირფასო. ჩვენს შორის არ შეიძლება იყოს შიში — ვიყოთ არასწორად გაგებული, ხომ მართალია?“ ეს სტრიქონები უაღრესად ძვირფასია ჩემთვის, ისინი — დიდი სიყვარულის ის ანარეკლია, რომელსაც მჩუქნიდა მე (და არა მარტო მე) ლალიკო...

ყოველი ადამიანისათვის უმთავრეს საკითხს — დამოკიდებულებას სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ — ლალი თავისებურად განიხილავდა წერილებსა და

გამონათქვამებში. მისი დამოკიდებულება მახსენებს მოცარტის ცნობილ სიტყვებს: „არსებითად, სიკვდილი — ეს ადამიანის საუკეთესო მეგობარია. ყველაფერი ღმერთშია!“ 2011 წლის 24 ნოემბერს ლალი წერდა: „ცხოვრება, საერთოდ, ისეთი ტრაგიკულია... უნდა ვიცოცხლოთ, სანამ ღმერთი გვაძლევს ცხოვრების საშუალებას, ერთმანეთის სიყვარულით“. მას არ ეშინოდა სიკვდილის და, როგორც ყვებოდა მისი შვილი, ლალიმ თავის უკანასკნელ წამს მხოლოდ გაკვირვებით შეხედა მას...

მინდა დავასრულო ჩემი სევდიანი მონათხრობი 2012 წლის 23 აგვისტოს ლალის მიერ გამოთქმული სიტყვებით, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი რთული, ღრმა და მრავალმხრივად დაჯილდოებული ნატურის გაგებისათვის: „შენი შეკითხვების შესახებ იმაზე, თუ **რატომ** ვიტანჯებით ჩვენ ყველანი (და ყველაზე ხშირად ასე უსამართლოდ იტანჯებიან სწორედ კარგი ადამიანები!) და ეს რატომ „სურს ღმერთს“ — სწორედ ეს არის უმთავრესი საკითხი, რომელიც შეუძლებელია **გადაწყდეს...** წყვეტენ მას თავისთვის მხოლოდ წმინდანები (და მათაც აქვთ ეჭვები!) — და საერთოდ **ყოველი** ჩვენთაგანი პოულობს **თავის** პასუხს, საკუთარი გამოცდილების შედეგად. ამის ლოგიკურ „ახსნას“ ჩვენთვის ვერავინ შეძლებს... ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ ღმერთი არის სიკეთე, გვეხმარება ყველაზე მეტად ის, თუ ჩვენ, თუნდაც ერთხელ ცხოვრებაში, დავინახავთ ადამიანს უკვდავების ნათელით სახეზე (არ მახსოვს ვისი სიტყვებია ეს). მაგრამ **ეს** შთაბეჭდილებაც შეიძლება დროთა განმავლობაში წავიდეს ჩვენგან. ეჭვი ახასიათებს ადამიანის ბუნებას: მოციქულებიც კი გრძნობდნენ დროდადრო ეჭვებით ტანჯვას. რომ **ვიცოდეთ** უფალი და ვიგრძნოთ მისი არსებობა, ჩვენ უნდა მივუძღვნათ ამას, შეიძლება, მთელი ცხოვრება — **გავბედოთ** ამ გმირობის ჩადენა (სერაფიმ საროველის სიტყვები). ვაკაკუნოთ გამუდმებით კარებში და ჩვენ (შესაძლებელია!) გვიპასუხებენ. და **თითოეული** უნდა იყოს ძალიან კონცენტრირებული **თავის** შეკითხვაზე და დასვას ის მთელი შესაძლებელი კონცენტრაციით... არა „ზოგადად“ იკითხოს, არამედ კონკრეტულად — თავის შემთხვევაზე.

მე, გამოგიტყდები, არა მაქვს **გაბედვის** უნარი, რომელზეც ლაპარაკობს საროველი. მე არა მაქვს ძალა გავბედო გადავიდე **სიწმინდეში,** რომლისკენაც ჩვენ **ყველა** მოწოდებული ვართ. ესე იგი მე უნდა ვიყო „წმინდა“ ჩემი ძალებისამებრ. და **ესეც ისეთი შრომაა!** და ასე შრომაში (ძალიან პატიოსნად), ჩვენ თითქოს ვხდებით ღმერთის „თანამებრძოლები“ — ყველა თავის სარბიელზე, და იწყება ჩვენთვის ღმერთის აღმოჩენა — როგორც კი ვუახლოვდებით მას, ის იწყებს ლაპარაკს ჩვენთან ჩვენი გულისა და აზრების მეშვეობით. და ეს ერთადერთი ხმაა, რომელიც სწორედ უპასუხებს ჩვენ შეკითხვებს.

ეს ჩემი, ასე ვთქვათ, „ქადაგებები“ — რა თქმა უნდა, ძალიან მიახლოებითი „მოქმედების სახეა“ იმისთვის, რომ ცხოვრების მთავარმა კითხვამ არ გვაწვალოს — მე ხომ გამოვდივარ მხოლოდ **საკუთარი** გამოცდილებიდან — და, ისევ უნდა გამოვტყდე, მე **ისე** შორს ვარ ყოველგვარი სულიერი სიმშვიდისაგან...

მე მიწევს ამ ჩემი „მოქმედების სახის“ ყოველდღიური დაცვა ჩემი სისუსტეების (ყოველგვარი შინაგანი და გარეგანი „ეშმაკეულობის“, როგორც უწოდებენ ამას გულუბრყვილო ადამიანები) წინააღმდეგ ყოველდღიური ბრძოლის დროს... არსებობს გამოთქმა — „რაც უფრო მაღლდები ღმერთთან, მით მეტად ცდილობენ ეშმაკები შენს დაჭერას და ქვევით ჩათრევას“. საერთოდ, — როგორც მე მგონია — თითოეულმა უნდა (თუ ეს მას აღელვებს) იპოვოს თავისი პაწაწინა წერტილი სულში, რომელიც პასუხობს მარადისობას, რომელიც ჩვენ განმზადებული გვაქვს და მუდამ მასთან უნდა დავბრუნდეთ. მივიღოთ გადაწყვეტილება საკუთარი სულის მუდმივ „სანაციაზე“ (ლათ. Sanatio— მკურნალობა, გაჯანსაღება) ჩვენი ძალისამებრ (და რაც უფრო უკეთესია ადამიანი, ანუ უფრო სუფთა, კეთილი, ჭკვიანი, ღრმა, ამაღლებული და ა. შ. — მით მეტად უნდა იყოს ის ყურადღებიანი თავისი სულის მიმართ)“.

მე აღვიქვამ ლალის ამ სიტყვებს, როგორც ანდერძს, რომელიც დაგვიტოვა მან ლიტერატურული, ფერწერული, ესეისტური და თვითგამოხატვის სხვა საშუალებებით. ისღა დაგვრჩენია, რომ მხოლოდ ვეცადოთ გამოვიცნოთ მისი თვალების, მისი შემოქმედების საიდუმლო და დავინახოთ უკვდავების ნათება მის სახეზე.

მე გამიმართლა, მე დავინახე ის...

ირინა ჯორჯაძე

ო.ტატიშვილი

„ჩემი აღსარება ჩემი ეპოქის აღსარებაა“

„ოთარ ტატიშვილის მსხვილი ფორმის ნაწარმოებები, ერთმანეთისგან კონცეპტუალურად უაღრესად განსხვავებულია, ხოლო, მეორე მხრივ, მსგავსია ავტორის მუსიკალური აზროვნებისა და ინტელექტის მდიდარი პალიტრით. ციკლი „ეთნომანია“ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მრავალფეროვანი ეთნოლოგიური სახიერებით, სახასიათო განწყობილებებით ოსტატურადაა სინთეზირებული თანამედროვე მუსიკალურ აზროვნებასთან. სერიოზული განაცხადია საფორტეპიანო კონცერტები. მათში წამოჭრილია სხვა, დრამატურგიული, საორკესტო ხმოვანების, ბალანსისა და მასშტაბის საკითხები. ოთარის სტიქია იმპროვიზაციაა. ეს ვლინდება ყველა ნაწარმოებში და ბუნებრიობას სძენს მთელს მის შემოქმედებას“ –

ბიძინა კვერნაძე

„ოთარ ტატიშვილი ნიჭიერი ახალგაზრდაა – მშრომელი, ჭკვიანი, განათლებული, მშვენიერი მუსიკოსი, კარგი გემოვნებით. ჩემთან მეცადინეობს 3-4 წელი. მან საკომპოზიციო კურსი დაასრულა საფორტეპიანო კონცერტით, რომელიც ძალიან სერიოზული ნამუშევარია ვარიაციის ფორმაში, ასეთ ფორმის შექმნას სჭირდება ფანტაზია, ოსტატობა,დიდი შრომა. სასიხარულოა, რომ ოთარ ტატიშვილი დაჯილდოვდა საკავშირო კონკურსზე პრემიით ამ კონცერტის გამო“ –

ოთარ თაქთაქიშვილი

ოთარ ტატიშვილი თანამედროვე ქართველი კომპოზიტორია არა იმიტომ, რომ იგი დღეს ქმნის მუსიკას, არამედ იმიტომ, რომ „დღევანდელობას“ გამოთქვამს, ანუ „დროს აღნიშნავს“. გალაკტიონ ტაბიძის ეს იმპერატივი – „დრო, დრო აღნიშნე!“ – იმ სიღრმისეულ ცვლილებათა შეგრძნებასა და გამოსახვას გულისხმობს, რაც მომხდარა გარეთ, სამყაროში და შესაბამისად, ადამიანის შინაგან სივრცეში. ღვთით ხელდასხმული ბედნიერებაა, იყო დროის აღმნიშვნელი ხელოვანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხდები ახალი დროის ევგზისტენსი, რომელიც აყალიბებს ახალ სამეტყველო ენას, ფორმას, გამოსახვის ახლებურ სტილს, დეტერმინირებულს დროის უსასრულობაში. ეს, თავისთავად, ავალდებულებს ხელოვანს შემოქმედებითად, ოსტატურად აითვისოს პოსტმოდერნისტული ხელოვნების მიღწევები და ამავდროულად, მიქსირებულ სტილთა ნაერთში შექმნას თავისი განუმეორებელი ხელწერა. ოთარ ტატიშვილის შემოქმედება პოსტმოდერნისტუ-

ლი ხელოვნების გამორჩეული მოვლენაა. თანამედროვე კომპოზიტორების უმეტესობისაგან განსხვავებით, მისი მუსიკალური EGO იძერწება სწორედ სასიმღერო ლირიკიდან, რომელიც რეფლექსირებულია თითქმის ყველა ჟანრში. ატონალური, ექსპრესიონისტული, ნეოკლასიკური და, რაც მთავარია, რომანტიკული და კლასიკური ესთეტიკური სახეები აყალიბებენ და ქმნიან კომპოზიტორის დამახასიათებელ სტილს. ნაწარმოებთა ინტონაციური ქარგა და სინტაქსური წყობა შეესაბამება ფიქრის პროცესს.

მივყვეთ ნაწარმოებთა ანთოლოგიას 2007 წლიდან 2012 წლამდე და ვნახოთ, როგორ ეძებს კომპოზიტორი ,,ახალ სათქმელს" მუსიკაში. ეს არის ზენა ბრძანების აღსარება და ამდენად, შეიძლება ითქვას, კომპოზიტორის ბედისწერაცაა. თითოეული ნაწარმოები ფლობს ,,გემოვნების სიზარმაცის" დაძლევის გაცილებით მეტ გაბედულებას, თითოეული კომპოზიცია ამყარებს აზრს, რომ ადამიანი არაფერს ეწინააღმდეგება ისე, როგორც შინაგანი მარწუხების მსხვრევას; სტერეოტიპებზე, ანუ როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, ,,ხელსაყრელ ჭეშმარიტებებზე" უარის თქმას.

ოთარ ტატიშვილის შემოქმედება ეგზისტენციალური დრამაა. აქ მიმდინარეობს დაძაბული და დაწვრილებითი, დეტალიზებული კვლევა ადამიანის, ძირითადად, „მე"-ს ყოფნისა წუთისოფელში. აქედან გამომდინარე, კომპოზიტორის მუსიკის საზომი სილამაზესთან ერთად სიმართლეა. ეკლექტიკა, რომელიც პოსტმოდერნისტული მუსიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ესთეტიკური ფასეულობაა, ოთარ ტატიშვილის მუსიკაში ოსტატურად არის განფენილი ქართული მუსიკის კილო-ტონალურ, აკორდულ შრეებში.

უაღრესად საინტერესოა კომპოზიტორის მუსიკალური სახისმეტყველებითი ფენომენი, რომელიც სრული მასშტაბურობით ვლინდება მისი საფორტეპიანო და სიმფონიური აზროვნების ტექნიკაში. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ეკლექტიკურობისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პასტიშის მოდელი ოთარ ტატიშვილის მუსიკის საფუძველია.

ნაწარმოებთა მიმოხილვა დავიწყოთ ურთულესი და ულამაზესი საფორტეპიანო ნაწარმოებით, ხელწოდებით ,,ბალადა შოპენზე'", რომელიც შეიქმნა 2007 წელს. აქ სრულად ვლინდება კომპოზიტორის საშემსრულებლო ვირტუოზობა. ნაწარმოების სტილი, თავისთავად, რომანტიკულია, სახასიათო შოპენისეული Rubatto-თი და შუმანისეული „აღმაფრენით". ბალადის ფორმაქმნადობის მთავარი ელემენტია თხრობით-დეკლამაციური თემა, რეპრიზულ ნაგებობაში ერთგვარი გადაძახილიცაა ,,ჰეროიკულ" პოლონეზთან, კოდა კი ეპიკურ-ლირიკული რეჩიტატივია.

ქართული პოსტმოდერნისტული საფორტეპიანო მუსიკის ერთ-ერთ საუკეთესო მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს პიესების ციკლი ,,ეთნომანია". იგი ალეგორიულ-მეტაფორული სახეებით გადმოგვცემს საქართველოს სხვადასხვა კუთხის კილო-ინტონაციურ მასალას, რომელიც გადაწყვეტილია საინტერესო ჟანრულ ფორმებში, თუმცა ქართული ფოლკლორული მასალის ციტირება არსად არ ხდება.

ოთარ ტატიშვილის ციკლურ ნაწარმოებებში რიცხვი ,,შვიდი" საკრალური დატვირთვისაა (გავიხსენოთ ბატონ რევაზ სირაძის განმარტება ,,შვიდის" შესახებ, რომ ჰაგიოგრაფიაში ,,შვიდი" არის სიმბოლო მამულიშვილობის, სამშობლოს სიყვარულის). ,,ეთნომანია" თეატრალიზებული ნაწარმოებია, პროგრამული მუსიკაა, რომელიც აგებულია სახეთა კოლაჟზე. მისი საფუძველია განწყობილებათა კალეიდოსკოპური ცვლა. პიესათა თანმიმდევრობა ასეთია: 1. მთიელის სევდა; 2. ერიკა; 3. ჭირვა; 4. არულა; 5. მოდის მაყარი; 6. მტრის მოლოდინში; 7. მხედრული. „ეთნომანია'' შეასრულა ცნობილმა ქართველმა პიანისტმა თამარ ლიჩელმა და თათია შარანგიამ და გურანდა გაბელაიამ.

2012 წლის 9 დეკემბერს, თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, შედგა კომპოზიტორის საავტორო საღამო. გურანდა გაბელაიამ ვირტუოზულად შეასრულა ,,ეთნომანიის" შვიდივე პიესა.

საავტორო საღამოზე აჟღერდა, ასევე, სავიოლინო კონცერტი სოლისტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის. ნაწარმოები რეკორდულ დროში, 21 დღეში შეიქმნა. კონცერტში მონაწილეობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი, დავით მუქერიას დირიჟორობით.

დ.მუძერია, ო.ტატიშვილი

სავიოლინო კონცერტს ასრულებდა ცნობილი ქართველი მევიოლინე, ლუარსაბ იაშვილის შთამომავალი – მანანა დუგლაძე.

კონცერტი სამნაწილიანია: I ნაწილი – Ad Initium (დასაწყისისათვის) II ნაწილი – Ad Infinitum (უსაზღვროებამდე) და III ნაწილი – Ad Gaudium (სიხარულისათვის).

სავიოლინო კონცერტი ინარჩუნებს რომანტიკული კონცერტის ჟანრის ესთეტიკას – ხდება სახეთა დაშლა-დაქუცმაცება, საწყისი პუნქტირული თემა მუშავდება მონოთემატიზმის პრინციპით. კადენციაში შეიცნობა ალექსი მაჭავარიანისეული ლირიზმი და სევდა. სუბსტრატი, რითაც გამსჭვალულია ოთარ ტატიშვილის მთელი მუსიკა, არის სევდა – დაგუბებული, უპირველესად, ინტონაციურ რესურს-მასალაში და კომპოზიტორის ხედვის მიმართულებაში. ცხოვრებისა და სულის წინააღმდეგობა-შეუსაბამობა ნაწარმოების ცენტრში ტრიალებს. ამიტომაც იღებს კომპოზიტორი ლათინურ სათაურს, რომელიც ზოგადად სევდას კოსმოგენურ დატვირთვას ანიჭებს. სავიოლინო კონცერტის ცხოვრებისეულ ლაბირინთს წარმოადგენს II ნაწილი – Ad Infinitum (უსაზღვროებამდე). ულამაზესი ჰარმონიული სივრცე კინოკადრირების ეფექტს ახდენს, ადამიანის მდგომარეობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტრანსცედენტული. აქ შეფარულად ჟღერს I ნაწილის ტრანსფორმირებული პუნქტირული თემა, თავისი ღრმა ტრაგიზმით. თუმცა, ამ გზას ადამიანი გადის რწმენით. II ნაწილი მთავრდება მაჟორში, რომელიც ასხივებს სიკეთესა და სიყვარულს. III ნაწილი – Ad Gaudium (სიხარულისათვის) –Allegro – ეგზისტენსის ბრძოლაა შინაგან სამყაროსთან და მისი ადაპტაცია ცხოვრების დიალექტიკასთან. საბოლოოდ, გმირი გამოდის გამარჯვებული. I ნაწილის თემა ხდება ეპიკური, იგი ტრანსფორმირდება მოწოდებად, ერთგვარ დეკლარაციად, რომ ცხოვრება მხოლოდ სიხარულია. აქ შეიძლება

ეპილოგად გამოვიყენოთ ბესიკ ხარანაულის ცნობილი ფრაზა: „ყოველი დილა გაზაფხულია, რადგანაც იგი არ არის გუშინ ''.

საავტორო კონცერტი დაგვირგვინდა №1 სიმფონიით "Memento Patriam" (გახსოვდეს სამშობლო). ნაწარმოები შეიქმნა 2010 წელს და გადმოგვცემს ჩვენს ეროვნულ ტკივილს – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დრამატულ ეპიზოდებს. საკომპოზიტორო ტექნიკა ეფუძნება ურთულეს მეტრო-რიტმულ ფორმულებს, გამოყენებულია პოლიმეტრული აქცენტები, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ ხატავს დაძაბულობას, შიშს, ძრწოლას, ღვთის ანაბარად მიტოვებული ქვეყნის განსაცდელს. ქსილოფონის რეპეტიციები DIES IRAE-ს სიუჟეტურ ქარგას ქმნის. სეკვენციური წყვეტილი მელოდია ერთგვარი სარკაზმია სამშობლოს მიმართ. I ნაწილის დასასრულს, ლიტავრების მწყობრი, რიტმული ფორმულის ფონზე, საყვირების მაღალი რეგისტრის ტრაგიკული ხასიათის ინტონაციები შემოიჭრება. ყველაფერი ერთად კი „გმირთა ვარამს" ასახავს ექსპრესიონისტული გამომსახველი ხერხებით. II ნაწილი – „დაცემული ბრძოლის ველი" – არის ბალადა, სადაც ფლეიტა ყვება თითოეული გმირის „ოლგოთის" ისტორიას. რწევადი ხასიათის მეორე თემა კი გადმოგვცემს თავგანწირული ბრძოლის ტრაგიკულ ამბავს. კომპოზიტორი სიუჟეტის მკაფიოდ გადმოცემისათვის იყენებს იმპრესიონისტულ-გამჭვირვალე ფაქტურას და ტემბრულ კოლორიტს. III ნაწილი არის აღმოსავლური საცეკვაო ინტონაციების კოლაჟი, რომელიც მტრის სახის რემინისცენციაა. მტრის დამარცხებულ სახეს მაჟორში ანაცვლებს გამარჯვებული გმირების სიმღერა. ეს არის პატრიოტული სიმღერა, რომელშიც შეიცნობა კომპოზიტორის სასიმღერო ჟანრის უდიდესი ოსტატობა.

„მე ეს უკვე ვნახე'' – "DEJA VU" – ეს არის Konzertshtuk-ი, საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად. იგი შეიქმნა 2011 წელს და შესრულდა საავტორო კონცერტის II განყოფილებაში. საფორტეპიანო კონცერტი №1 სიმფონიის დრამატული კონცეფციის იდეური გაგრძელებაა. სტილისტურად კომპოზიტორი მიმართავს ნეოკლასიცისტური კონცერტის ფორმას, სტრავინსკისა და პროკოფიევისათვის დამახასიათებელ ტოკატისებურ ფაქტურას. ამ კონცერტში გრძელდება გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა. შუა ნაწილში ყალიბდება თემა, რომელიც განთიადის სურათს ხატავს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ოთარ ტატიშვილის, როგორც მხატვრის, განუმეორებელ ფენომენი. ის ზუსტად გრძნობს ხაზს, შტრიხს, პერსპექტივას და ამას მკაფიოდ შევიგრძნობთ მისი მუსიკის მოსმენისას. განთიადის თემის მოსმენისას გვეუფლება ასოციაცია, როგორ იხატება ოქროსფერი ხაზებით მზის ამოსვლის პეიზაჟი, როგორ მკვიდრდება სიცოცხლე მზესთან ერთად. კონცერტის კადენცია დილის საგალობელია, სიხარულის ფანფარები საყვირებში, ორკესტრის Tutti პასუხს სცემს კითხვას, რომელიც კონცერტის სათაურშივეა დეტერმინირებული, მართალია, „მე ეს უკვე ვნახე, დიახ, ვნახე ცხოვრება, მაგრამ ბევრი დამრჩა კიდევ სათქმელი".

ზემოთ მიმოვიხილეთ კომპოზიტორის საავტორო კონცერტი. უპრიანია, შევეხოთ ასევე კომპოზიტორის № 2 სიმფონიას „Memory", რომელიც დაიწერა 2012 წელს. იგი არის ერთნაწილიანი სიმფონიური დრამა. შესავალში აღვნიშნეთ, რომ ოთარ ტატიშვილი არის „დროის" შემოქმედი. იგი გვევლინება ინოვაციური

ხერხების დამკვიდრების დიდოსტატად. კომპოზიტორი არავის ბაძავს ტემბრულ-ჰარმონიული პლასტების ორიგინალურობაში. №1 სიმფონიიდან აქაც გრძელდება მტრის რემინისცენციის თემა. გულისცემის ასოციაციას ქმნის „გმირების დაღუპვა''. ერთნაწილიან სიმფონიაში დრამატურგიული როლი ენიჭება ქსილოფონის სარკასტულ ტემბრს. აქ შეიძლება პარალელი გავავლოთ ლუტოსლავსკის №3 სიმფონიის მხატვრულ სახეებთან.

ოთარ ტატიშვილის შემოქმედების გამორჩეული ქმნილებაა საფორტეპიანო კვინტეტი. კამერული ჟანრის ეს თხზულება ეფუძნება სერიულ ტექნიკას. იგი საეტაპო ნაწარმოებია თავისი მუსიკალური ენით. მასში სერიულობა ნეოკლასიცისტურ ხერხებს ერწყმის. კვინტეტის სახასიათო შტრიხია სტილიზაცია. მასში ხშირად გაიელვებს რომანტიკული მუსიკისათვის დამახასიათებელი ლირიკული თემა, რომელშიც გამოკვეთილია ფუნქციონალური ჰარმონიის ელემენტები. დრამატურგიული დატვირთვა აქვს ფორტეპიანოს. იგი მთელი ნაწარმოების მანძილზე უწყვეტ მეტრ-რიტმულ განვითარებაზეა აგებული. პირობითი მეორე ნაწილი (შედარებით ნელი შუა მონაკვეთი) შინაარსობრივად ახლოს დგას №1 სიმფონიის დრამატულ ხასიათთან. მესამე ნაწილში შეგვიძლია პარალელი გავავლოთ ბელა ბარტოკის ცნობილ კვინტეტთან. დრამატული სიმფონიზმის ხერხით ხდება ადამიანის ცხოვრებისეული დრამის გადმოცემა, დრამა მდგომარეობს სწორედ არსებობის არსის განსაზღვრაში.

ქართული საფორტეპიანო მუსიკის მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს №2 სონატა, რომელიც 2012 წელს შეიქმნა და აგრძელებს „ეთნომანიის'' სტილისტურ და ჟანრობრივ შინაარსს. „მარულას'' რიტმ-ინტონაციები კონცეპტუალური საყრდენია მთლიანი ნაწარმოებისათვის. მუსიკალური მასალის ამორფულობა, დისონანსური ჟღერადობა, კილოსა და ჰარმონიის სიმძაფრე, „ხორუმის" ექსპრესიული დინამიკური რიტმული ფაქტურა შთამბეჭდავს ხდის ნაწარმოებს. შუა ნაწილი ერთგვარი ფუგაა კონტრასტული განვითარებით. ნაწარმოებში მოცემულია პირობითი სამნაწილიანობა. ერთნაწილიან სონატაში სიმფონიზმის ხერხებით მიიღწევა უწყვეტი განვითარება. ყოველივე ეს კი მოითხოვს შემსრულებლის მხრიდან დიდ ოსტატობას, ვირტუოზობას.

ოთარ ტატიშვილის შემოქმედებაში ძნელია ვისაუბროთ რომელიმე ნაწარმოების მნიშვნელობის თაობაზე. კომპოზიტორის ყოველი ქმნილება იმდენად მართალი და დროსთან ადეკვატურია, რომ მოსმენისას იგი შენეული ხდება. ვერ ივიწყებ, შენც მასთან ერთად განიცდი, თანამონაწილე ხდები ფსიქოლოგიური დრამის. სწორედ ასეთი მნიშვნელობისაა საფორტეპიანო ციკლი (აქაც 7 პიესაა) „უკანასკნელი რომანტიკოსი". ნაწარმოები შეიქმნა 2008 წელს. მინიატურულ თუ მასშტაბურ პიესათა თანმიმდევრობით იძერწება ადამიანის ამქვეყნად მოვლინების მისია. პიესაა „აღმაფრენა" –Presto, რომელიც გადმოგვცემს დაუოკებელ მისწრაფებას – სიყვარულით მოიცვას მთელი სამყარო. სწორედ, ამ პიესაში იკვეთება „ჩაილდ ჰაროლდისეული" იდეა: იმედგაცრუებული ახალგაზრდა არისტოკრატი მალე იქცა სინამდვილის წინააღმდეგ ამბოხებულ პიროვნებად. II პიესაა „მზის ბილიკი '' – რახმანინოვისეული გაშლილი ფაქტურა გვიხატავს მზის ამოსვლის სცენას. მას შეიძლება ვუწოდოთ „მზის სიმფონია", თავისი რთული, მსუყე ტექნიკური პლასტების გამო. III პიესა არის „ეშმაკის ფეხი'' – სიმბოლო. იგი №1 სიმფონიის Dies Irae-ს მხატვრული სახის რემინისცენციაა. IV მინიატურა არის „სიზმარი'' – დებიუსისეული „სირინოზების" მსგავსი ულამაზესი მუსიკა სევდიანი ჰარმონიული მაჟორით, რომელიც ამოზრდილია კომპოზიტორის სასიმღერო ლირიკიდან. V პიესა მშვენიერი „ფარვანაა"... სიცოცხლე უნდა შევიგრძნოთ ყოველი ფეხის ნაბიჯზე: სიცოცხლეა ჩიტების ჭიკჭიკი, ფოთლების შრიალი, ჩანჩქერის ჩხრიალი, ფარვანა პეპელას ტრფობა ვარდის ფურცლებზე და დაუდგრომელი სწრაფვა სინათლისაკენ. სიცოცხლეა თვით ეს სამყარო უმშვენიერესი სიცოცხლისათვის განსაზღვრული დრო არ არსებობს, ფარვანა ხომ რამდენიმე დღე ცოცხლობს. ცოცხლობს სიყვარულით და იმედით, ეს ერთგვარი მეტაფორა სრულიად მიესადაგება კომპოზიტორის შემოქმედებით Credo-ს. VI პიესაა „ბლუზი", რომელშიც ვლინდება კომპოზიტორის ფართო მუსიკალური თვალსაწიერი. აქვე შეგვიძლია მოვიხმოთ ჯონ კეიჯის ცნობილი ციტატა: „ადამიანი

ყველაფერს უნდა მიუდგეს მიკერძოების გარეშე. მისი მოვალეობის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს თანაბარი კეთილგანწყობა ამ სამყაროს ნებისმიერი ფენომენის მიმართ. თუ ანგარიშს გავუწევთ მხოლოდ იმას რა მოგვწონს, ვერ მივიღებთ პასუხს მნიშვნელოვან კითხვაზე. ანგარიშგასაწევია ისიც, რაც არ მოგვწონს, რადგან ამის გარეშე ვერ შევიცნობთ სამყაროს და მით უმეტეს ვერ შევიცნობთ საკუთარ სულს".

VII პიესა „ბედის ბორბალი" — ციკლის კვინტესენციაა. პიესის იმპრესიონისტული, დიატონური აკორდული წყობა შერწყმულია ატონალური მუსიკის სახასიათო ამორფულობასთან. „აღმაფრენის" თემა ტრანსფორმირებულია დასკვნით ნაგებობაში. მელოდიურ-ჰარმონიული ფაქტურა რთულდება „ბედის ბორბალის" ურთულესი მეტრ-რიტმული პლასტებით".

„ეთნომანიაში" ცალკეული პიესებით იხატება საქართველოს ეთნიკური კუთხეების თეატრალიზებული სურათები, სადაც ყოველი პიესა ცალკე დამოუკიდებელი სურათია თავისი კილო-ჰარმონიით და ბგერწერითი ხერხებით. ,,უკანასკნელ რომანტიკოსში" კი „აღმაფრენიდან" ,,ბედის ბორბალამდე" გამჭოლი თემა მთლიანად კრავს ციკლს პიესათა ალეგორიულ სახეებში. ფარულად ჟღერს ტრანსფორმირებული ,,აღმაფრენის" თემა, რომელიც თითქოს თვითგადარჩენის მიზნით ტრანსფორმირდება, ერთგვარად სახეს იცვლის რეალობის წნეხში და ბოლოს, თითქოს დაღლილი, ნებდება ბედისწერას. საბოლოოდ კი ვღებულობთ ნეორომანტიკული მუსიკის შთამბეჭდავ ნიმუშს.

ჩემი მიმოხილვის ბოლოს, მინდა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოვთქვა საფორტეპიანო ფანტაზიის მიმართ, რომელიც სრულდება ორკესტრთან ერთად. ულამაზესი ჰარმონია, ბგერწერითი ხერხები, კანტილენურობა საბოლოოდ აყალიბებს კომპოზიტორის ავტოპორტრეტს. ქსილოფონის რბილი ზედა რეგისტრი არაჩვეულებრივადაა შერწყმული ფორტეპიანოს მელოდიურ-ჰარმონიულ მასალასთან... მუსიკა ხატავს და ქმნის უსასრულო სივრცეს. აქ კიდევ ერთხელ გაიჟღერებს ,,ფარვანას" ულამაზესი მელოდია. ფორმადქმნადობის მთავარი ხერხია იმპროვიზაციული განვითარების თავისუფალი სტილი.

ოთარ ტატიშვილის შემოქმედების მიმოხილვა მინდა დავასრულო ცნობილი ფრანგი მუსიკისმცოდნის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რომენ როლანის ცნობილი ფრაზებით: ,,სიცოცხლის მთელი სიხარული შემოქმედებაშია. ქმნიდე, ნიშნავს — დაამარცხო სიკვდილი"... და კიდევ: ,,ჩემი აღსარება — ჩემი ეპოქის აღსარებაა".

ოთარ ტატიშვილის მუსიკა ჭეშმარიტად დიდ ყურადღებას იმსახურებს მკვლევარების მხრიდან. იმედია, მუსიკალური ჟურნალისტიკა განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ნიჭიერი თანამედროვე ხელოვანის, პიანისტისა და კომპოზიტორის, ოთარ ტატიშვილის შემოქმედების კვლევასა და ანალიზს.

ინგა ბარამიძე



ქართული წიგნი ბეთჰოვენზე

ქართული წიგნის სამყაროს მუსიკის თემაზე შექმნილი ახალი ნაშრომი შეემატა — მუსიკისმცოდნე რუსუდან ქუთათელაძის წიგნი „ბეთჰოვენი“. ამ ფაქტს ქართულ მუსიკისმცოდნეობაში შეიძლება მოვლენაც ვუწოდით. მოვლენა, რადგანაც ეს არის ქართველი ავტორის მიერ ქართულ ენაზე დაწერილ-გამოქვეყნებული პირველი ნაშრომი ბეთჰოვენზე. მანამდე ქართულენოვან მკითხველს ბეთჰოვენის შემოქმედების გაცნობა შეეძლო მხოლოდ მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის, არნოლდ ალშვანგის მიერ შექმნილი მონოგრაფიის ქართული თარგმანით, რომელიც 60-იან წლებში დაიბეჭდა გამოჩენილი ადამიანებისადმი მიძღვნილი წიგნების სერიაში.

საქმეში ჩაუხედავი პირები ამ ცნობამ შეიძლება გააკვირვოს და მრავალი კითხვაც გაუჩინოს: როგორ, ბეთჰოვენის შემოქმედებას ქართველი მსმენელი ხომ მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედიდან იცნობს? სამუსიკო განათლების კერებიც საქართველოში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან გაჩნდა! აგერ, სულ რაღაც ოთხ წელიწადში თბილისის კონსერვატორია დაარსების 100 წლისთავს იზეიმებს. მაშ, როგორ ეუფლებოდ-

ნენ ქართველები აღნიშნულ დაწესებულებებში ცოდნას ბეთჰოვენზე, თუკი ქართულ ენაზე არც სახელმძღვანელოები და არც მონოგრაფიები არსებობდა? და რა იყო მიზეზი მათი არქონისა? საკითხი ფართეა და ძირითადად საბჭოთა ქვეყნის იდეოლოგიას უკავშირდება. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრში — რუსეთში, კერძოდ მოსკოვსა და ლენინგრადში (დღევანდელ პეტერბურგში) შექმნილი, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სახელმძღვანელოები და პროგრამები კარნახობდნენ საბჭოთა სივრცეში შემავალი ყველა ქვეყნის სამუსიკო განათლების კერებს მუსიკის ისტორიის კურსის შინაარსს, მიმართულებას, განსახილველ მასალასა და განხილვის რაკურსს. ასეთი მიდგომა უფრო საიმედო იყო პოლიტიკური თვალსაზრისით და უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის იდეოლოგიური საძირკველის სიმყარეს. ამიტომ, ამ მიმართულებით ეროვნულ მკვლევართა წახალისება არ ხდებოდა. სწავლა კი, რუსული წიგნებითა და სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა. ეს ხელს არ უწყობდა მუსიკის სფეროში ეროვნული სააზროვნო სისტემისა და ამ აზროვნების შესაბამისი, გამართული სამუსიკისმცოდნეო მეცნიერული ენის ჩამოყალიბებას. თუმც, ამ ხარვეზის დაძლევას ქართველი მუსიკოლოგები სალექციო კურსების მომზადების პროცესში ცდილობდნენ. აღნიშნულ საკითხში, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მუსიკის ისტორიის კათედრის დამაარსებლის პროფესორ ლადო დონაძის ფუძემდებლური როლი, რომელმაც თავისი სალექციო კურსითა და ნაშრომებით ევროპული მუსიკის ისტორიაში სათავე დაუდო ქართული სამუსიკისმცოდნეო ლექსიკის შექმნას. მომავლში, მის ღვაწლს ამ საქმეში მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები და სხვა სპეციალისტებიც ანვითარებდნენ. რუსუდან ქუთათელაძეც მათ შორისაა.

ევროპული მუსიკის ისტორიაში ქართული სახელმძღვანელოების შექმნის პრობლემა უფრო აქტუალური გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისიდან. და აქ, პირველობა, უთუოდ, რუსუდან ქუთათელაძეს ეკუთვნის, რომელმაც ხანგრძლივი პედაგოგიურ-სალექციო გამოცდილებით მოპოვებული ცოდნისა და წლების მანძილზე გაწეული მუშაობის საფუძველზე, მოკლე დროში შექმნა და დაბეჭდა დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორიის სამი წიგნი, მიძღვნილი ჰენდელისა და ბახის (2002), მოცარტის (2003), გლუკისა და ჰაიდნის (2004) შემოქმედებისადმი. მონოგრაფია ბეთჰოვენზე ღირსეულად აგვირგვინებს სახელმძღვანელობის ამ ციკლს, რომელიც მე-18 საუკუნის მუსიკასა და ვენის კლასიკური სკოლის ისტორიას მოიცავს და მიჰყავს კურსი მე-19 საუკუნის მისადგომებამდე, უფრო სწორად, რომანტიზმამდე.

წიგნი ბეთჰოვენზე, ავტორის მრავალწლიანი მუშაობის ნაყოფია. მას ატყვია კიდეც გაწეული შრომის კვალი. ცხადია, რომ თითოეულ პარტიტურას, რომლის შესახებაც საუბარია ნაშრომში, ავტორის ხელში გაუვლია და შესაბამის ხმოვან ჩანაწერთან ერთად მისი საგულდაგულო შესწავლის საგანი გამხდარა. მაგრამ რუსუდან ქუთათელაძე არ ისწრაფვის თავისი კვლევის, ან ახალი, საკუთარი მიდგომების დემონსტრირებისაკენ, ისევე, როგორც არ გადმოგვცემს თანამედროვე „ბეთჰოვენიანაში“ გავრცელებულ საინტერესო, მაგრამ საკამათო დებულებებს. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც როგორც ივი წიგნის ბოლოსიტყვაობაში სამართლიანად აღნიშნავს, სახელმძღვანელო, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს იმ დამკვიდრებულ თეორიებს, შეფასებებსა და შეხედულებებს, დროის გამოცდას რომ გაუძლეს და რომელთა ჭეშმარიტებაც ეჭვს არ იწვევს. მხოლოდ ურყევი ბაზისური ცოდნის მიღების საფუძველზე შეიძლება მუსიკოსს გამოუმუშავდეს მისეული დამოკიდებულება და საკუთარი ინიციატივები.

წიგნის სტრუქტურას სასწავლო ლიტერატურის მოთხოვნები, ანუ სახელმძღვანელოს სპეციფიკა და პროგრამა განსაზღვრავს. მასში მასალა ჟანრების მიხედვითაა დალაგებული, რაც ხელს უწყობს მათი განვითარების დინამიკისა და კომპოზიტორის მიერ თითოეულ მათგანში შეტანილი წვლილის მთლიან აღქმას. ავტორის ყურადღების მიღმა ბეთჰოვენის შემოქმედების არც ერთი სფერო არ რჩება, მათ შორის, ნაკლებად მნიშვნელოვანიც, რის საფუძველზეც იძერწება კომპოზიტორის მონოლითური შემოქმედებითი ფიგურა. მაგრამ, თვით ჟანრების დაჯგუფების, მათი განხილვის თანმიმდევრობისა და მოცულობის საკითხებში, ავტორი არ იჩენს ბრმა მორჩილებას დამკვიდრებული სა-

ხელმძღვანელოებისადმი და თავის მიდგომებს გვთავაზობს, ახდენს ჟანრული აქცენტების გადაადგილებას, ხშირ შემთხვევაში მათი შინაარსის გაღრმავებასა და მოცულობის გაზრდას. მაგალითად, საფორტეპიანო შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონაკვეთში გაერთიანებულია სონატისა და კონცერტის ჟანრი. ამასთანავე, განხილული სონატების რაოდენობა სცილდება პროგრამით გათვალისწინებულ ჩარჩოებს და არსებითად, ყველა საეტაპო თხზულებას მოიცავს. იგივე შეიძლება ითქვას მონაკვეთზე სავიოლინო შემოქმედების შესახებ, რომელსაც, როგორც წესი, სახელმძღვანელოთა უმეტესობაში ორიოდე აბზაცი თუ ეთმობა, ისიც, განსხვავებული ჟანრების საერთო მიმოხილვის კონტექსტში. ქუთათელაძე აქაც, ისევე როგორც საფორტეპიანო მუსიკის შემთხვევაში, არამარტო მოგვითხრობს ბეთჰოვენის სტილის თავისებურებებისა და მისი ნოვატორული მხარეების შესახებ მოცემულ ჟანრში, არამედ იძლევა სავიოლინო კონცერტისა და სონატების დიდი ნაწილის დაწვრილებით ანალიზს.

აშკარად პრიორიტეტულია ქართულ მონოგრაფიაში სხვა წიგნებთან შედარებით, საკვარტეტო შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონაკვეთიც. ამაზე მასალის განლაგებაც მიგვითითებს, რომელიც უშუალოდ მოსდევს სიმფონიური შემოქმედების განხილვას. ეს დამაჯერებელი გადაწყვეტილებაა, რადგანაც განზოგადების მასშტაბებითა და ფილოსოფიური სიღრმით, არც ერთი სხვა ჟანრი ისე არ უახლოვდება სიმფონიურს, როგორც საკვარტეტო. ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორის ტექსტი იმგვარადაა მოწოდებული, რომ მკითხველს ბეთჰოვენის საკვარტეტო მუსიკის მნიშვნელობაზე მეტი დაფიქრებისა და სათანადო გააზრებისაკენ უბიძგებს.

სახელმძღვანელოს ჩვეულ სტანდარტებში არ ჯდება აგრეთვე თავები — ოპერა „ფიდელიოს“, საზეიმო მესისა და ვოკალური შემოქმედების შესახებ, რომელთა არამარტო მოცულობაა გაზრდილი, არამედ გაღრმავებულია შინაარსი და შეცვლილია განხილვის რაკურსები, რომ აღარაფერი ვთქვათ ბეთჰოვენის საორგანო შემოქმედებაზე, რომელიც არც ერთ სახელმძღვანელოში არ გამხდარა მსჯელობის საგანი. რუსუდან ქუთათელაძე კი, გვესაუბრება მასზე, როგორც შემაერთებელ რგოლზე ბაროკოსა და ადრინდელ რომანტიზმს შორის. ასეთი ცვლილებები მიმზიდველს ხდის წიგნს, როგორც სახელმძღვანელოს, ნებისმიერი განყოფილების სტუდენტისათვის და მასაც და პედაგოგსაც არჩევანის საშუალებას აძლევს ყურადღება, ამა თუ იმ, მათთვის საინტერესო ჟანრზე ან თხზულებაზე შეაჩერონ.

ყოველ ჟანრზე საუბრისას, ზოგად მახასიათებლებსა და ისტორიულ ღირებულებებთან ერთად, ავტორი იხილავს მათ ცალკეულ ნიმუშებს. ნაწარმოებების ოპუს–ი, შექმნის თარიღი, ნაწილების სახელწოდებები, ტემპები, ტონალობები, ფორმები, სკრუპულოზური სიზუსტითაა მითითებული, რაც სტუდენტს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. საანალიზო მასალა ისეა მოწოდებული, რომ მკითხველს ეხმარება მუსიკალური განვითარების პროცესის წარმოდგენაში. ამავდროულად, ანალიზი თავისუფალია დეტალებისა და თეორიული წვრილმანებისაგან, რაც ტექსტს უთუოდ დაამძიმებდა და ძნელად მისაწვდომს გახდიდა. თხრობა ლაღი და თავისუფალია, დენადი. პასაჟები სტრუქტურული თავისებურებების შესახებ ტექსტში ძალდაუტანებლადაა ჩართული. ყურადღება მახვილდება მხატვრულ იდეაზე, მუსიკალურ სახეებსა და მათი გამოხატვის ხერხებზე.

წიგნი იწყება შესავლით, რომელიც ვენის კლასიკური სკოლის შესახებ მოგვითხრობს, თუმც ბევრად სცილდება თემის ფარგლებს. ავტორი ვრცლად გვიამბობს ქალაქ ვენის ცხოვრებაზე, ჩვეულებებზე, ლანდშაფტზე, არქიტექტურაზე, ეთნიკურად მრავალრიცხოვან მოსახლეობაზე და მათი მუსიკის სინთეზზე დაფუძნებულ ვენურ ფოლკლორზე, განათლებისა და კულტურის კერებზე, თეატრებზე, მხატვრობაზე, ნიდერლანდურ და იტალიურ გავლენებზე, შინაური მუსიცირების ჩასახვაზე, აქ მოღვაწე კომპოზიტორებზე, მუსიკალური საზოგადოებების ჩამოყალიბება–საქმიანობაზე, სახელოვნებო კოლექტივებზე, საოპერო, საკრავიერ, საგუნდო და სასულიერო მუსიკაზე, სანოტო გამოცემებზე, ენციკლოპედისტებსა და მათ ესთეტიკაზე. ყოველივე ეს, დაწერილია ერთი სუნთქვით. თხრობის ტონი ცხოველმყოფელობით ხასიათდება და გატაცებით იკითხება. ავტორი ოსტატურად მიუძღვის მკითხველს ქალაქ ვენის ქუჩებში და დარბაზებში, საზოგადოებრივი ცხოვ-

რების ლაბირინთებში, გვაცნობს ვენელთა ცხოვრების წესებს, ხალისით, გართობით, მშვენიერებით ტკბობის დაუცხრომელი წყურვილითა და სიცოცხლის სიხარულით რომ ხასიათდება.

მოკლე წიაღსვლები ქალაქის ისტორიულ წარსულში, იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები, თხრობას აცოცხლებენ, დამაჯერებელ სიცხადეს ანიჭებენ. ავტორის თხრობით მონუსხულნი, ჩვენდაუნებურად თითქოს ვინაცვლებთ სამი საუკუნით უკან, გვესმის ქალაქის ხმაური, ჟივილ-ხივილი, მუსიკის ხმები, მჩქეფარე რიტმით აღვსილი ქალაქის მაჯისცემა, დუღილით რომ ავსებს მის ცხოვრებას.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ამ თავში, აგრეთვე, მანჰაიმის სკოლასაც, იქ მოღვაწე მუსიკოსთა დამსახურებას ინსტრუმენტული მუსიკის ევოლუციის პროცესში, რასაც ლოგიკურად ასრულებს ვენის კლასიკური სკოლის სონატურ-სიმფონიური ციკლის თავისებურებებზე, ორკესტრზე და ვენის სკოლის კომპოზიტორთა ღვაწლზე საუბარი.

ამ გაჯერებულ ინფორმაციას, რომელსაც ავტორი შესავალში გვაწვდის, ხატოვან კონკრეტულობას სძენენ ილუსტრაციები, რომლებიც უხვად არის წარმოდგენილი ტექსტში. რა სახის მასალას არ შეხვდებით აქ!: ქალაქის ხედები — ქუჩები და მოედნები; ცალკეული ნაგებობები — გოთური და ბაროკოს არქიტექტურის ნიმუშები; გრავიურები და ლითოგრაფიები ცნობილი თეატრების გამოსახულებებით; გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრები; ცნობილ ადამიანთა — მწერლების, კომპოზიტორების, შემსრულებლების პორტრეტები. დასურათების ასეთი პრინციპი მთელი წიგნის ბოლომდეა დაცული, სადაც წარმოდგენილია ბეთჰოვენის თითქმის ყველა ცნობილი პორტრეტი, მის წინაპართა, ბეთჰოვენამდე და მის დროს მოღვაწე გამოჩენილ ადამიანთა და იმ პიროვნებათა გამოსახულებანი, კომპოზიტორის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულეს. ყოველივე ეს, მოხდენილად არის ჩართული წიგნის ვერბალურ ტექსტში, რაც ამძაფრებს წაკითხულის შთაბეჭდილებას. მაგრამ ტექსტის დატვირთვას ილუსტრაციებით, სხვა, უფრო შორსმიმავალი მიზანიც გააჩნია — მას საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს! ავტორი ისწრაფვის სტუდენტის თვალსაწიერის გაფართოებისაკენ. თვალსაჩინოების მეთოდს იგი მიმართავს მასალის მისაწვდომობისა და განათლების გაღრმავების მიზნით.

ამავე ფუნქციას ასრულებს, ე.ი. კულტურტრეგერულ მისიას ემსახურება წიგნის გვერდების ბოლოებში განთავსებული მრავალრიცხოვანი შენიშვნები და განმარტებები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მკითხველს, მყისეულად გაიგოს ცალკეული სიტყვის, ტერმინის, ცნების მნიშვნელობა და ტექსტის სრულყოფილი აღქმისათვის არ დასჭირდეს ხანგრძლივი „მოგზაურობა“ განმარტებით ლექსიკონებში, ენციკლოპედიებსა და სხვა ამ ტიპის გამოცემებში.

წიგნის მრავალრიცხოვან ღირსებებს შორის უნდა აღინიშნოს ისტორიზმის პრინციპი. თხრობის პროცესში, ავტორი მუდმივად მიმართავს ისტორიულ თაღებს, ერთმანეთთან აკავშირებს ეპოქალურად განსხვავებულ მოვლენებს, სკოლებს, მხატვრულ მიმართულებებს, თვით ბეთჰოვენის ცხოვრების ეტაპებს, მის ნოვატორულ მიგნებებს ცალკეულ ჟანრში და ჟანრთშორის კავშირებს; მოკლედ, კომპოზიტორის შემოქმედებას წარმოაჩენს წარსულისა და მომავლის მუსიკალური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების ასპექტში.

წიგნს ამშვენებს და ხიბლს მატებს ავტორის მიერ მოხმობილი დიდი რაოდენობის ციტატები, გამოჩენილი კომპოზიტორების, მწერლების, დირიჟორების, მკვლევარების გამონათქვამები. ისინი დიდ როლს ასრულებენ მკითხველის ცნობიერებაში ბეთჰოვენის სახის გამოძერწვაში და სახელმძღვანელოს მონოგრაფიული ჟანრის ნიშნებით ამდიდრებენ. ეს ჩანართები სიხასხასეს სძენენ და აცოცხლებენ თხრობას, ქრონოლოგიური თანმიმდევრულობის ელფერს აძლევენ ჟანრებად წარმოდგენილ მასალას. ციტატებს წონას მატებს მათი ავტორები ვინაობაც — შუმანი, ბერლიოზი, ვაგნერი, როლანი და სხვები... მათი, და წიგნში მოხსენიებული ყველა პირის შესახებ ცნობები სახელთა საძიებელშია მოთავსებული.

სახელთა საძიებლის დართვა სახელმძღვანელოსათვის, კვლავ მიუთითებს მისი საზღვრების გაფართოებაზე მონოგრაფიისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ისევე, როგორც ილუსტრაციების შემთხვევაში, ეს აიხსნება ავტორის განმანათლებლური მისწრაფებებით,

სურვილით, მკითხველმა გაიაზროს, თუ რა პერსონებზეა საუბარი.

წიგნის უდიდეს ღირსებად მიმაჩნია ბეთჰოვენის შემოქმედების დაკავშირება ქართულ მუსიკალურ ცხოვრებასთან. ყოველ თხზულებაზე საუბარს ავტორი ასრულებს ცნობებით მათი გამორჩეული შემსრულებლების შესახებ, და აქვე გვითითებს, თუ როდის და ვის მიერ მოხდა მათი პირველი აჟღერება საქართველოში. ამ მოკლე ცნობების მოპოვება, ზოგჯერ ორიოდ წინადადებაში რომ თავსდება, ავტორისაგან დიდ ძალისხმევს მოითხოვს, რადგანაც ქართულ მუსიკალურ სივრცეში აშკარაა მსგავსი საცნობარო ლიტერატურის დეფიციტი და ავტორი მას მზაშზარეულად ვერ მიიღებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენ დაკარგულ დროსთან, საარქივო მასალების დამღლელ „ქექვასთან“ არის დაკავშირებული რუსუდან ქუთათელაძის ეს „გმირობა“. ამ ფაქტების სახელმძღვანელოში დაფიქსირებით, იგი პატივსაც მიაგებს ბეთჰოვენის მუსიკის პირველ ქართველ შემსრულებლებს, მათ სახელებსაც ნერგავს ახალგაზრდების ცნობიერებაში და საქართველოს ჩართულობასაც გვიჩვენებს მსოფლიოში მიმდინარე მუსიკალურ პროცესებში.

და ბოლოს, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს სახელმძღვანელოს ენა — გამართული, დახვეწილი და მდიდარი ქართული, ნაცვლად რუსულიდან თარგმნილი სასწავლო წიგნების კალკირებული ენისა. ავტორის მიერ ქართული ენის საგანძურში ნაპოვნი სიტყვები, რომლებიც ორგანულადაა „ჩასმული“ სამუსიკისმცოდნეო ლექსიკაში, სტუდენტს აზრის მშობლიურ ენაზე ჩამოყალიბების მისაბაძ მაგალითს აძლევს და პროფესიის დაუფლებასთან ერთად, საკუთარი ენის ცოდნასაც უღრმავებს.

უნდა ითქვას, რომ წიგნი დიდხანს ელოდა დღის სინათლეს. ქართველი საქმიანი წრეებისადმი მიმართული არაერთი თხოვნა ამ საკითხზე, სამწუხაროდ, უპასუხოდ და თანაგრძნობის გარეშე რჩებოდა. რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მისი გამოცემა საქართველოს უცხოელი მეგობრების ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა. ესენი არიან: **როზვიტა და მაქსიმილიან ედერები, არტურ გრაუბერგერი, დაგმარ და გიუნტერ ბაუერები, კორნელია და ულრიხ რაიხერმაიერები, მიხაელა და მაქს ვებერები**. ეს ადამიანები უდაოდ იმსახურებენ ქართველი საზოგადოების ღრმა მადლიერებას. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა ქართველი ავტორის მიერ ქართულ ენაზე შექმნილი პირველი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელო წიგნის გამოცემა ბეთჰოვენზე, რითაც ეროვნულ მუსიკალურ ბიბლიოთეკას შეემატა ღირსეული ნაშრომი, რომელიც ახალგაზრდობას არამარტო საფუძვლიან ცოდნას მისცემს ამ გენიალურ კომპოზიტორზე, არამედ გაუღრმავებს თვალსაწიერს ევროპული მუსიკის ისტორიის მთელ რიგ საკითხებზე, რაც ბეთჰოვენის შემოქმედების კონტექსტში სხვადასხვა სტილის, მიმართულების, სკოლის, მუსიკალური ფორმების, მსოფლიოს გამოჩენილ ხელოვანთა და ცნობილ შემსრულებელთა შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას გულისხმობს. და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ყოველი ადამიანი, რომელიც ამ წიგნით შევა ბეთჰოვენის შემოქმედების სამყაროში, ამავდროულად გააცნობიერებს მშობლიური ენის სიმდიდრეს და ისწავლის მუსიკის შესახებ მადლიანი ქართულით საუბარს.

ლალი კაკულია



ცნობილი ქართველი მუსიკოლოგის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ჟურნალისტისა და პედაგოგის ნანა ქავთარაძის წიგნი, რომელიც ახლახან დაისტამბა (რედაქტორი მანანა ახმეტელი, დიზაინერი ბესიკ დანელია) „საქართველოს მუსიკალური საზოგადოების“ ძალისხმევით, უკვე გაიცნო და სათანადოდ შეაფასა ქართველმა მკითხველმა.

წიგნის ავტორის აღიარებით, იგი „მიძღვნილია იმ ადამიანებისადმი, რომელთა ცხოვრება შემოქმედების უძლეველ დიდ წამებზეა განფენილი“. მასში გალაკტიონის შთაგონებული სიტყვებითაა „ერთ კონად შეკრული“ ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ ერთი ნაწილი — მუსიკოლოგიური ნარკვევების, ესსეების, პორტრეტული ჩანახატების, რეცენზიების, საინტერესოდ წარმართული შემოქმედებითი დიალოგების სახით, რომელთა უმრავლესობა უკვე იყო სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოცემებსა თუ პრესაში. მთელი ეს ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი მასალა მოიცავს ფართოდ, კონცეპტუალურად მოაზროვნე მეცნიერ-ხელოვანის ღრმად პროფესიულ წიაღსვლებს არა მარტო ქართული მუსიკის, არამედ ლიტერატურის, კინოს, თეატრის სფეროში. ზოგად, და უფრო კერძო, ინდივიდუალურ მოვლენებთან, ეროვნული ცნოებიერების, ზოგადკაცობრიულ, მარადიულ ფასეულობათა, ეპოქის სტილის, შემოქმედებით პროცესებთან კავშირში და თვით ხელოვნების სხვადასხვა დარგების, მათ შორის მუსიკისა და პოეზიის ურთიერთმიმართებაში, რაშიაც წიგნის ავტორი მაღალ პროფესიულ კომპეტენციას და მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხედვის უნარს ავლენს. ყოველივე ეს განაპირობებს ნ. ქავთარაძის წიგნის, უწინარეს ყოვლისა, წმინდა შემეცნებით მნიშვნელობას. მაგრამ ამ წიგნის ღირსებას კიდევ უფრო აძლიერებს მასში მეცნიერულ-რაციონალურისა და მხატვრულ-შემოქმედებითის ჰარმონიული ერთიანობა. და ეს არცაა შემთხვევითი, რადგან ავტორი თავადაა დაჯილდოებული ლიტერატურული ნიჭით, მხატვრული, პოეტური წარმოსახვის, ფორმის განსაკუთრებული შეგრძნების უნარით. განსაკუთრებით გამოვარჩევ ამ თვალსაზრისით ემოციურად ამაღლებულ, თავისებურ პროზაულ ოდას წიგნის პროლოგში — „ეს ჩემი ქვეყანაა — საქართველო“, ხოლო წიგნის „ლირიკულ ეპილოგში“, ნარკვევებს — „მუსიკალური პანთეონი“, „წინაპართა ხსოვნას“ და „ბიოგრაფიულ ჩანახატებს“.

ნ.ქავთარაძე ზედმიწევნით ფლობს კალამს, წერს ემოციურად, ხატოვნად, მაღალი, დახვეწილი ლიტერატურული სტილით. ამიტომ მისი წიგნი არა მარტო ინტერესით იკითხება, არამედ ესთეტიკურ სიამოვნებასაც განიჭებს და ამით ბოლომდე ამართლებს წიგნის სათაურად გამოტანილ გალაკტიონის რომანტიკული მგზნებარებით დამუხტულ სიტყვებს — „ო, უძლეველო დიდო წამო შემოქმედებ

დოდო გოგუა

P.S.რედაქციისაგან: ქ-ნ ნანა ქავთარაძეს 2013 წელს წიგნში „ო, უძლეველო დიდო წამო შემოქმედების“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ჟურნალის რედაქცია და მთელი მუსიკალური საზოგადოება გულითადად ულოცავს ცნობილ მუსიკისმცოდნეს ამ საპატიო ჯილდოს.

უინტონ მარსალისი

15 წელი ვამზადებდი ამ სახელწოდებით გადაცემას რადიო 2-ში, ქართული რადიოს მსმენელებისთვის და ახლა, საქართველოში ერთადერთ პროფესიულ მუსიკალურ ჟურნალში მსურს მოვიპატიჟო რადიომსმენელი, ანუ ახლა უკვე მკითხველი და შევთავაზო იმპროვიზაციის უკიდეგანი სამყარო, თავისუფლების მაღალი ხარისხი, ე. ი. ჯაზი, რომლის განსაზღვრება დიდი მუსიკოსების განმარტებით ფუჭი საქმეა.

კონტრრევოლუციონერი

ჯაზის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, ისევე როგორც ზოგადად, ხელოვნების ევოლუციის გზაზე მუდამ ჩნდებიან პერსონები, რომელთა მისიაა რევოლუციური ძვრები, სიახლის დამკვიდრება და თანამოაზრეთა მთელი არმიის შეიარაღება, უკვე არსებულის წინააღმდეგ. „დიადი მიზნის“ მისაღწევად ყველა ხერხი მისაღებია, თვით მსხვერპლშეწირვის ჩათვლით და სწორედ ამ თავბრუდამხვევ ორომტრიალში, ხშირ შემთხვევაში, დაუმსახურებლად იკარგება ჭეშმარიტი, ჯანსაღი და საფუძვლიანი რამ, რაც საყრდენს ქმნის მომავალი განვითარებისთვის. მხოლოდ ძალზე თვითდაჯერებულს, ტრადიციების ღრმად მცოდნეს ძალუძს წინ აღუდგეს რევოლუციურ ქარიშხალს, დინების საწინააღმდეგოდ გამოცუროს და სხვაც დააჯეროს არჩევანის სისწორეში.

მე, უინტონ მარსალისზე ვსაუბრობ – ჩვენი დროის „გამოუსწორებელ კონტრრევოლუციონერზე“, რომელმაც საკუთარი რენომეს სავარაუდო შელახვის ხარჯზე არათუ შეძლო ტალღის შეჩერება, პირიქით, სათავეში ჩაუდგა „Repertory Jazz Movement“-ის (სარეპერტუარო ჯაზში იგულისხმებოდა ჯაზური კლასიკური ნიმუშების ძველი არანჟირებების რესტავრაცია შესრულების მიზნით) მომხრეებს.

XXს-ის 80-90წწ. კვლავ დადგა ბიგ-ბენდების აღორძინების ხანა და 5 ათეული წლის შემდეგ თითქოს გაცოცხლდა სვინგის პერიოდის ლეგენდარული

მარსალისების ოჯახი

კოლექტივები – ბენი გუდმენის, გლენ მილერის, ჩარლი მინგუსის.... ამ ახალი კოლექტივების მნიშვნელობა გაუტოლდა ფილარმონიულ ორკესტრებს. გამოიცემოდა აბონემენტები თემატურ საკონცერტო პროგრამებზე და ამ შეთავაზებას ენთუზიაზმით პასუხობდა ღირსეული თეთრკანიანი საზოგადოება. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ განაპირობა ახალი საზოგადოებრივი აზრის – წინ ღირსეული წარსულისკენ – ფორმირება.

1991 წელს, ნიუ-იორკში, მართლაც პრესტიჟულ ლინკოლნ-ცენტრში, მაღალი ხელოვნების ტაძარში, სადაც მხოლოდ სერიოზული, აკადემიური მუსიკა ჟღერდა ხოლმე, დაფუძნდა ჯაზის განყოფილება, წელიწადში, 2 მილიონი დოლარის მქონე ბიუჯეტით და ლინკოლნ-ცენტრის საჩვენებელი ჯაზ-ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა უინტონ მარსალისი. ისტორიაში პირველად, საზოგადოებრივი ინსტიტუტის სათავეში მოექცა შავკანიანი ჯაზის მუსიკოსი, რომლის მიზანი ჯაზის მიმართ საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ინტერესის და მოწიწებული დამოკიდებულების გაღვივება იყო.

ოჯახი

მარსალისების ჯაზური ოჯახური კლანის შესახებ დიდი ხანია საუბრობენ მშობლიური ნიუ ორლეანის საზღვრებს გარეთაც და ხშირად უწოდებენ „პირველ ოჯახს”, რადგან მამა – ელისი – პიანისტი და მასწავლებელია, 6 ვაჟიშვილიდან ბრენფორდი საქსოფონისტია, დელფეო – ტრომბონისტი და ჩამწერი სტუდიების პროდიუსერი, ჯეისონი – დრამერი.

მიუხედავად იმისა, რომ უინტონი არასდროს დაოჯახებულა 3 ვაჟიშვილი ჰყავს, 2 კანდას სტენლისგან და 1 ვაჟი ცნობილი მოცეკვავისა და მსახიობის ვიქტორია როულისგან. ვაჟიშვილები გატაცებულნი არიან მუსიკით და ცდილობენ სხვადასხვა საკრავის დაუფლებას. „არ ვიცი გახდებიან თუ არა ისინი მუსიკოსები.

მე არ ვცდილობ მათზე ზეწოლას. და კიდევ, არასდროს ვსაუბრობ მათთან იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებ” — უინტონ მარსალისი.

ხელწერა ბიოგრაფიული შტრიხების ფონზე

უინტონის უდიდესი წარმატების მიზეზი ნიჭიერებასთან ერთად მუსიკოსის პროფესიონალიზმია, რომელიც გამყარებულია საფუძვლიანი განათლებით, რაც არცთუ ხშირია ჯაზურ სამყაროში. კლასიკურ საყვირს სწავლობდა პოპულარულ სასწავლებელში — “New Orleans Center for Creative Arts” (ნიუ ორლეანის კრეატიული ხელოვნების ცენტრი), ხოლო შემდეგ “ Julliard School”-ში (ჯულიარდის სკოლა) და უკვე 14 წლის ასაკში ნიუ ორლეანის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ასრულებს ჰაიდნის კონცერტს. ამავე პერიოდში მისი მოსმენა შეიძლება ფანკ-ჯაზურ შემადგენლობებში, გატაცებულია მაილს დევისის, ლუი არმსტრონგის, „ფეტს” ნავაროს, კლიფორდ ბრაუნის და ფრედ ჰაბარდის შემოქმედებით.

თავდაპირველად ცნობილ ბენდში “Messengers” და პარალელურად ბრუკლინის ფილარმონიაში მუშაობს. მალე მაილს დევისის მეგობრების — ჰერბი ჰენკოკის, რონ კარტერის და ტონი უილიამსის კვარტეტის წევრი ხდება და ბი-ბოპის პერიოდში ძალებს იკრებს.

მისი სტილი ბრწყინვალებით და სრულფასოვნებით ხასიათდება. მოქნილი, ნათელი და თბილი ბგერა შემოქმედების დასაწყისში მომავალშიც მახასიათებელ ჟღერადობად რჩება როგორც კლასიკურ კონცერტებში, ასევე მის მიერ დამკვიდრებულ ნელ, უცნაური სევდით სავსე „მედიტაციურ“ კომპოზიციებში. კლასიკური მუსიკის ესთეტიკა საოცარი ორგანულობით შეერწყა ჯაზის თავისუფლებას და შეიქმნა მარსალისის, კომპოზიტორის, იმპროვიზატორის და არანჟირების ოსტატის განუმეორებელი ხელწერა.

JLCO — ანუ ლინკოლნ-ცენტრის ჯაზ-ორკესტრი

არ იქნება გადაჭარბებული ითქვას, რომ ეს კოლექტივი, არა მარტო ამერიკაში, ზოგადად ჯაზის სამყაროში ქმნის გემოვნების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ თამასას.

სტუმრად თეთრ სახლში

ბენდის ნებისმიერი გამოსვლა მოვლენაა და განხილვის საგანი. კრიტიკა „ჩასაფრებულია” და ხშირად მეტრის ამბიციურ პროექტებს გამანადგურებელი სტატიებით პასუხობს. არც კოლეგები იშურებენ „შეფასებებს” **JLCO**-ს ხელმძღვანელის მიმართ და „ქარავანი მაინც მიდის...”

ჩამოყალიბების პროცესი კი ხმაურიანი სკანდალებით მიმდინარეობდა. ხელმძღვანელმა ჯერ 30 წელს გადაცილებული უკლებლივ ყველა ორკესტრანტი დაითხოვა, რა თქმა უნდა, თვით უინტონის გარდა. დათხოვნა შეეხო ყველა თეთრკანიანსაც. რასიზმში ბრალდებულს დაუმატეს კლანურობისა და პროტექციონიზმში მხილება, რადგან პირველივე ნაწარმოები, შესრულებული ორკესტრის მიერ, თვით უინტონისა აღმოჩნდა. „მან საკუთარ თავს დაუკვეთა ნაწარმოები, როგორც თანამედროვეობის უდიდეს კომპოზიტორს და ამ თხზულებისთვის დიდი ჰონორარიც გამოიწერა”.

მორიგი შეკვეთებისთვის ის დაახლოებულ ახალგაზრდა კომპოზიტორებს იწვევს. მარსალისის აზრით „მხოლოდ მათ აქვთ უფლება ატარონ „ნამდვილი ჯაზმენის” სახელი და გაუფრთხილდნენ და შემოქმედებითად განავითარონ კლასიკური მემკვიდრეობა”.

მასტერკლასი

,,ადამიანებს კარგი ტექნიკის საფუძვლად სისწრაფე მიაჩნიათ... მაგრამ მთავარი ეს არ არის: ტექნიკის ყველაზე მთავარი ასპექტია გრძნობა, აი, გასაღები ნებისმიერი მუსიკის აღსაქმელად... იმისათვის, რათა „ჩავავლოთ“, რომ ის არის გაგრძელება რაღაც ახლის, კარგად უნდა გავიგოთ, საერთოდ რაზეა საუბარი. და თუ ამას ვერ მოახერხებთ, მაშინ, თქვენ ვერ გაიგებთ პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც, შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის...”.

,,მოდერნისტებს არ აქვთ უფლება თავის ნაგავს ჯაზი უწოდონ. და ამას ორი მიზეზი აქვს, პირველი – ავანგარდისტები ელემენტარულად უვიცები არიან და არ გაუვლიათ მკაცრი სკოლა და ვერ ფლობენ საკრავს, მეორე – მათ პროდუქციას სტილისტურად არაფერი აქვს საერთო ჯაზთან...”.

,,ჯაზმენი უნდა გამოიყურებოდეს ელეგანტურად, მდიდრულად და სუფთად... კოსტუმი ჯაზმენების ტრადიციული სამოსია. ჯაზმენი საზოგადოების სამსახურშია და ამიტომ უნდა გამოხატავდეს პატივისცემას მაყურებლებისადმი... “.

ესაა ამონარიდები მასტერკლასზე ნათქვამიდან.

მხოლოდ შედეგს აღვნიშნავ, – უინტონ მარსალისის მასტერკლასებმა რადიკალურად შემოაბრუნა ახალგაზრდობა ჯაზისკენ და ერთიორად გაზართა აუდიტორია.

კვარცხლბეკი

უინტონი დაჯილდოებულია 9 გრემით, როგორც მესაყვირე და როგორც კომპოზიტორი, მიღებული აქვს სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით საგულისხმო ჯილდო, მისი ორატორია – “Blood on the fields” („სისხლიანი ველები”) აღინიშნა ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟული და მაღალი პულიტცერის პრემიით (Pulitzer Prize). გამოცემულია 80-მდე ალბომი, როგორც მიწვეულ ჯაზმენს მონაწილეობა აქვს მიღებული 20-მდე ალბომში.

1996 წელს ლინკოლნ-ცენტრში შეიქმნა ქვესტრუქ-

ტურა — Jazz at Lincoln Center — მარსალისის ხელმძღვანელობით. 2004 წელს მან გახსნა "Frederick P. Rose Hall"-ი, — ჯაზის სამყაროში პირველი დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებელი ქვესტრუქტურებისგან შედგება: სპეციალურად ჯაზისთვის შექმნილი საკონცერტო დარბაზი, ხმის ჩამწერი და სატელევიზიო სტუდია, სარეპეტიციო და სასწავლო-საგანმანათლებლო განყოფილებები.
ესპანეთში, ვიტორია-გასტეიზში დგას უინტონისადმი მიძღვნილი ქანდაკება.

განსაკუთრებულად აღინიშნა მისი წიგნები და სახელმძღვანელოები:
"Sweet Swing Blues on the Road", "Jazz in the Bittersweet Blues of Life", "To a Young Musician: Letters from the Road", "Jazz ABZ" (ან "A to Z collection of poems celebrating jazz greats)" და უინტონის ყველაზე ცნობილი და წარმატების მომტანი წიგნი: "Moving to Higher Ground: How Jazz Can Change Your Life".

P. S.
"ხე ხომ ფესვებიდან იწყება ..."

უინტონ მარსალისი, გამოჩენილი ჯაზმენი, ძლიერი კლასიკური ინსტრუმენტალისტი, მესაყვირე, კომპოზიტორი, მუსიკის პედაგოგი, „ჯაზ-ლინკოლნ-ცენტრის" ხელმძღვანელი და ამავე ცენტრის ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
ბოლოსიტყვა

უინტონ მარსალისის შემოქმედება, მისი მოღვაწეობა ჯაზის მოყვარულთა მუდმივი ინტერესის საგანია. მათ შორის ჩემიც, ამიტომ ეს „პორტრეტი" მხოლოდ ნაწილობრივ შეგიქმნით წარმოდგენას დიდ მუსიკოსზე. ეძიეთ თავად და აუცილებლად აღმოაჩენთ საკუთარ უინტონ მარსალისს...

მანანა ხვედელიძე

სტარტი აიღო კონკურსმა „ახალგაზრდა მუსიკოსი", რომელსაც სპონსორობას უწევს ბი-ბი-სი. კონკურსი 1978 წლიდან მოყოლებული, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. აქედან იღებს სათავეს ისეთი მუსიკოსების კარიერა, როგორებიც არიან ტომას ედესი, ელისონ ბოლსომი, ფრედი კემპი. ჟიურის თავმჯდომარე იქნება წარსულში ამავე კონკურსის გამარჯვებული მევიოლინე ქ-ნი ნიკოლა ბენედეტი.

კონკურსი, ჩვეულებისამებრ, ჩატარდება კლასიკური მუსიკის 5 კატეგორიაში — ლითონის სასულე ინსტრუმენტები, კლავიშიანი, პერკუსიული, სიმებიანი და ხის ჩასაბერი ინსტრუმენტები. ამ კატეგორიებში გამარჯვებულები ნახევარფინალში იბრძოლებენ ფინალური სამი ადგილისათვის.

კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 18 მაისს აშერ-ჰოლში, ედინბურგში. მუსიკოსებს აკომპანემენტს გაუწევს ბი-ბი-სის შოტლანდიური სიმფონიური ორკესტრი კირილ კარაბიცის ხელმძღვანელობით.

პარალელურად გაიმართება კონკურსი „ ჯაზის ახალგაზრდა მუსიკოსი". კონკურსის ფინალი შედგება 2014 წლის 8 მარტს.

ლონდონის ოტელში «Dorchesტერ» შედგა დიდი ბრიტანეთის სამეფო ფილარმონიული საზოგადოების პრემიებით ყოველწლიური დაჯილდოება, რომელიც მიჰყავდა ჯანეტ ბეიკერს.

პრემია საოპერო/მუსიკალური თეატრის სფეროში მიენიჭა შტოკჰაუზენის 6 საათიანი ოპერის „გარემოს" დადგმას, რომელიც განახორციელა ბირმინგემის საოპერო თეატრმა. დირიჟორებიდან პრემია მიენიჭა ბორტმუნდის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელს კირილ კარაბიცს, ვოკალში — მეცო-სოპრანო სარა კონოლისს, ინსტრუმენტალისტებიდან — პიანისტ სტივენ ოსბორნს.

ანსამბლების კატეგორიაში — ორკესტრს «Britten Sinfonia», კატეგორიაში „ახალგაზრდა არტისტები" — კვარტეტს «Heath Quartet».

კომპოზიტორ ჯერალდ ბერის მიენიჭა პრემია ოპერისათვის „რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული", ხოლო კამერულ ჟანრში პრემია გადაეცა კომპოზიტორ რებეკა სონდერსს ნაწარმოებისათვის «Fletch», რომელიც გასული წლის ნოემბერში, ვიგმორ-ჰოლში პირველად შეასრულა კვარტეტმა «Arditti Quartet»..

23, 24, და 25 მაისს ბ.პოკროვსკის სახელობის კამერულ მუსიკალურ თეატრში გაიმართა იტალიელი კომპოზიტორის პიერანჯელო ვალტინონის ოპერა „პინოქიოს" საპრემიერო დადგმები.

ეს მუსიკალური ზღაპარი არ ჰგავს ჩვენთვის ნაცნობ ბურატინოს ისტორიას. ნაცნობი პერსონაჟების გარდა აქ ჩნდება უზარმაზარი ჯადოსნური სამყარო — ცხოველებისა და ფრინველების, თოჯინებისა და ფერიების — რომლებიც პინოქიოს გარშემო არიან.

პიერანჯელო ვალტინონი (1959) -იტალიელი კომპოზიტორი, დირიჟორი და ორგანისტია. მუსიკა ბავშვებისათვის მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში ყველასათვის საყვარელი ზღაპრების მიხედვით დაწერილმა ოპერებმა: „პინოქიო", „ზამთრის დედოფალი" და „ბიჭუნა ვიოლინოთი", რომლებიც დიდი წარმატებით იდგმება ევროპის სხვადასხვა ქალაქებში.

ოპერა „პინოქიო" დაიწერა 2001 წელს ვიჩენცეს (იტალია) Teatro Olimpico-ს შეკვეთით, სადაც შესრულდა კიდეც ავტორის ხელმძღვანელობით. 2006 წელს, ბერლინის Komische Oper თეატრის დაკვეთით კომპოზიტორმა შექმნა ახალი ვერსია. სწორედ ამ რედაქციით მოიპოვა ოპერამ წარმატება ევროპაში.

„ოქროს ნიღბის" პრემიის ნომინანტმა, ახალგაზრდა რეჟისორმა ეკატერინა ვასილევამ და მხატვარმა ალექსანდრ არეფიევმა შექმნეს ელვარე, დინამიკური სპექტაკლი.

23 წლის ახალგაზრდა ბრიტანელ დირიჟორს ბენ გერნონს მიენიჭა ზალცბურგის ფესტივალის პრემია "Young Conductors Award". პრემია ფულადი ჯილდოს გარდა დირიჟორს აძლევს შესაძლებლობას ფესტივალის ფარგლებში უდირიჟოროს გუსტავ მალერის ახალგაზრდულ ორკესტრს. კონკურსის ფინალში ბრიტანელმა დირიჟორმა პიანისტ სოფი პაჩინისთან ერთად შეასრულა მოცარტის, ბეთჰოვენის და პიტერ მაქსველ დევისის ნაწარმოებები.

კონკურსის ფინალისტები გახდნენ აგრეთვე ჩინელი იუ ლიუ და ესპანელი ანტონიო მენდესი. სულ კონ-

კურსში 82 განაცხადი იყო, შერჩევის შემდეგ კი კონკურსში მონაწილეობის უფლება 16 დირიჟორმა მიიღო.

ამ კონკურსში გამარჯვება ნებისმიერ დამწყებ დირიჟორს დიდ შესაძლებლობებს ანიჭებს — უქმნის მათ სათანადო პლატფორმას მომავალი წარმატებისა და პოპულარობისათვის.

ბოსტონის სიმფონიურმა ორკესტრმა გამოაცხადა 2013-2014წწ. პროგრამა. ამ სეზონში ორკესტრს უდირიჟორებს ლორინ მააზელი, ანდრის ნელსონსი, რობერტ სპანო, შტეფან დენევი, დანიელ გარდინგი, ენდრიუ დევისი და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ვერ იქნება ორკესტრის პოტენციური მუსიკალური დირექტორი.

მიმდინარე სეზონში ორკესტრი გეგმავს ტურნეებს იაპონიასა და ჩინეთში.

ლორინ მააზელი შეასრულებს ბრიტენის "სამხედრო რეკვიემს", ბეთჰოვენის 5 საფორტეპიანო კონცერტს (სოლისტი ეფიმ ბრომფმანი), და წარმოადგენს საკონცერტო შესრულებით რ. შტრაუსის ოპერას „სალომე" .

ევროპის უმეტეს ქვეყნებში ფუნქციონირებს ერთი, ზოგ ქვეყანაში კი რამდენიმე ახალგაზრდული ორკესტრი. აშშ-ში კი აქამდე არ ყოფილა ახალგაზრდული ორკესტრი.

ნიუ-იორკის კარნეგი ჰოლმა გამოიჩინა ინიციატივა შეექმნა ნაციონალური ახალგაზრდული ორკესტრი. მასში შევიდა სხვადასხვა შტატში მოღვაწე 120 მუსიკოსი 16-დან 19 წლამდე. 30 ივნისიდან ისინი დაიწყებენ რეპეტიციებს ნიუ-იორკის შტატის Purchase College-ში, ხოლო შემდეგ გამართავენ კონცერტებს ვალერი გერგიევის ხელმძღვანელობით.

პირველი კონცერტი გაიმართება ვაშინგტონში, კენედის ცენტრში, შემდეგ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და ბოლოს ლონდონში.

ლონდონში ჩატარდა საერთაშორისო საოპერო პრემიების — «International Opera Awards» — პირველი დაჯილდოება. წლის რეჟისორად და საუკეთესო ახალი საოპერო დადგმის ავტორად დასახელდა რუსი რეჟისორი დიმიტრი ჩერნიაკოვი. იგი დაჯილდოვდა ნ.რიმსკი-კორსაკოვის ოპერის „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟსა და ქალწულ თებრონიაზე" დადგმისათვის. სპექტაკლის პრემიერა შედგა ერთი წლის წინ ნიდერლანდებში, ამსტერდამის მუსიკალური თეატრის სცენაზე.

წლის დირიჟორად დასახელდა კოვენტ-გარდენის სამეფო თეატრის მუსიკალური დირექტორი ანტონიო პაპანო. ნომინაციაში „საუკეთესო მომღერალი" გაიმარჯვა გერმანელმა დრამატულმა ტენორმა იონას კაუფმანმა, იგი ასევე გახდა ონლაინ-გამოკითხვის Opera Magda azine-ის გამარჯვებული. ქალთა ნომინაციებში გაიმარჯვა შვედმა მომღერალმა ნინა შტემემ (ლირიკულ-დრამატული სოპრანო).

ნომინაციაში ,,მსოფლიო პრემიერა" გაიმარჯვა ბრიტანელი კომპოზიტორის ჯორჯ ბენჯამენის ოპერამ ,,დაწერილია ტყავზე", რომელიც მან შექმნა ფესტივალისათვის Festival d'Art Lyrique.

საუკეთესო ჩანაწერებად აღიარეს «Decca»-ს ფირმის მიერ გამოცემული ჰენდელის ოპერა ,,ალესანდრო" და გერმანელი ბარიტონის კრისტიან გერხაიერის მიერ შესრულებული რომანტიკული არიების CD (Sony).

«International Opera Awards»-ის პრემიები — რომლის დამფუძნებელთა შორისაა ჟურნალ "Opera Magazine"-ის მთავარი რედაქტორი ჯონ ელისონი, რადიო-არხი Classic FM და უდიდესი საოპერო მომღერალი პლასიდო დომინგო — გაიცემა 22 ნომინაციაში და იგი მიიჩნევა ,,ოსკარის" საოპერო ანალოგად. .

20 აპრილს, მოსკოვში, ჰელიკონ-პერის სცენაზე აღინიშნა ქართველი მუსიკოსის, პიანისტის, კონცერტმაისტერის და პედაგოგის, საქართველოს სახალხო არტისტის, რუსეთის დამსახურებული არტისტის, პროფესორის ვაჟა ჩაჩავას 80 წლის იუბილე. ხსოვნის საღამოზე აჟღერდა პ.ჩაიკოვსკის, ფ.პულენკის, ს.რახმანინოვის, ნ. მეტნერის, გ. სვირიდოვის ვოკალური ნაწარმოებები. ვოკალისტებს აკომპანირებას უწევდნენ ვაჟა ჩაჩავას მოწაფეები, ამჟამად უკვე გელიკონ-ოპერის კონცერტმაისტერები: ლენა სასულნიკოვა, მიხაილ ეგიაზარიანი, სერგეი ჩეჩეტკო.

Festival

Gulbat Toradze

April: A Month Wealthy and Pregnant of Music

April has traditionally been a month fertile and diverse with musical impressions. This year, however, has hit fresh highs: starting from 2nd April and through the entire month, concert halls throughout our city daily played host to various musical events.

The author picks out three impressive marathon cycles: Tbilisi Festival of Choir Music, «Tbilisi Concertino» Festival Anniversary and traditional (5th) series of Mikeladze Musical Center – Counterpoint. The article describes values and peculiarities of all the three events.

Names That Made an Epoch

Farewell - Ioseb Kechakmadze

The Letters (authors: editorial board of the Music Magazine; composers Ioseb Bardanashvili, Rusudan Khorava; conductor Revaz Takidze; choirmasters Zaira Vadachkoria, Gela Vadachkoria; musical experts: Rusudan Kutateladze, Mzia Japaridze; theatrical expert Vaja Dzigua) serve to say farewell to a renowned Georgian composer, grandmaster of choir music, and just an exceptional individual – Ioseb Kechakmadze.



The article emphasizes the composer's invaluable contribution to the creative life of Georgian Composers' Union.

Education

Tea Kipiani

Camerton's German Accomplishments

German social organization Eurocon EV aims at development of teenage musical education, cultural cooperation and support of youth exchange programs. In 2011 Georgia became another country that joined the organization's scope of activities. In the project our country is represented and led by pianist Kira Lelashvili.

Six participants for Camerton 2013 tour were selected. These are Salome Jordania (piano), Giorgi Oikashvili (clarinet), Inal Jioev (hoboe) from E. Mikeladze Central Musical School; Irma Gigani (piano) and Nodar Mdivani (clarinet) from the Musical Seminary at V. Sarajishvili State Conservatory; Sendi Vartanov (violin)

of the Youth Talents' School. They have had 7 successful concerts in various German cities. There has even been an incident when Giorgi Oikashvili's instrument turned out to be out of order due to its old age. The musician made a big effort to perform in front of the audience without any technical defects. The audience included two people – Rose and Hans-George Englischs, who heard about the incident and they did not tarry with charity. Mrs. Englisch was fascinated by Giorgi's performance and helped him in buying a new clarinet. Giorgi has returned to Georgia equipped with a brand new French Buffet Crampon. Such generosity is really noteworthy.

The article also includes an interview with the musical manager of the project, piano player Kira Lelashvili.

Concerts
Gulbat Toradze
New Impressions

The article describes a concert given by an instrumental trio of the Composers' Union at the Small Hall of the Tbilisi Conservatory. The trio includes wonderful young musicians such as Maia Jinchvelashvili (piano), Ketevan Tavshavadze (violin) and Ia Bakhtadze (flute).

In the first division the trio presented renowned masterpieces of the 17-18th century classics, among them a trio by Darius Milhaud that was performed for the first time in Georgia. The second divison was fully dedicated to the chamber works by Kakha Tsabadze. Here, famous opera singers Elene Janjalia (mezzo soprano) and Besik Gabitashvili (baritone) performed accompanied by the trio.

Date
Nestan Meskhi
Archil Kereselidze

On 27th March, Museum of the Tbilisi Conservatory hosted a memorial soiree dedicated to Archil Kereselidze, a renowned Georgian composer and a flamboyant individual.

Archil Kereselidze was born the Aul of Ghunib, motherland of Shamil and Hadji Murat in Daghestan on 12th December 1912. In 1935 he started his studies in composition in the Moscow Chaikovsky Conservatory under the supervision of Myaskovsky. Great piano player Flier performed a toccata of then student composer in various cities. In 1939 Kereselidze was accepted as a member of the Soviet Composers' Union, after which he returned to Tbilisi to teach a course in polyphony at the Tbilisi Conservatory. Shortly, Kereselidze was invited

by Marjanishvili State Theater to compose music for `Solomon Mejghanuashvili`. This gave a start to his lengthy and intensive cooperation with the theater and cinema. His music for the cinema is appreciated by the entire country. His songs, such as "I saw once", "Necklace", "Coalman", "Sapovnela", etc were sung by everyone and everywhere.

Concerts
Archil Nikatsadze
Sak-ART-velo

The article is dedicated to the performance of works by Georgian women composers of various generations at the Concert Hall of the Tbilisi State Conservatory on 8th March. The concert was accompanied by an fine art exhibition, scientific conference, film and photo retrospective, a brief concert of electronic music and video-art. All this was combined into an original project Sak-ART-velo (Georgia). The extraordinary musical marathon lasted from 10 am to 8 pm. Participants included students and professors of the Tbilisi State Conservatory, as well as representatives of Ilia Chavchavadze State University and State Academy of Arts. The article includes interviews with Composers and Professors at the Chair of Composition, Eka Chabashvili and Maka Virsaladze.

Festival Life

Tatia Pachkoria
«From Easter to Ascencion» Festival

Tbilisi and Georgian society has already hosted international festival `From Easter to Ascencion` for 8 years. The festival that takes place during the Easter Week presents works performed by Georgian and foreign musicians. This year's visitors included Katya Skanav (piano, Greece/Russia), Marta Abraham (violin, Hungary), Giorgi Kharadze (cello, France/Georgia), Pietro Gato (piano, Italy), Vitali Nazarov (hoboe, Russia), as well as vocals Nana (Mirian) Kavtarashvili (soprano), Irine Aleksidze (mezzo soprano), etc.

The festival is not only restricted by the capital and also holds unforgettable concerts throughout the country.

The year 2013 also stood out by its dedication to the 80th birthday, 50th anniversary of appointment as a bishop, and 35th anniversary of patriarchy of Georgian Catholicos Patriarch, Archbiship of Mtskheta-Tbilisi and Mitropolite of Tskhum-Abkhazia Ilia II. The festival opened with a concert dedicated to the Patriarch at the Great Hall on 7th May. The listeners were fascinated by musical creations and hymns created by the Patriarch. These are often performed on stage accompanied by symphonic and chamber orchestras. As long as these out-

standing musical pieces were less available to ordinary listeners and Georgian music lovers living abroad, the organizing team had an idea to publish a collection of the Patriarch's works, which was further realized. At the opening ceremony of the festival on 7th May, a presentation of the collection was held.

The article quotes reflections of the organizers, composers and musical experts regarding the festival.

Folklore
Tamaz Gabisonia
Georgian Song: To Be Retained Only?

The article descibes two types of perfomance prevalent in the Georgian folk song and two platforms related to their perfomance. These platforms are sometimes even antagonistic to the listeners divided by the author into authentic and aesthetic groups. Authentic listeners deem it a priority to assess the integrity the fact grows up from the folk creative and performance traditions.When creating an artistic image, he attaches a great importance to the ethnographic element. The aesthetic listeners think that a folk piece must be professionally 'packaged' in order for it to sell well. They believe that the versions created over the time are the best, crystalled pieces and they do not require any additional elements.

In an interesting, highly professional analysis, the author makes his conclusions and offers his point of view about these issues. He also talks about the town musical folklore that is still not considered an authentic part of our lore, as well as about the style, etc. He makes a conclusion: "Georgian musical folklore must retain its traditional stream, however, should not cut away its naturally grown new branches as being something incorrect. Instead, they must be counted a valuable phenomenon for the Georgian folk culture".

Remembrance
Rodam Jandieri
Jarji Balanchivadze: Reminiscence

The letter shares memories regarding the late musician, piano player, composer and artist – Jarji Balanchivadze.

He was a representative of the great Balanchivadze family who gave the country composers, classical authors of Georgian music – father and son Meliton and Andria Balanchivadze (Jarji's father and grandfather), one of the founders of American ballet dance (Jarji's uncle), Tsiskari Balanchivadze (Jarji's sister) – ballet dancer at Tbilisi Opera and Ballet Theater, etc.

The author, himself a renowned violinist Rodam Jandieri – has performed with Jarji Balanchivadze since he was a young man, and taken part in the chamber ensemble founded by the same. He remembers extraordinary events from Balanchivadze's creative life

Music and Fine Art
Irina Jorjadze
Correspondence: Selected Fragments

The article is dedicated to Mrs Lali Roseba who passed away recently, in April 2013. She was a universal artist, a dramatist and painter, working in Russia starting from 1968, without breaking her ties with her country. Her plays were staged in Georgian theaters, Russia,USA, France, etc. As a painter, she participated in professional exhibitions. The author, Mrs. Irina Jorjadze used to be her close friend. She presents the fragments of their correspondence where the artist shared her views regarding the art, life, death, religion and music.

.

From Hight of Last Years
Inga Baramidze
My Confession is the Confession of My Epoch

The article is dedicated to Otar Tatishvili, Georgian composer whose concert-portrait was held in the Great Hall of the Tbilisi Conservatory on 9th December 2012.

According to the article, Tatishvili's oeuvre is an existential drama. The composer is an interesting phenomenon of the post-modern art. Unlike the majority of contemporary composers his musical ego is modelled from musical lyrical peotry reflected in virtually every genre. Pantonal, expressionist, neoclassical and especially romantic classical aesthetic images sculpture and create his individual style.

New Publications
Lali Kakulia
A Georgian Book on Beethoven



The critic reviews a recently published book by Ms. Rusudan Kutateladze entitled "The Vienna School of Classical Music: Ludwig van Beethoven". The critic describes the publication as "a milestone in the national musicology" since it is the first book on Beethoven written by a Georgian. Before that, the classical music lov-

ers here had to make do with the Georgian translation of a Moscow conservatoire professor, Arnold Alschwang's monograph on Beethoven published in the 1960's. The critic sounds highly appreciative of the book, which she believes is valuable in both the practical and cultural terms.

Incidentally, it had been owing to the support of some of Georgia's friends abroad that the book came out. The acknowledgement to: Rosvitta and Maximillian Eder, Arthur Graubberger, Dagmar and Günther Bauer, Cornellia and Ulrich Reichermeier, Michaela and Max Weber.

Dodo Gogua
"The Invincible Moment of Creativity"
by Nana Kavtaradze

It is a review of the book entitled "The Invincible Moment of Creativity" by Ms. Nana Kavtaradze, a well known Georgian musicologist, art historian, journalist and an instructor. It is the most recent publication of the Musical Society of Georgia apparently appreciated by the readers. The critic says that the book depicts the author's broad range of scholarly and artistic views, concerning the Georgian music, literature, cinema and theater and is an evidence of her professional competence and individuality

Jazz Break
Manana Khvedelidze
Winton Marsalis

Author of Jazz Break has directed a program of the same name for Georgian listeners on Radio 2. Now, as he writes, he has decided to attract readers to the only Georgian musical magazine by offering the unlimited world of improvisation and unbound freedom, i.e. jazz that has been attempted to be defined, but as great musicians often say, in vain. The article tells about Winton Marsalis – an irreversible counterrevolutionary of our times, who did not only stop the wave by jeopardizing his own image, but also started to lead the followers of Repertory Jazz Movement.

.

A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:

1. Shavleg Shilakadze - Violin concerto, 2nd mov. Vivace assai.
   Bogdana Pivnenko (violin), chamber orchestra «Concertino Tbilissi» _ conductor George Shilakadze. (feature "April: A Month Wealthy and Pregnant of Music", p. 2.);
2. Ioseb Kechakmadze. Chem simgheras vin gaigebs _ Who'll understand my song.
   Performers: A mixed choral group of the students of M. Balanchivadze Kutaisi Music School under the leadership of Irine Lominadze (feature "Names That Made an Epoch _ Ioseb Kechakmadze", p. 9-22);
3. Ioseb Kechakmadze . Kekeljan_ Performers: A festival group under the leadership of Lia Chonishvili. A festival group conducted by vakhtang Kakhidze (feature "Names That Made an Epoch _ Ioseb Kechakmadze", p. 9-22);
4. Ioseb Kechakmadze."Qvelaper Tquil Kopila". "Everything Seems to be Vain". Performers: A festival group under the leadership of Lia Chonishvili. A festival group conducted by Vakhtang Kakhidze (feature "Names That Made an Epoch _ Ioseb Kechakmadze", p. 9-22);
5. Ioseb Kechakmadze. On the Road to Lashari. _ Performers: A festival group under the leadership of Lia Chonishvili. A festival group conducted by Vakhtang Kakhidze (feature "Names That Made an Epoch _ Ioseb Kechakmadze", p. 9-22);
6. Ioseb Kechakmadze. Exercise. _ Performers: Gori Women's Choir of the music college, Artistic Director and Chief Conductor Shalva Mosidze (feature "Names That Made an Epoch _ Ioseb Kechakmadze", p. 9-22);
7. Kaxa Cabadze. Scherzo for Flute, Violin and Piano. Ia Bakhtadze (flute), Ketevan Tavshavadze (violin), Maia Jinchvelashvili (piano), (feature "New Impressions", p. 26);
8. Eka Chabashvili. "Josephine the Singer" _ A part from the micro-opera/exhibition "Wandering Souls" by F. Kafka's stories. Performers: Salome Jikia (Vocal), Nino Iashvili (Harp), Mariam Mamadashvili (Violin) (feature "Sak-ART-velo", p. 31);
9. Maka Virsaladze. "Song of Siren". Kato Verkhviashvili (Vocal), Nino Jvania (Piano) (feature "Sak-ART-velo", p. 31)
10. Sulkhan Nasidze.. "Cutisofeli ra aris" _ "What is the World", from a vocal cycle "From Georgian Folk Poetry". Performed by Giorgi Gagnidze (vocal), Victoria Chaplinskaya (piano) (feature "From Easter to Ascencion Festival ", p. 34)
11. Wolfgang Amadeus Mozart – Sonata #12 in F Major, K.332, II. Adagio. Performed by Alexander Korsantia (feature "From Easter to Ascencion Festival ", p. 34).
12. "Tschxenosnuri". Performed by "Mtiebi" _ Georgian singing ensemble performing traditional vocal polyphony from Georgia (feature "Georgian Song: To Be Retained Only?", p. 45)
13. "Tschxenosnuri". Performed by "Erisioni" _ Georgian ensemble which performs national dances and songs of Georgia. (feature "Georgian Song: To Be Retained Only?", p. 45).
14. Frederic Chopin _ Prelude fis-moll op.28 Performed by Djardji Balanchivadze (feature "Jarji Balanchivadze: Reminiscence", p. 51)
15. Otar Tatishvili _ symphony 1 "Memento patriam". Mov. II Performed by Symphony Orchestra of Zakaria Paliashvili Tbilisi Opera and Ballet State Theatre, Conductor – David Mukeria (feature "My Confession is the Confession of My Epoch" p. 63).
16. Winton Marsalis. The Seductrees (feature "Winton Marsalis", p. 75).

The editional board: Mikahel Odzeli, Editor-in-Chief; editors: mmes: Mzia Jafaridze and Tamar Tsulukidze;
design: Vakhtang Rurua, Vano Kiknadze, Gogi Chepkhodze.
Translated by "LOGOS LTD"
Address; 123 D. Agmashenebeli str. Tbilisi
Tel;(+99532)295 41 64: (+995 32)296 75 05
Fax; (+995 32) 96 86 78